

652
1974



The image features a graphic design at the top. On the left, a thick red ribbon or brushstroke shape is oriented vertically, with its top end forming a horizontal banner. The banner has a thin white outline and a small red bow-like knot at the top right. To the right of the banner is a black geometric pattern composed of vertical bars of varying heights and several diagonal lines, creating a stylized, abstract shape.

1

9

7

4

三

ଅନେକାଳସବୀ

ଶିଖିମୁଖ

୩. କୁଳଚାଷୀ — ପ୍ରେସ୍‌ଟାର୍କ ଆଲୋ- ଧାର ପ୍ରେସ୍‌ଟାର୍କ ଏବଂ ପ୍ରେସ୍‌ଟାର୍କ ବେଳେଶାକ୍ରମ ହେଉଥିଲୁଗୁ ତଥାମା- ଦାଳ „ଗୀନର୍ଗୀ ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍“	3
୪. କୁଳଚାଷୀ — ଉଚ୍ଚମେଳନ ପର- ିବାଦିତ ଅଧିକାରୀ ଶରୀରମିଳିତ ଲିଙ୍ଗ- ଦିଳା	15
୫. କୁଳଚାଷୀ — ନିଃନିର୍ମାଣ କମାଲଙ୍କ ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍	36
୬. କୁଳଚାଷୀ — „ପ୍ରେସ୍‌ଟାର୍କ ଅନ୍ତର୍ମାଳାକ୍ରମିତିରେ“	39
୭. କୁଳଚାଷୀ — ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍	55
୮. କୁଳଚାଷୀ — ଉଚ୍ଚମେଳନ ପରିବାଦିତ କମାଲଙ୍କରିତା	57

୧୨.୨୫

ପ୍ରକାଶକାଳୀନ

୩. କୁଳଚାଷୀ — ପ୍ରେସ୍‌ଟାର୍କ ଆଲୋ- ଧାର ପ୍ରେସ୍‌ଟାର୍କ	73
--	----

ପ୍ରକାଶକାଳୀନ

୩. କୁଳଚାଷୀ — ଉଚ୍ଚମେଳନ ପରିବାଦିତ କମାଲଙ୍କରିତା ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍	89
--	----

ପ୍ରକାଶକାଳୀନ ପାଠକ

୩. କୁଳଚାଷୀ — ପରିବାଦିତ କମାଲଙ୍କରିତା ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍	95
--	----

ଲିପିବିରାତିଶୀଳଶଳ-ପ୍ରକାଶକାଳୀନ
ପାଠକାଳୀନ ପରିବାଦିତ କମାଲଙ୍କରିତା
ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍

ପାଠକାଳୀନ
ପରିବାଦିତ କମାଲଙ୍କରିତା
ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍

ପାଠକାଳୀନ
ପରିବାଦିତ କମାଲଙ୍କରିତା
ଲ୍ୟାନିଙ୍କ୍ରେଫ୍ଟନ୍

୧୯୭୩ ଜାନୁଆରୀ 1974

୧୯୭୩—୧୯୭୪

ରେଡାଫ୍ଟି଩ରି ଆ. ଶମନା

ସାର୍ବରେଧାଫ୍ଟିନରି କୋଲେଗୀରେ: ୧. ଏକ୍ସଲ୍‌ଫର୍ମାନିଙ୍କ, ୨. ଫାର୍ମିଶାନିଙ୍କ (୩. ମ୍ବ୍ର. ମଲିଗାନି), ୩. ଲାଇସେନ୍ସ୍‌କୁଣ୍ଡଳ, ଅଲ୍. ହିତଲେଖିଶ୍ଵିଲି, ଫ୍ରାନ୍. କାଲଙ୍ଗାଶି.

ରେଡାଫ୍ଟିନରିର ମିସାମାରତି: ଦାତୁମି, ଶନ୍ତିପୁରୀ ଫ. ନଂ 21.
ଠେଲେଖନି — 33-71.

ବ୍ୟେଳମିଟ୍ରୀରୀଲୀର ରେଲେଗ୍‌ଫର୍ମାନ 11.6.74. ସାପ୍ରେଷଣ 6, ସାଗରିମିଟ୍ରେମଲି 5 ଟାବାଥି.
ଶ୍ରେଣୀରେ ନଂ 2585, ଏମ 00887, ଫାଲ୍ଗନି ଚାମା 60X90, ଦୀର୍ଘି 2.040.

* * *

ସାଫ୍ଟରିଟିକ୍‌ଲୋକ୍ସ ଲିମିଟେଡ୍ ମିନିସଟିରତା ସବ୍ରିକ୍‌ଲୋକ୍ସ ବେକ୍ସନିକ୍‌ଟିକ୍ ସିରିଯୁସି ସାଫ୍ଟରିଟିକ୍‌ଲୋକ୍ସ କମିଟୀରେ ମିନିସଟିକ୍‌ଲୋକ୍ସ ବେକ୍ସନିକ୍‌ଟିକ୍ ସିରିଯୁସି ବାତୁମିରେ ଲ୍ଯାବିଶନ୍‌ରେ ନଂ 9 (ଲ୍ୟାବିଶନ୍‌ରେ ନଂ 20).

ଅତିରିକ୍ତ ଶର୍କରାଲ୍-ବାଣୀପରିବହି ପାଇଁ ଉପରେ ଅବଲମ୍ବନ

ვებრონ ხარვაში

უცელაზე აცლიდან

უცელაზე ძველი კონტინენტის აკენ

რეპორტაჟი თბილავალ „გიორგი ლეონიძედან“

1

აპრილი სამხრეთნახევარსფეროში შემოდგომის პირია. ანტარქტიკის ცივი სუნთქვა ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროებამდე აღწევდა. ხან აქ, ხან იქ, ოკეანეში იბადებოდა ახალი ციკლონები და თავისი მრისხანე ბორბალოთა ბრუნვით კონტინენტს ასკდებოდა.

მაგრამ სიღნეისთან, ჯეკსონის დიდ ბოლაზში რომ შევუხვიეთ და მალე „გიორგი ლეონიძე“ წყნარ ლიმანში რეიიდზე დადგა, ყველას დაგვავიწყდა უკვე შორს. დარჩენილი ბობოქარი ოკეანე. აქ მართლაც იდილიური სიმყუდროვე სუფევდა.

ჩვენს პირდაპირ, გაღმა სიღნეის ცნობილი ზოოპარკია. ბეჭობზე და ხევებში შემორჩენილ პირველყოფილ ჯუნგლებში თუ ახალგაზრდა ტყეებში ლომები, ვეფხვები, ჯეირნები, ირმები და ათასი ჯურის სხვა ნადირი დასეირნობენ.

ჯეკსონის უბე, რომლის ულამაზეს ნაპირებზეც გაშენებულია სიღნეი, მრავალ ტოტებადა დაყოფილი, ხმელეთში ღრმად არის შეჭრილი და ერთდროულად რამდენიმე ასეული გემისთვის იდეალურ სადგომს წარმოადგენს.

ზედ შუაწელზე ბოლაზს გადავლებია ძველებური მძიმე და ქუში, მაგრამ ჭივიანურად, ყველა ღროისათვის გამიზნულად ანაგები ხიდი, ურომლისოდ ქალაქის კლასიკური სახე წარმოუდგენელია.

მეორე დღეს დილის ექვს საათზე ლოცმანი მოვიდა, აქეთურქილან არი მძლავრი ბუქსირი ამოგვიყენა და ნელ-ნელა გემი ხიდის ქვეშ განა, მერე ერთ-ერთ პატარა ბოლაზში გრანდიოზულ ელევატორებთან დააყენა. ჩვენს ტრიუმებში ყოველდღე თხი-ხუთი ათასი ტონა ხორბალი იყრებოდა.

მთელი გემი მტვერში იყო ვახვეული. ილუმინატორები და კარები დაგმანული გვქონდა, მაგრამ ავსტრალიის მინდვრებიდან მოტანილი გაცრილი მიწა და ხორბლის მოყვითალო ქეშო ყველგან ძრებოდა.

თავისუფალ დროს მეზღვაურები ქალაქში გადიოდნენ. ხილთან მისვლამდე ძველებური ბრიტანული ფორტია, იგი მთლიანად აღდგენილი და მოვლილია. იქით ოპერის თეატრის თანამედროვე ნაგებობა გადმოდგმია სანაპიროს. გეგონება, შენობა ზღვის გრანდიოზული ნიუარებითა გადახურულიო. მისი ავტორი ვიღაც დანიელი არქიტექტორი ყოფილა. აშენება კი თორმეტ მილიონ დოლარამდე დამჭდარა. საზღვაო სამსახურის აგენტმა, ოღნავ ტრაბათშებარებული ტონით აგვისნა, რომ ეს თეატრი თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ქალაქში ხშირად გადაეყრები ხოლმე რუსს, უკრაინელს, სომებს თუ სხვა ჩვენთვის უფრო ახლობელი ეროვნების წარმომადგენელს. რამდენიმე მაღაზიაში რომ რუსები გამოგვეცნაურნენ, სუყველანი ჩინეთის ქალაქ ხარბინიდან გადმოსულები აღმოჩნდნენ.

ერთმა, რომელიც საოჯახო ნივთების მაღაზიაში გაგვეცნო და ბოლო დროის სიძვირის გამო არაფრის ყიდვას არ გვირჩევდა, რუსული კლუბის მისამართი გვითხრა და მიგვიპატიუა. დღეს საღამოს ჩვენთან ნიუჟლინი მოვა თავისი ჯგუფითო, გვითხრა მოსკოვის ცირკის მსახიობის შესახებ. სანდო კაცად რომ მიგვეჩნია, გარეთ გამოგვყვა და გაგვიმარტა: ჩვენ თეთრგვარდიელ და სხვა ჯურის ემიგრანტებისაგან შორს ვდგავართ. ჩვენ სამშობლო გვინდა, როგორიცაა ისეთი. ჩვენ არავის ვაგინებთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას. ძალიან კარგი პოლიტიკა ახლანდელი საბჭოთა პოლიტიკა. ჩვენი კლუბის შესასვლელში წერია: „Родина может без нас, но мы без нее не можем“.

ბოლოს კი, როცა გაიგო ქართველები ვიყავით, დაუმატა: აქ სომები-ქართველთა კლუბიცაა. მაგრამ ჩვენ გვეჩარებოდა და მალე გავშორდით ამ აბეზარ სიღნეელ რუსს.

არ გასულა რამდენიმე წუთი და ერთ-ერთი სუვენირებით მოვაჭრე დუქანში როსტოველი სომები გამოგვეცნაურა. იგი გერმანელთა ტუვეობიდან, ომის შემდეგ, საფრანგეთში, აქეთ მომავალ ადგილმონაცვლებულთა ჯგუფს შეერთებია და თავისი ბედიც ამით გადაუწყვეტია. ამას წინათ ვიყავი საბჭოთა სომხეთში და ნათესავებს შევცვლიო, თვალში ცრემლმომდგარი გვიყვებოდა. აქ ერთი ქართველი მეგობარი მყავს, ვალიკო დი-



დებულიძე, დიდი რესტორანის პატრონია, იქნებ დავურეკოთო. მეაღლობამ მოვახსენეთ და უდროობა წამოვიშველიეთ. ქართული პურ-მარილი არ მოგვენატრათ მაინც? — მოგვინახა სუსტი აღვილი მეღუქნემ, მაგრამ ჩვენ მართლაც ვჩეკარობდით.

2

შეგვეძლო საღამოს გამოგვეყვანა გემი ნავსაყუდარიდან, მაგრამ ზღვის მიქცევა იყო დაწყებული და ტვირთიანი ხომალდი თითქმის რიყე-ზე იჯდა. ღილის ექვსზე დაიწყო მოქცევა, ლოცმანიც გვეწვია და „გიორგი ლეონიძე“ ჯეკსონის გრძელი ბოლაზიდან ოკენისაკენ დაიძრა.

ტრიუმები პირთამდევ გავსილი. ოცდაცხრა ათასი ტონა ხორბალი ჩაეტია მათში. მხოლოდ მეოთხე ტრიუმია ცარიელი. იგი საბალასტო სისტემის მარეგულირებლადაა შემონახული.

ბოცმანი მოედინ ბერიძე და მისი ბრიგადა ჯერ კიდევ წინა ბაჭყე არიან და ბრაშვილს — ღუზის მექანიზმს ხანგრძლივი ცურვისათვის ალა-გებენ და აწესრიგებენ.

გაღმა-გამოლმა ნაპირებზე შეფენილი სიღნეი, თავისი ცათამბრჯენებითა და ძველებური კოტეჯებით, თავისი პარკებითა და ხილებით, ქუჩებსა და ეზოებში ჩამწკრივებული მსოფლიოს ყველა მარკის მანქანებით, მყუდრო, განაბული, ჯერ კიდევ მძინარე მდიდართა უბნებითა და მეოვეზეთა გამოღვიძებული სანაპიროებით, ორივე მხარეს ნელა მიცურავს უკან. ოკეანიდან შემოსასვლელ კარიბჭეს კი უკვე მზე მოადგა.

ჩვენი კურსი ჯერ სამხრეთისაკენაა დახრილი. იგი შემდეგ მე-40 პარალელთან დასავლეთისაკენ გაუხვევს, ბასების სრუტეში ტასმანიასა და პატარა კუნძულ კინგს შორის გავა, დიდი აუსტრალიის უბეს გადაკვეთს და ინდოეთის ოკეანეს შეუერთდება.

როცა გემი გზას დაადგა და თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, ეს ყოველივე დაწვრილებით გაგვაცნო რუკაზე დახრილმა კაპიტანმა პატარაძემ. ინდოეთის ოკეანეში მან წითელი ხაზი ოცდამეათე პარალელამდე აწია და თითქმის მასვე გაჰყვა დასავლეთისაკენ.

— სამხრეთის შემოდგომის ამ სეზონში აისბერგები კარგა მანძილით იწევენ ჩრდილოეთისაკენ, ამიტომ უფრო საიმედოა ზევით ასვლა, — მითხრა კაპიტანმა.

ოკეანე მშვიდი იყო. მუქ-ლურჯი წყალი თავისი უწყინარი, თავზე ქაფმორეული ზომიერი ზვირთებით გემის ვეებერთელა ფერდებს ეთქაშუნებოდა. დღე დღეს ცვლიდა და ღამე ღამეს. იწყებოდა ორმოცდათდღიანი შეუჩერებელი ცურვა ორ ოკეანეში.

რადგან ჯერ კიდევ სამხრეთის შემოდგომური სიგრილეები ამის პი-

რობებს ქმნიდა, მზარეული მამია ბერიძე დილაობით ისევ ხაშით გაგვა-
ხარებდა ხოლმე.

ავსტრალიიდან ინდოეთის ოკეანეში რომ გადადიხარ, იმ რაიონს მე-
ტეოროლოგიურ სამსახურს უწევს ქალაქი პერტი. მაგრამ აღმოსავლეთის
სიგრძედის მეასე გრადუსის შემდეგ მისი მომსახურების ორბიტიდან გავე-
დით, ხოლო სამხრეთის განედის ოცდამეთერთმეტე გრადუსი, რომელსაც
ვადეჭით ჩვენ, ამ რაიონში, კარგა ზანს ამინდის სამსახურის სხვა კვადრა-
ტთა გარეთ დარჩა. ორი-სამი დღე მივცურავდით ასეთ ვითარებაში. ცა-
მეტ აპრილს საღამოთი ცა მოიღუშა, ქარმა იმძლავრა, ზღვა შეშფოთე-
ბით ასკლებობდა ქიმს და ყველაფერს აზანზარებდა.

ღამით ავსტრალიის საბჭოთა მეტეორსადგურმა მოგვცა დედამიწის
თანამგზავრიდან მიღებული მსოფლიოს ამინდის რუკა. საშტურმანო ჯი-
ხურში კაპიტანმა ზურაბ პატარაძემ დაწვრილებით გაარჩია მონაცემები,
და ჩვენი კურსისათვის რაც მნიშვნელოვანი იყო, სამუშაო რუკაზე გადა-
იტანა.

გემს კი უფრო და უფრო მძლავრად დაეძერა ტალღები წინიდან,
ქარმაც იმატა. მოელი სამანქანო და საცხოვრებელი კორპუსი ზრიალებ-
და და ირწევდა.

მთელი მეორე დღე გრიგოლი არ ჩამდგარა. გემბანზე, ტრიუმებსა და
ხუფებს შორის ჯაჭვებითა და ბაგირებით დამაგრებული რკინის კასრები
შტორმის წყალს ამოეგლიჭა და ახლა ხომალდის გარდიგარდმო ბანებზე
აქეთ-იქით ახეთქებდა. ბოცმანი შეწუხებული აცეცებდა ოვალებს, მაგრამ
რადიო გამუდმებით აცხადებდა, გარეთ გასვლა აკრძალულიაო.

საღამოთი ქარი ოდნავ დაცხრა და ღელვაც მინელდა, მაგრამ ეს თუ-
რებე ღროებით... მალე ბუნებამ ისევ გულჯავრიანად ამოიგვნება და გა-
დარეულმა ტალღებმა ეს ტვირთიანი გიგანტი მხარზე გამოდებული ხან
ძეეთ დააყუდეს, ხან იქით. მთელი ხომალდი ისე ბარბაცებდა, ძლიერი და-
რტყმების შემდეგ ნოკაუტამდე მიყვანილ მოკრივესავით, რომ თვით საკ-
მაოდ გამოცდილ მეზღვაურებასაც კი ხუმრიბის ხასიათი წაუხდათ.

გემმა სვლას უკლო. ახლა ჩვენი სიჩქარე თხუთმეტიდან ოთხ კვანძა-
მდე დაეცა. თითქმის ერთ ალაგას ვიდეჭით და ურაგანის შემოტევას შუ-
ბლმიშვერილი ვხვდებოდით. დიახ, თხუთმეტი აპრილს განთიაზე ქარის
სისწრაფემ წამში ორმოცდათექვსმეტ მეტრს მიაღწია. ეს უკვე ნამდვილი
ურაგანი იყო.

გემი კუს ნაბიჯით მორჩილად მიჩოჩავდა სამხრეთის ციკლონის ტრა-
დიციულ, საათის ისრის მიმართულებით, მოძრაობის საწინააღმდეგოდ-
გადახვევა ან წინააღმდეგობის გაწევა უარესია თურმე.

— რამდენი ბალია ქარის სიმძლავრე? — ვიკითხე აღელვებულმა.

— თითქმის ორჯერ თორმეტი. — მშვიდად მიძასუხა კაპიტანმა, თით-
ქმის ორად გაყოფილი სიღიღე ჩემზე ნაკლებად იმოქმედებდა.

პოლონელი ანტონ ჟეზნიკიც საქმაოდ შეშფოთებული თვალსაცემაზე და მისი ამოცანა, რაღაც თქვენ უნდა, იმაში იყო, დაკვირვებოდა, თუ როგორ მოიქცეოდა შეცინის ვერფის ოსტატთა ნახელავი ასეთ ყიამეთში, ხომ არ გაუმტყუნებდა იმედს თავის შემქმნელებს!

ყალყზე შემდგარი ორმოცათასტონიანი გემი ერთი ზეირთიდან მეორის მოსვლამდე დაბლა ენარცხებოდა, ხოლო მალე ახალი ტალღა რომ შეეგახებოდა, ისევ შეირყეოდა და დიდხანს ზაზარებდა. ქარი გემის ცხვირზე მიმსკდარ წყლის მასას თეთრ შადრევნებად ცაში აიტაცებდა და თვალის დახამხამებაში უძლიერესი ტყორცნით, თითქმის ორასი მეტრის სიშორეზე, კაპიტანის ხიდურს მოარტყამდა.

მთელი ოკეანე ირგვლივ ჩეხესავით თეთრი იყო, საშინლად დუღდა და ქაფქაფებდა.

ჩვენმა ახალგაზრდა გემმა და მისმა ეკიპაჟმა ღირსეული ვაჟკაცობით გაუძლო ბუნების ამ შემოტევას. ანტარქტიკიდან შემოჭრილი ცივი ჰაერის შეკუმშული მასები ნელ-ნელა ჩამოგვცილდა. ოკეანემ გული იჯერა, დაცხრა. ქარიც მინელდა. ჩვენმა მემანქანებმა კვლავ მთელი ძალით დაატრიალეს სიჩქარის ხრახნი, ისევ ჩრდილოეთისაკენ შემოვბრუნდით და ერთი დღის შემდეგ დასახული კურსით გავაგრძელეთ სვლა.

3

— კაი შტორმი გაყლდათ. ესეც ნახეთ. ახლა დასტურ მეზღვაური ხართ. — მითხრა ხუმრობით ბიჭიკო შენგელიამ, ჩვენმა ელექტრომონტიორმა.

მას ძველი დროის მეზღვაურსავით წვერი მოეშვა, პერანგი გადაეძრო და ბანჯგვლიან მხრებზე შნურებგადმოკიდებული გემბანისკენ მიდიოდა, იდნავ შელახული ელექტროგაყვანილობისათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

თანამედროვე ურთულესი ელექტრომოწყობილობანი და თითქმის ერთი მომცრო ქალაქისათვის საქმარი ქსელი დახელოვნებულ ოსტატთა დაბაზულ შრომას მოითხოვს. გემის ელექტრომეურნეობას ბიჭიკოსთან ერთად სასახელოდ უვლიან მიშა ცოცხალაშვილი და ზურიკო წოწონავა. ჩვენი ერთადერთი ხარატი ვახტანგ ბერიძე კი თავისი მაღლიანი მარჯვენით ყოველგვარ დეტალს გამოჩარხავს ხოლმე, რათა მანქანა-აგრეგატების განუწყვეტელი მუშაობა წუთითაც არ შეყოვნდეს.

მეორე დღეს ნაშტორმალ ტრიუმებიდან ერთ-ერთს სასინჯად ახადეს ხუფი. ტვირთი მშრალად და ნორმალურად იყო შენახული.

სალამონობით ხილურზე ასვლა მიყვარს. იქიდან უფრო მოხერხებულად შემიძლია ვუცქირო ტროპიკულ ცას და ბუნების მარადიული სილა-

მაზით დავტებე. ამ დროს ვახტჩეა შტურმანი, ახალქალაქელი უსტუნის ლავაზი ზოლოტოვი. იგი თავგადადებული მეთევზე-მებადური ყოფილი და თუ ხელში ჩაგიგდო, სიტყვით მთელი მესხეთ-აჭარის ღელეებსა და ხევ-ხუცებს მოვატარებს. თავფარავნისა და სალამოს ტბებში ორაგულებს იჭერს, მტკვარში ვარძიასთან — კალმახებს, ჩაქვისთავში ღამეს ათევს, დილით კი ფუთნახევარი წითლად დაწინწკლული ვილორებით ბათუმში ბრუნდება. შემომიჩნდა, ზემო აჭარაში წამიყვანე, როცა დავბრუნდებითო. ძალიან უნდა ჩემი მშობლიური სოფლის მახლობელ მორჩევებსაც ესროლოს ბადე. კი-მეთქი, ვპირდები ჯერჯერობით, მაგრამ დაბრუნებისას ალბათ გამიჭირდება სტანისლავის ყოვლისმხვეტავი ბადისათვის გავიმეტო ჩვენს ღელეებში შემორჩენილი თითო-ოროლა ტინტილა.

ოცდახუთი დღის ცურვის შემდეგ პორიზონტზე გამოჩნდა აფრიკის მოყვითალო სერები. თითქოს მშობლიური სოფლის გორაკები გვენახოს, ისეთი სიხარულით გამოვცვივდით გემბანზე და შორეულ მიწას ხარბი, მონატრებული თვალებით შევაცქერდით.

ამინდის ცნობებით სადღაც, კეთილი იმედის კონცხის რაიონში ისევ ღელვა-ფურთუნებს მოველოდით, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ ავღარს უკვე გადაევლო და ახლა ოკეანე ახალდამშვიდებული ზვირთების სამური ჩევაფანით მიგვაცილებდა.

აქ უამრავი ზღვის ლომი დასეირნობს ჩვენს გარშემო. ბევრი მაღლა ამოსულა, წყლიდან ფარფლები ამოუყრია და მხართებოზე წამოწოლილ ზღვის ზედაპირზე არხეინად სძინავს.

მთელ გზაზე ალბატროსები ჩვენი ერთადერთი უერთგულესი თანამგზავრები იყვნენ. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ინდოეთის ოკეანის ალბატროსები უფრო დიდებიც არიან და უფრო შორსმავალნიც. ოცდახუთი დღის მანძილზე მიწისა და გემის უნახავები ცოცხალ სამყაროსთან სიახლოვის უინს ყოველდღიურად ალბატროსებთან შეხვედრით ოდნავ მაინც ვინელებდით. ზოგჯერ ერთიდაიგვე ფრთოსანი, მე მგონი, რამდენიმე დღის განმავლობაში მოუშორებულ უკან მოჰყვებოდა გემს, კი-ჩოს ქვეშ აქაფებულ ჩეერებს ახლოდან გადაევლებოდა, როცა მსხვერპლს გერაფერს იპოვიდა, ფრთის მოუქნევლად ისევ მაღლა აიჭრებოდა და მთელი დღის განუშევეტელი ფრენა-ძებნა-ლოდინისათვის ორ-სამ მეტრიან ფრთებს გამართავდა. იგივე ჩვენი ახალქალაქელი შტურმანი მოცლილობის უამს ალბატროსებზეც ბევრ რამეს მომითხობდა ხოლმე.

ოკეანეთი ეს უშიშარი, ძლიერი, უშეინარი რაინდი, ამასთან ერთად, ზოგჯერ საოცრად გულუბრყვილოც ყოფილა. მოზრდილი ანკესი სატყუარათი რომ გადააგდო, ადვილად შესაძლოა ჩაყლაპოს და დაჭერილი ალბატროსი მაღლე გემბანზე საცოდავად აფართხალდეს.

უოლფიშბეის მიღამოებში, სამხრეთ ტროპიკების ხაზთან, ჩვენმა შტურმანებმა ტანკერი „გენერალი ბაგრატიონი“ იცნეს. იგი მოძმე კუბელ მეთევზეთა ტრაულერს საწვავს უსხამდა. კაპიტანმა პატარაძემ სვლა შეანელებინა, თანამემამულე გემს რადიოთი დაუკავშირდა. თხოვა, პროდუქტები შემოგველია და კოტათი დაგვეხმარეთო.

„ბაგრატიონის“ კაპიტანი გიორგი ტარასოვი და მისი პირველი თანაშემწე ბათუმელი ალი ანთიძე სიამოვნებით შეგვპირდნენ, საგზალს ძმურად გაყიყოთთ. საბედნიეროდ, მშვენიერი ამინდი იყო. წყალზე ჩაშვებულ ნავში, რომელსაც უფროსი თანაშემწე იური ბაბუხადია შტურმანობდა, შეც ჩავჭერი და მალე ჩვენებური ტანკერის ქიმს მივადექით. მასპინძლები მართლაც ხელგაშლილად დაგვხვდნენ. ამასობაში ჩვენი გემის საგარანტიო ინჟინერ-კონსტრუქტორმა ანტონ უეზნიკმა მახლობლად მოთვალისწინებული ტანკერი იცნო. პოლონელმა მეგობრებმა შორი გზიდან მომავალთ ახალი თევზი გამოგვიგზავნეს. ალი ანთიძემ და გიორგი ტარასოვმა კი შინიდან წამოლებული ტყემალი, აჯიკა და მურაბებიც გაგვიყვეს. ამან მთლად გაალამაზა ჩვენი სუფრა.

გემზე რომ დავბრუნდით, სიურპრიზი დამხვდა, — სტანისლავ ზოლოტოვს მართლაც დაეჭირა ალბატროსი. ერთის მაგიერ — ორი! ტყვეფრთოსნები დაბლა, საოფისო კაიუტაში ჩაეკეტათ. მე გახარებული უმალვე იქით გავეჭანე. ერთერთის ფრთა მართლაც სამ მეტრამდე გაიშალა. ალბატროსები საშინელი ხმით ყვიროდნენ და ვეებერთელა ნისკარტებს წარა-მარა უშენდნენ იატაკს, სავარძლებს, მაგიდას და ყველაფერს ჩეხავდნენ. რამდენიმე ჩვენი ძველი მეზღვაური შორიდან უყურებდა ამ სურათს და უყმაყოფილოდ აქნევდა თავს. დამჭერსა და ყოველ ჩვენგანს ამტყუნებლნენ, განა ცოდვა არ არის მეზღვაურმა პატიოსანი ალბატროს შეიძყროს და ასე გააწვალოსო?

ლამდებოდა. ბიჭიკო შენგელიამ დანები დალესა, მარილი და წამლები მოამზადა, მოზრდილი სამმეტრიანი ძელი მონახა, რათა დილით ზედ საფიტულედ გამოღადრული ალბატროსი უზარმაზარი ფრთებით გაეკრა.

მაგრამ დილით ოფისის კარი ღია დაგვხვდა, ალბატროსები კი აღარ-სად ჩანდნენ. ლმით ვიღაცას ჩუმად გაუშვა. ოდნავი წყენა მალულმა კმა-ყოფილებამ შეცვალა. თითქოს გულზე მომეშვა. იცოცხლეთ და მშვიდად იფრინეთ, ამაყო, შორეულო ალბატროსებო!

ორიოდე დღეში საპირველმაისო სამზადისი გაჩაღდა. ჩვენმა კაპიტანმა ზურაბ პატარაძემ, რომელიც აგრეთვე მშვენიერად ხატავს, სახომალდე კედლის გაზეთის საღლესასწაულო ნომერი სანიმუშოდ გააფორმა. მა-

ღლა, კუთხეში ავსტრალიის რუკა მოათავსა, გვერდით „გიორგი-ლეონტი- ძე“ გამოსახა, იქვე წითელი აღამი გადაჭიმა წარწერით: „მეხუთე კონტი- ნენტიდან ზეგეგმითი ტეირთი!“ გაზეთის მთელი ნომერი მაისობასა და ჩვენი ამ დიდი რეისის შრომით ყოველდღიურობას ასახავს.

საწერი და სათქმელი მართლაც ბევრი იყო. რატომაც არ უნდა ვიამა- ყოთ წარმატებებით. სოცების ბრებით ნაისრი ნახევარი წლის ვალდებუ- ლება ეკიპაჟმა აპრილში უკვე გადაჭარბებით შეასრულა. სახელმწიფოს დიდძალი სავალუტო მოგება მისცა. მომჭირნეობით ხარჯა საწ- ვავი და სხვადასხვა ტექნიკური ზეთები, მასალები, რითაც ათასობით მანეთის ეკონომის მიაღწია. საკუთარი ძალებით და საშუალებებით გა- კეთდა მთელი რიგი დანადგარებისა და მოწყობილობათა მიმღინარე რე- მონტი, ხოლო 22 აპრილს, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ასევე გემზეც მოეწყო კომუნისტური შაბათობა. დილიდან მთელი რიგითი თუ მეთაუ- რთა შეძალებენლობა გემბანებზე და სამანქანო განყოფილებებში ტრია- ლებდა. შაბათობაზე გამომუშავებული თანხა 6500 მანეთი მთლიანად ვა- დაეცა სახელმწიფო ფონდს.

განსაკუთრებით მძიმე პირობებში მუშაობენ მემანქანები, ტექნიკო- სები. ამ მთელი ძნელი გადასვლის პირობებში, როცა სხვადასხვა სარტ- ყელთა ცვლილებებს წელიწადის დროთა არაბუნებრივი ცვალებადობაც ზედ ემატებოდა იქ, ქვემოთ, სამანქანო განყოფილებაში დღე და ღამე ერთმანეთს ენაცვლებოლნენ მოტორისტები: კახაბრელი ტარიელ ქათამა- ძე და ვანელი ჭუმბერ ბუბუტეიშვილი, ქედელი მერაბ ჯაყელი და ბათუ- შელი ივანე იადლოვსკი, ვლადიმერ სტუპინი, ვასილ პოპოვი, ვალერი სუ- სლინი და სხვები.

ერთი კედლის გაზეთი, ან ერთი ნარკვევი, რა თქმა უნდა, თბომავალ „გიორგი ლეონიძის“ ეკიპაჟის შრომით ამბებს ვერ დაიტევს. მაგრამ, რო- ცა ჩვენ სამაისო ზეიმს ვეგებებოდით, საჭიროდ ჩავთვალეთ ოდნავ მა- ინც თვალი გადაგვევლო ჩვენი ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

სპირველმაისო სუფრისათვის კი ბაგრატიონელ კოლეგების და პო- ლონელ მეთევზეთა ყურადღების წყალობით უკვე მოგვეპოვებოდა ახალი ხორციც, ახალი თევზიც და, რაც მთავარია, ტყემალი და აჭიკაც კი.

პირველი მაისის დილა ვემზე საბჭოთა სახელმწიფო აღამის საზეიმო აღმართვით დაიწყო. დღისით ჩვენმა ბიჭებმა სპორტის მთელ რიგ სახე- ლებში სადღესასწაულო შეჯიბრებები გამართეს. გემის რადიო კი, პავლე მოროზოვისა და იური კაზარეზოვის სანიმუშო მომსახურებით, მთელ დღეს შორეულ ატლანტიკაში გვაუწყებდა საბჭოთა ხალხის საზეიმო დე- მონსტრაციის ამბებს. ოვაციები და ვაშას შეძახილები მოსკოვის წითელ მოედნიდან ჩვენი გემის რუპორებით მთელ ოკეანეზე გუგუნებდა.

შორიახლოდან მოვყვებოდით დასავლეთ აფრიკას ანგოლას სანაპი- როებთან. სწორედ მაშინ იყო პორტუგალიაში რომ სახელმწიფო გადატ-

რიალება მოხდა. ჩვენ სიამოცნებით ვტყობილობდით, რომ ანგოლას კატი-
მოზამბიკის საპურობილებიდან უკვე გამოდიოდნენ პოლიტიკური პატი-
მრები, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის
მებრძოლნი.

ორიოდე დღეც და გადაწყდა მცირე ხნით კანარის კუნძულთა პორტ
სანტაკრუსში შევსულიყავით, რათა წყლის მარავი და სხვა აუცილებელი
რამ მიგვეღო.

6

ეს მოხდა ცხრა მაისს დიღით.

პორტი პატარა კუნძულ ტენერიფეზეა გაშენებული და ასეც ეშვოდე-
ბა სახელად, — სანტა-კრუს-დე-ტენერიფე. იგი პატარა და ახალგაზრდა
ქალაქია. მაგრამ რაც ჩვეულებრივ ძველ ქალაქს ჭირდება, ყველაფერი
უკვე აქვს, ან მალე ექნება. ცენტრალურ მოედანზე თვალში მოგხვდებათ
ახალალმართული ვეება სვეტი-ჯვარი ბიბლიურ მოტივებზე შექმნილი მრა-
ვალგვარი ფიგურებით.

თავისი რატუშით, თავისი ბანკებით, თავისი პოლიციით და, რაღა
თქმა უნდა, თავისი უამრავი სავაჭრო დუქნებით, ქალაქი ინარჩუნებს კა-
პიტალისტურ შინაარსს.

ესპანელ საქმოსნებს კუნძულის ყველაზე ლამაზ ნაპირებზე ფეშენე-
ბელური პორტელები და მოტელები გაუშენებიათ. თითქმის მოელი წლის
განმავლობაში აქ, ატლანტიკური მზისა და ლაუგვარდოვანი ზღვის გარე-
მოში დასასვენებლად და დროს სატარებლად ათასობით მდიდარი ევრო-
პელი თუ ამერიკელი ჩამოდის.

„გიორგი ლეონიძე“ რეიდზე იდგა. იქ მოგვიტანეს წყალიცა და სა-
ჭირო პროდუქტებიც. ეს ერთადერთი დღე ჩვენ ქალაქის გაცნობას მივუ-
ძლვენით. როვორც ეტყობა, ამ კუნძულზე ყველაფერი გარედან შემოტა-
ნილია, მაგრამ კუნძული და პორტი (ასევე კანარის კუნძულთა შეორე
პორტი ლას-პალმასი) ისეთ გაცხოველებულ სანაოსნო არტერიასთან
არის დაკავშირებული, აგრეთვე ისეთი ბუნებრივი პირობები გააჩნია,
რომ მისი შემოსავალი ყოველწლიურად მატულობს. ამიტომაც აქ შეიძე-
ნევა დიდი ახალშენებლობანი. ციცაბო კლდე-ლრეებში და ფლატეებზე
თანამედროვე გზები გაჰყავთ, ერთი შეხედვით თითქოს ბუნებრივად არა-
ხელსაყრელ ყურეებში ხელოვნურად მშვენიერი თანამედროვე ნავმისაღ-
გომები იმართება. კანარის კუნძულები განსაკუთრებით მოფარებული
ადგილია ატლანტიკაში ათასობით მოელი წლობით მომუშავე მეოევზეთა
ფლოტილიებისათვის. ამიტომაა, რომ ლას-პალმასა და სანტა-კრუსში თი-
თქმის ყოველდღე სხვადასხვა ტიპის რამდენიმე გემი შედის და გამოდის.

ჩვენი მეზღვაურებისათვის კუნძულ ტენერიფეზე ფეხის დროგშიც სხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც შორეული ავსტრალიტან, — ყველაზე ახალი კონტინენტიდან ყველაზე ძველი კონტინენტისაკენ მიმავალთ, თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში, მიწა არ გვენახა. ამიტომ იმავე დღის საღამოთი რომ გემი რეიდიდან მოიხსნა და თავისი კურსით გზა გააგრძელა, ეკიპაჟის წევრთა შორის სიხარული და კმაყოფილება სულევდა. თითოეული ჩვენგანი მთელი დღე ფეხით დადიოდა, რათა მიწაზე სიარულით კარგა დაქანცულიყო. ნამდვილ, მყარ მიწაზე ფეხით სიარული, აი ყველაზე სასურველი ჩვენი ნეტარება, რაც იმ დღემ მოგვიტანა.

მეორე დღეს კი ხმელთაშუაზღვიდან რაღიოთი დაგვიკავშირდა გიბრალტარისაკენ ბათუმიდან მომავალი ჩვენი გემის უმცროსი ძმა — „გენერალი ლესელიძე“. ეს ხომალდიც შეცინელმა გემთმშენებლებმა ააგეს და წყალში ჩაუშვეს, ოღონდ „გიორგი ლეონიძეზე“ რამდენიმე თვით გვიან. ამიტომ დაიბადა აზრი ამ ორი ნათესავი გემის შეხვედრის და გამოცდილებათა სახელდახელო გაზიარებისა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, „გიორგი ლეონიძის“ ეკიპაჟს უფრო მეტი სასარგებლოს შეთავაზება შეეძლო. „გენერალი ლესელიძის“ კაპიტანი ვახტანგ ჩხაიძე ამ იდეას მიესალმა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენიმე საათს დაპკარგავდა გიბრალტართან ჩვენს ლოდინში, მაინც სიამოვნებით დათანხმდა ასეთ შეხვედრას.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი გემის ავტომატური მართვის მთელი რიგი ცალკეული დეტალები და კვანძები შეკეთებას მოითხოვდა, ხოლო ცენტრალური საღისტანციო მართვის აპარატურა თითქმის მწყობრიდან იყო გამოსული. „გენერალ ლესელიძეზე“ იყო ვერფიდან საგარანტიოდ თანწამოყოლილი ელექტროსპეციალისტი, რომელსაც შეეძლო სათანადო დახმარების გაწევა. ჩვენს გემზე კი იმყოფებოდა გამოცდილი ქართველი ობომექანიკოსი როლანდ ჩიხოვი (მდინარაძე), რომელსაც აგრეთვე ახალგაზრდა კოლეგებისათვის ბევრ საინტერესო დაკვირვებათა შედეგების გაზიარება შეეძლო.

გადაწყდა ხმელთაშუა ზღვაში, გიბრალტარის რაიონთან შეხვედროდით ერთმანეთს. საღამოთი ოდნავ გაძლიერდა ქარი, მაგრამ მარიკოს პორტ სეუტას მახლობლად ღია ზღვაში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ორმა ახალმა გემმა „გიორგი ლეონიძემ“ და „გენერალმა ლესელიძემ“ სვლა შეანელეს, ერთმანეთს გაუპირდღაპირდნენ და შეჩერდნენ. მაშეელმა ნავმა ჩვენი გემის ქიმთან მოიყვანა საზღვაო საქმის სპეციალისტთა მთელი ჯგუფი. ნავის ძრავს მართავდა ჩემი ძმისშვილი ქაზიმ ხალვაში, რომელიც, ჩემდა მოულოდნელად, ამ, კიდევ ერთი ახალი, ავტომატიზებული გემის მესამე მექანიკოსად დაწინაურებულიყო.

მთელი ღამე მუშაობა არ წყდებოდა სამარტინო განყოფილებაში. მხო-

ლოდ მზის ამოსვლის უამს, მეორე დილით, დაღლილ-დაქანცული გაშეფრული
ლი პოლონელი და საბჭოთა ტექნიკური მოხელეები მაღლა ამოვრდნენ
ეს ლამე ჩვენი მეზღვაურების პტკიცე თანამობისა და ურთიერთო-
ბის ერთ მშვენიერ მაგალითად ჩაითვლება. მე კი ივი ორმაგად მაღლ-
ვებდა. იქ ხომ ახლობლებს შევხვდი. ბევრი ახალი ამბავი მოვისმინე.

7

მეორე დილით კი, თორმეტ მაისს, გემის რადიომ სასიხარულო ცნობა
გამოაცხადა. თბომავალ „გიორგი ლეონიძის“ ეკიპაჟს 1974 წლის პირვე-
ლი კვარტალის ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის მიეკუთ-
ვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდა-
მავალი ვიმპელი და პირველი ფულადი პრემია.

ხომალდის ყოველ კუნძულში გარკვევით და ხალისიანად წერიალებ-
და ეს შთამაგონებელი სიტყვები. გემბაზებზე, სამანქანო განყოფილება-
ში, ბარაშპილთან, ტაკელაჟებთან ოუ მართვის პუნქტთან მომუშავე მეზღ-
ვაურები, შტურმანები და მექანიკოსები წუთით წელში გასწორდნენ, შო-
რიდას ერთმანეთს ღიმილი გაუგზავნეს და სიხარულის ტაში შემოკკრეს.

სალამოს რიგითი შემადგენლობის კაიუტკამპანიაში სახელდახელოდ
შექრებილთა წინაშე კვლავ გულდასმით წავიკითხეთ რადიოგრამა, რომ-
ლითაც მსოფლიო ოკეანეში ჩვენი „გიორგი ლეონიძის“ პირველი შრომი-
თი ლაშქრობა ასეთ მაღალ შეფასებას იღებდა. ეს უკვე ახალი გემისა და
მისი ეკიპაჟის საქმიანობის საკავშირო აღიარება იყო.

იმ დღეს მე, როგორც ეკიპაჟის წევრმა და ამ შრომითი გამარჯვე-
ბის ერთმა თანამოზიარებმ, ჩემი ძვირფასი გემის მშვენიერ კოლექტივს ლე-
ქსი ვუძღვენი.

აი ესეც:

ძალიან კარგი დღის ვარ მნახველი, —

ხალხთა დიდ კავშირს ემსახურება

გემი ქართველი კაცის სახელით,

გემი ქართველი მეზღვაურებით.

მეცა ვარ მისი ერთი მატროსი,

ტროპიკი მწვავდა, შტორმებს

ვუძლებდი.

ჩემს გემს მღელვარე შრომის ტაროსით
თავის ამინდი შეაქვს ხუთწლედში.

ეალერსება ანძებს ზღვაური,

ხომალდს კოლეური აქვს მისამართი.

ალალი იყოს ეს სამსახური,

სამშობლოვ, შენი სიკეთისათვის!

ხმელთაშუა ზღვა, შორეულ ოკეანეებში ნახევარწლიანი მძიმე და ძნელი ცურვის შემდეგ, ყოველი ჩვენგანისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა ეზოსთან სიახლოვეს ნიშნავდა.

სამშობლოსთან ყოველდღიური სატელეფონო კავშირიც კი დამყარდა. ჩვენი რაციის მეთაური პავლე მოროზოვი ხან ერთს იწვევდა რადიოსთან, ხან მეორეს, რათა შინაურებსა და ახლობლებს დანატრებული მეზღვაურებისათვის სიხარულის წუთები მიენიჭებინა.

აქ, ამ ზღვაში მართლაც მეტი სიხალისე და მხიარულება სუფევდა ჩვენთვის. ყოველდღე რადიოში მეტიოდ გაისმოდა მოსკოვისა და ზოგჯერ თბილისის ხმაც. ტელევიზორებში საღამოობით სიამოვნებით ვნახულობდით საინტერესო პროგრამებს ხან ეცრობის, ხან აფრიკის რომელიმე ქალაქიდან. ყველანი ვემზადებოდით 15 მაისისათვის, რათა გვენახა ესპანელ და დასავლეთგერმანელ ფეხბურთელთა მატჩი ევროპის კონტინენტის პირველობაზე.

მთავარი ამოცანა კი ის იყო, რომ ორიოდე დღეში ალექსანდრიაში დროულად, შეუფერხებლად გადაგვეტვირთა ოცდაცხრა ათასი ტონა ხორბალი.

აი, ბებერი და მარად ჭაბუკი ქალაქი ალექსანდრიაც პორიზონტზე გამოისახა, შემდეგ კი... შემდეგ ალბათ სამშობლოს ნაპირებისაკენ გვექნება კურსი.

თბომავალი „გიორგი ლეონიძე“.

სიდენი-ალექსანდრია.

მაისი, 1974 წ.

შოთა როვზა

ოქრო მწვანე ვოთლები

ამბავი შრომითი დიდებისა

ციხისძირის მეურნეობის ბალებს რომ გასცემი, სულერთია, ამ მეურნეობის მუშაკი ხარ, თუ სხვა ვინმე, უბრალოდ გზად გამგლელი კაცი, უნებლიერ შესანიშნავ განწყობილებაზე დგები, სიცოცხლის სიყვარულით ივსები, ადამიანის შემოქმედებითი ძალებისადმი სიამაყის გრძნობა გეუფლება.

ევკალიპტების ხეივანში კიბეებს აღმა რომ მიჰყვები, ზღვიდან მონაბერი გრილი და სასიამოვნო ნიავი რომ მკერდზე გეხება, გაგონდება ღილი გალაკტიონის სიტყვები, ჩვენი ხალხის ჰეროიკული შემართების შემხედვარებ ამ საუკუნის ოცდათოან წლებში რომ თქვა:

აქ ასეა, მალე აშრიალდება
ფორთოხალის და ლიმონის ბალები,
დაიქროლებს სიო ჩვენი შავი ზღვის
და პალმების აიწევა თაღები.

მაგრამ ჯერ ჭიშკართან მივიდეთ, ამბავი ჭიშკრიდან დავიწყოთ.

მეურნეობა პიშკრილან იჯევა

ამბავი 1923 წელს დაიწყო. შავი ზღვის პირას, ბათუმიდან ოციოდე კილომეტრის მანძილზე, უძველესი პეტრას ციხის მახლობლად, ზღვაზე გადამდგარ გორაკზე ხის ჭიშკარი გაკეთდა და მის თაღზე წარწერა გამოჩნდა:

„ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა“.

ეს, ერთი შეხედვით უბრალო ფაქტი, სინამდვილეში დიდი მატორი ული შოვლენა იყო: იმ დღიდან შავი ზღვის სანაპიროზე სუბტონის ული კულტურების განვითარების ახალი ერა იწყებოდა!

„ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა“ — მაშინ პატარა ჭიშკრის თაღზე ასეთი აბრა თითქოს პრეტენზიულიც კი იყო. მაგრამ შემდგომმა წლებმა, ამ მეურნეობის დღევანდელმა დღემ, საესებით დაადასტურა მშრომელი ადამიანების მაშინდელი ჩანაფიქრის ჭეშმარიტება და სიდიადე.

დღეს მიღწევებზე ლაპარაკი ადვილია. ახლა მეურნეობის ჭიშკართან, მეგობრობის სკვერთან, მგზავრებიც შეჩერდებიან, ტურისტებიც დაიმუხტებენ, რომ ფერდობზე შეფენილი წალკოტის ცქერით გული და თვალი გაახარონ!

ახლა კი, ბატონო, მაგრამ მაშინ? რა იყო მაშინ, როცა ამ მიწას პირველი ბარი დაჭრეს, როცა ციტრუსების პირველი ნერგები მოიტანეს!

ადვილი საქმე როდი იყო, ომებითა და შიმშილით გამჭვალტყავებული ქვეყანა ახალი საზოგადოების შენებას შესდგომოდა, სიცოცხლე თითქოს ხელახლა იწყებოდა.

მაშინ მეურნეობაში მხოლოდ ოცდაორმეტი კაცი მუშაობდა.

ყველანი ერთ ფიცრულ სახლში ცხოვრობდნენ.

— რა დასამალია, — იგონებს ამ მეურნეობის ცოცხალი მატიანე, პენსიონერი გერმანე კიწმარიშვილი, — ვისოთვის ან რისთვის უნდა იყოს დასამალი, რომ ძლიერ გვიჭირდა. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, აქ რომ მუშაობა დავიწყე. პირველ წლებში დღიური გამომუშავება 30 კაპიქსაც არ გასცდებოდა, მაგრამ ვერავითარი თანხით ვერ გამოხატავ იმ სიხარულს, რაც პირველი ნერგების გახარებამ მოგვანიჭა. ჩვენს თვალშინ, ჩვენს ხელში იბადებოდა მეურნეობა, ფეხს იდგამდა ბალი, რომლის თითოეული ხე ასე ძვირფასი და საყვარელი ხდებოდა. არ ვიტყვი, ხე შვილივით ძიყვარდა-მეთქი. შვილის, მახლობელი ადამიანის სიყვარული არ შეიძლება რა-იმეს შეადარო. მაგრამ ყველა ვერ გაიგებს რა საიხარულო, რა სასიამოვნოა, როცა შენი ხელით გახარებულ ნერგებს უყურებ.

ამ სიხარულის განცდით დატკბობა განგებას მხოლოდ მშრომელი კაცისოთვის უბოძებია.

ოცდაცამეტ ჰექტარზე დაიწყო ციხისძირის საბჭოთა მეურნეობამ თავისი არსებობა. შემდეგ ყოველწლიურად ახალ ფერდობებზე გადადიოდა და მკვიდრდებოდა, ახალ გორაკზე ადიოდა და ისევ ფერდობზე ეშვებოდა.

ასე გაიზარდა 243 ჰექტარამდე.

მეურნეობას ბევრი ჭირ-გარამი ვამოუვლია. წარმატებებთან ერთად ჩავარდნებიც ჰქონდა, ჩამორჩენის წლებიც განუცდია. ზოგჯერ მუშახელი არ ყოფნიდა, ნაკლებ მოსავალს ღებულობდა, გეგმებს ვერ ასრულებდა. კარგი ხელმძღვანელებიც უნახავს და სუსტიც. საქმის მცოდნე ხელმძღვა-

ნელზე, ბეჭით და მუყაით კაცზე, კარგ ორგანიზატორზე კი ჰელიკონის არის დამოკიდებული.

შემთხვევით კი არ იყო, რომ მეურნეობის დაწინაურება, მაღალ-პროდუქტიულობა მეტად თვალსაჩინო ამ შვიდი-რვა წლის მანძილზე გახდა, მაღალი მოსავლიანობა სტაბილური ამ შვიდი-რვა წლის მანძილზე შეიქა.

მაინც რა მოხდა? რამ გამოიღო ასეთი შედეგი?

მეურნეობას სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი და ენერგიული მუშაკი — მეთოდე მინაშვილი.

„ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა, რომლის დირექტორია მეთოდე მინაშვილი, არც ერთ სხვა მეურნეობასთან პრივილეგირებული არ არის. ისეთივე ნიადაგი, ისეთივე ჰავა, აგრეთვე ისეთივე სხვა პირობები, როგორც მეზობელ მეურნეობებს, მაგრამ სხვასთან შედარებით ერთი დიდი პრივილეგია აქვს — მაღალი მოსავალი, ციტრუსოვანთა ყოველ ჰექტარზე 19 ტონა ნაყოფი, და ეს არა ერთი ან ორი წლის მანძილზე, არამედ სისტემატურად, სტაბილურად. სხვა მეურნეობების ხელმძღვანელები, სადაც ჰექტარზე საშუალოდ 2 ან 3 ტონა მოსავალს იღებენ, მიდით ამხანაგ მინაშვილთან. ისწავლეთ სოციალისტური მეურნეობის გაძლილა, გადაიღეთ ციხისძირელთა შრომის მეთოდები“. — ასეთ მაღალ შეფასებას აძლევენ ხელმძღვანელი ორგანოები ამ სახელოვანი მეურნეობის კოლექტივის ღვაწლს.

დღეს ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა მთელ ჩვენს კავშირში, ყოველმხრივ, ყოველი შაჩვენებლის გათვალისწინებით.

დიახ, დღეს სულ სხვაგვარად გამოიყურება მეურნეობის ჭიშკარი, მისი ჭიშკრის წითელღრმულობა თაღი.

გზა მეურნეობაზე გადის

ბათუმიდან მიმავალი ჩაქვს რომ გასცდები, უკვე ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსოვანთა ბალები იწყება. ასე მიჰყვება გზატკეცილს ეს გადაშლილი ბალები უძველეს პეტრას ციხემდე. ვის არ გაუვლია ამ გზაზე, ვინ არ დამტკბარა აღამანის ხელთქმნილი სასაწაულის ნაყოფის ცეკრით, მაშინ, როცა ბალები მწვანედ ღალანებს, მაშინ, როცა ჰყვავის და, მით უმეტეს, როცა ნაყოფით დახუნძლული ოქროსფრად ელავს!

სხვადასხვა დროს ამ გზაზე გაუვლიათ მიხეილ შოლოხოვსა და ალექსეი ტოლსტიოს, ანრი ბარბიუსსა და ნიკოლოზ ტიხონოვს.

რამდენჯერ შთაუგონებია ამ სილამაზეს გალაკტიონ ტაბიძე და გომრგი ლეონიძე. ამ გზიდან რამდენჯერ გასცემროდნენ ზღვას მიკოლა ბაჟა-

ნი და სიმონ ჩიქვანი. რამდენჯერ სწვევიან აჭარას კონსტანტინე გამსპ-
ხურდია და შალვა დადიანი!

მართლაც რა კარგია, რომ გზა მეურნეობაზე გაღის! პოეტისთვის
თითქოს სიმბოლურიცაა: მთელი საბჭოთა კავშირი და ბევრი უცხოელი
ტურისტი ხედავს, როგორ ჰყვავის ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მე-
ურნეობა!

მაგრამ სულ სხვა თვალით შეხედა ამ გზას 1966 წელს მეურნეობის
ახალმა დირექტორმა მეთოდე მინაშვილმა.

ახალმა დირექტორმა ამ გზას ნაკლოვანი მხარეც აღმოუჩინა.

ჩამოჭდა ერთ დღეს ქვაზე მეთოდე მინაშვილი ამ გზისპირად და საა-
თი დაინიშნა.

— რა მოგივიდათ, ბატონო მეთოდე, ავად ხომ არ გახდით? — ჰკიოხა
ერთმა თანამშრომელმა.

— არა. კარგადა ვარ. გზის გამტარიანობას ვამოწმებ.

— როგორ? — გაიკვირვა თანამშრომელმა.

— მინდა გავიგო, რამდენი მანქანა გაივლის ერთ საათში, დღეში,
დღე-ღამეში.

თანამშრომელი ვერაფერსაც ვერ მიუხვდა.

— რა მოუხერხო ამ გზას! — თავისთვის ფიქრობდა ახალი დირექ-
ტორი.

მერე გზაზე ღამითაც გამოვიდა, ვილისით რამდენჯერმე აიარ-ჩამო-
არა.

გზისპირზე მიყენებულ ერთ მანქანასთან ვილისი შეაჩერა.

შოთერი დაყენებულ მანქანას რაღაც საეჭვოდ უტრიალებდა.

— გამარჯობათ. დახმარება ხომ არ გჭირდებათ? — ჰკიოხა შოთერს
მინაშვილმა.

— არა, გმადლობთ. — თავაზიანად თქვა შოთერმა, — ყველაფერი
რიგზეა.

— მაშ, რა მოგივიდათ, იქით რომ ჩავიარეთ, აქ იდექით, გამოვიარეთ,
ასევ აქ დგხაროთ.

— არაფერი, დავიღალე და ვისვენებ. — გაიღიმა შოთერმა.

მინაშვილმა, ყოველ შემთხვევისათვის, მანქანის ძარაც დაათვალიერა.

— რაშია საქმე! — ხმას აუწია შოთერმა — და მინაშვილისაკენ წაი-
წია, — უმჯობესია გაიაროთ და თქვენს საქმეს მიხედოთ!

— ჩემი საქმე სხვა რაა, შე ოხერო? ვისია მანდარინი? სად მიგაქვს?

პლანტაციიდან ხელაც გამოვარდა სამი ახალგაზრდა კაცი.

— რაშია საქმე, ამხანაგო? — შეტევაზე გაღმოვიდა ერთი მათგანი,
— ვინ გვითხავს თქვენ?

ორი კაცი სწრაფად ავიდა ძარაზე.

შოთერი კაბინაში მოთავსდა.

მანდარინი საქართველოსად მოეკრიფათ.

— მანქანა არ დაძრა აღგილიდან! — შოთერს მიაძახა მინაშენდლიშვილი.

უცებ მესამე აზალგაზრდამაც კაბინაში ჰქონა თავი და მანქანა ამჟუავდა. სანამ მინაშენილი „ვილისთან“ მივიღოდა, მანდარინის ქურდებმა მოუსცეს. მანქანის ნომრის ჩაწერა მოასწრო დირექტორმა, დადევნებას, კი აზრი აღარ ჰქონდა, — ესენი პირველი არ იყვნენ.

ასე გადიოდა წლების მანძილზე მანდარინი მეურნეობის ბალებიდან. ხშირად აქ დატვირთული მანქანა კურსს პირდაპირ რუსეთის ბაზრისაკენ იღებდა.

ერთ საღამოს მსუბუქი მანქანაც დაიჭირა ახალმა დირექტორმა. კარგა გვარიანად ჩატვირთათ ჯერ კიდევ უმწიფარი ნაყოფი.

— რა მოხდა მერე? — თავი იმართლეს ციტრუსის ბალის „მოზიარებმა“, — დიდი საქმე! მეურნეობა ხომ საბჭოთა კავშირისაა, ჩვენც ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ. ახლა ხომ ყველაფერი ჩვენია! ან კი რა დააკლდება ამხელა მეურნეობას? თქვენ ყველას მოკრეფას ვერც მოასწრებთ, თოვლი მოგისწრებთ. ის კი არა, მადლობაც უნდა გვითხრათ, — მანდარინის ხეები ტვირთისაგან გავათავისუფლეთ!

ერთ დღეს „მოზიარებმა“ კინალამ მოჰქლეს ახალი დირექტორი.

— ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე! — ხმა აღიმაღლეს მათ, — პირადად შენი ხომ არაა, შენ გართმევთ რამეს?!

და გზაზე გუგუნებდა და გუგუნებდა მანქანები...

— რა მოვუხერხო ამ გზა! — ისევ ფიქრობდა მეურნეობის დირექტორი და თითქოს ყურში ჩასწიოდა გათავხედებული, სხვის ქონებაზე გაწუწებული კაცის ხმა: „რა მოხდა!“, „შენ ხომ არ გართმევთ!“, „რაშია საქმე!“

საქმე იმაში იყო, რომ... მეურნეობას ჭიშკარი კი ჰქონდა, მაგრამ მისი ტერიტორია, მისი ბალები შემოვლობილი არ იყო.

ხუთი კილომეტრის სიგრძეზე — მიხვეულ-მოხვეულ შარაგზაზე რა ყარაული შესძლებდა დატაცებისაგან მეურნეობის მონაგარის დაცვა!

„მეურნეობა უნდა შემოვლობოთ! — გადაწყვიტა მეთოდე მინაშენილ-მა, — უნდა შემოვლობოთ ლითონის ბაღით, მკვიდრად, საიმედოდ!“

მაგრამ აღვილი საქმე არც ეს აღმოჩნდა. მარტო იმიტომ კი არა, რომ პრაქტიკულად ძნელი იყო ამოდენა სამუშაოს შესრულება და ეს საქმე გვარიან თანხასაც მოითხოვდა.

არა, მარტო ამიტომ კი არა.

თვით ლობეს, ლობის იდეას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. ბევრი ვინმე იყო განაწენებული ამ ლობით.

— გარშმუნებთ, მეგობრებო, — ეუბნებოდა მათ მეთოდე, — ლობე თქვენ „არ დაგაზარალებთ“, პირიქით, ბევრს მოიგებთ. მატერიალურადაც

მოიგებთ და ღამითაც მშვიდად დაიძინებთ! კმარა, მეურნეობის დოკულატა
დატაცებისაგან უნდა დავიცვათ!

ახალმა დირექტორმა მალე დაარწმუნა აღამიანები, რომ მეურნეობა
მათი საერთო ოჯახია, რომ იგი მათი ბედნიერი ცხოვრების წყაროდ უნდა
იქცეს. და ასეც მოხდა: მომდევნო წელს, შემოლობილი ბალებიდან ორმა-
გი მოსავალი მიიღეს და მეურნეობის მუშაქთა შრომის ანაზღაურებაც გა-
იზარდა.

„რატომ არ ვიცოდით, ღობე თუ ამდენ მანდარინს ისხამდაო!“ —
ხუმრობით ამბობდნენ მეურნეობაში.

მთავარია გალეგის მოგლა-პატრონობა

მაგრამ მთავარი მაინც ღობე როდი იყო.

— მთავარია ბალების მოვლა-პატრონობა! — ფიქრობდა შეთოვე მი-
ნაშვილი, როცა მეურნეობის შემოლობას მორჩია, — შრომის ორგანიზა-
ცია ითვალისწინებს თითოეული ჰექტარის საფუძვლიან დამუშავებას, მო-
სავლის გაღიღებას.

პლანტაციები დაიარა, ბალების მდგომარეობა შეისწავლა, აღამიანებს
ესაუბრა, მათი გუნება-განწყობილება გაიგო.

— ამისთანა ხალხით მთას დასძრავ, — ამბობდა დირექტორი, — გა-
უკეთებელი რა დაგრჩება!

მაგრამ საჭიროა ბალების მოვლა და ნიადაგის დამუშავება მეცნიე-
რულ საფუძველზე დავაყენოთ. ახლა ამ მიმართულებით გაჩაღდა მუშაო-
ბა. გაითვალისწინეს აჭარის სუბტროპიკული ზონის კლიმატური პირობე-
ბი, რადგან ციხისძირი ამ ზონის ცენტრში მდებარეობს. აქ საშუალო
წლიური ნალექი 2500 მილიმეტრია, ზოგჯერ უფრო მეტიც, — 3000-მდე
აღწევს. ეს მოვლენა სრულებით არაა ხელსაყრელი ნიადაგისათვის. მეუ-
რნეობის ბალები დამრეც ფერდობებზეა გაშენებული, ნალექი კი ნიადაგს
რეცხავს და ფიტავს, მცენარისათვის აუცილებელ მინერალებს ართმევს.

ამოქმედდა მეურნეობის აგრო-ქიმიური ლაბორატორია.

— მიწა თუ არ გაანოყიერე, — გვეუბნება ამ ლაბორატორიის გამგე
გიორგი ნასყიდაშვილი, — ნიადაგი თუ არ შეისწავლე, შეუძლებელია მი-
სი რაციონალურად დამუშავება და გამოყენება. ამიტომ ლაბორატორიულ
მონაცემებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ყოველი სამეურნეო წლის და-
საწყისში ვადგენთ კარტოგრამებს თითოეული ნაკვეთის ნიადაგის ქიმიუ-
რი შემადგენლობის შესახებ. ამ კარტოგრამების საფუძველზე ვანგარი-
შობთ რომელ ფართობში რა რაოდენობის მინერალური თუ ორგანული
სასუქები უნდა შევიტანოთ. ამ მხრივ ჩვენი გამოცდილება ბევრს გმოა-
დგება.

— რომელ ფართობში კი არა, — აგრძელებს საუბარს მეურნეობის საუბარი მთავარი აგრძნომი თემურ ნოღაიდელი, — გაანგარიშებული გვაქვს რომელ ხეს რა რაოდენობის სასუქი უნდა მივცეთ. ვითვალისწინებთ მცენარის მდგომარეობას, წლოვანებას. ზრდაში ჩამორჩენილ და შედარებით სუსტ მცენარეს წუნწუხით ვკვებავთ, ხოლო ახალგაზრდა ხეების ძირში ვთესავთ ხანჭკოლას და სოიოს — ეგრეთწოდებულ მწვანე სასუქს.

— გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ თუ ნიადაგს ლაბორატორიულად არ შეისწავლით, მინერალური სასუქების შეტანა სახითათოა. ზოგჯერ ხდება ნიადაგის გამჟავება და გაღარიბება. ამგვარ ნიადაგში მცენარე ყვითლდება და სუსტდება. ასეთ შემთხვევაში ძალზე ეფექტური აღმოჩნდა ციტრუსოვანთა ნარგავებში ნაცრის, — მზესუმზირას ნარჩენების ნამწვის შეტანა.

— კეთილი, მაგრამ სად ვიშოვოთ მზესუმზირას ნაცრი? — ვეკითხებით გიორგი ნასყიდაშვილს.

— უნდა ვიშოვოთ! — საუბარში ერევა მთავარი ეკონომისტი ალექსანდრე ვასაძე, — ჩვენ იგი კრასნოდარის მხარიდან ჩამოგვაქვს. რას იზამ, თუ საჭიროა, უნდა იშოვო და შემოიტანო.

მოზრდილი ხეების ძირში 3-4 კილოგრამი ნაცრის შეტანამ მცენარის გარეგნული შესახედაობაც კი შეცვალა, — ფოთლების სიყვითლე გაქრა და ხეებმა მწვანე, საღი ფერი მიიღო. რაც მთავარია, მოსავლიანობა გაიზარდა. ერთხანს ტუნგის ნარჩენებიც მოგვექონდა — ესეც ძალზე ეფექტური გამოდგა, მოსავალს ადიდებს. მაგრამ ტუნგის ნარჩენებს ახლა ბევრი ხმარობს და ყველას აღარ ჰყოფნის.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მეურნეობა ცუდად მარაგდება ნაკელით. სასუქების შემოტანა კვლავაც მტკივნეულ საკითხად რჩება. რა თქმა უნდა, ჩვენს ბალებს მეცადინეობას არ ვაკლებთ, — რაც არ მოაქვთ, თვითონ ვშოულობთ, მაგრამ რამდენად მოვიგებდით, მოგვარებული რომ იყოს სასუქების ცენტრალიზებული წესით შემოზიდვა!

ყველაფერი რომ აწონ-დაწონეს, ნიადაგის დამუშავების გეგმა რომ შეადგინეს, სასუქების შეტანის ვადები და რაოდენობა რომ განსაზღვრეს, — ახალი საზრუნავი გაჩნდა.

— როგორ გინდა მოსავლის ვადიდებაზე იფიქრო, მაღალ მოსავალზე იოცნებო, თუ ბალები დაგივავადმყოფდა! ავადმყოფობა კი, სამწუხაროდ ბევრნაირი ჩამოუვლის ამ ციტრუსებს. ადამიანიც ასე არ არის? სხვას რომ თავი დავანებოთ, კაცს ხან ქოლერის შიში ჰქლავს, ხან — ვირუსული გრიპის! დასწყევლის ღმერთი, რამდენ მავნეს გინდა ებრძოლო!

— რომელია უფრო საშიში, — ეკითხებოდა სპეციალისტებს მეთოდებინაშვილი, — ფრთათეთრა, ბაქტერიული ნეკროზი თუ ბეწვიანი წითელი ტკიბა?

— ყველა ერთი ჭირია, ბატონო!

— უნდა შევქმნათ სპეციალური ბრიგადა, — თქვა დირექტორმა, ციტრუსების მჯურნალთა სპეციალური ჯგუფი. სხვანაირად როგორ გრინდა ამხელა ტერიტორიას უწამლო და უმჯურნალო!

ამ ჯგუფმა დიდი შრომა გასწია: პირველ წლებში ბალების შეწამვლა წელიწადში რვაჯერ ეწყობოდა, მერე — შვიდჯერ, ექვსჯერ... წელს კი დაგეგმილია — ხუთჯერ. საქმე იმაშია, რომ სპეციალისტთა აქტიური წინააღმდეგობის შედეგად თანდათან შესუსტდა მცენარის მავნებელთა მოქმედება, განსაკუთრებით შემცირდა ფრთათერა ანუ თეთრი ბუზი. ახლა მცენარეს ხასხასა, დაკრიალებული ფოთოლი აქვს. მაგრამ ამით დაშვიდება არ შეიძლება — მახლობლად სხვისი პლანტაციებია, რომლებსაც მოთლად ხეირიანად ვერ უვლიან, — ბუზს კი ფრთა აქვს!

ახლა მეჩერიანობა? მეჩერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველმხრივ გაძართლებულია: მოსავალზეც რომ არაფერი ვთქვათ, თვალსაც არ სიამოვნებს ბალში რომ ცარიელი ადგილებია დატოვებული. ასეთი კი მეურნეობაში ხშირი იყო. ხანდაზმული ხეები მწყობრიდან თანდათანობით გამოდის, ხან ყინვა აზიანებს, — საჭიროა ახალი დაირგას. ამ მიზნით მეურნეობამ საკუთარი სანერგეც კი შექმნა. მეჩერიანობის აღმოფხვრაც ხომ მოსავლის გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა!

შეთოდე მინაშვილი

მეთოდე მინაშვილი მეურნეობის საქმეებში გამოუცდელი კაცი როდი იყო, როცა აქ მოვიდა. ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ ენახა და განეცადა, — კარგიც და ავიც. ადამიანები, მათი შემოქმედებითი შრომის სასწაული ყოველთვის სწამდა.

მეთოდე ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობიდან გადმოიყვანეს. ადრეც, სადაც არ ემუშავნა, საქმე ყველგან კარგად ჰქონდა აწყობილი. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ედგა სათავეში ალამბრისა და კვირიეს საბჭოთა მეურნეობებს, იმ ჰეროკული შემართების წლებში ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს აშენებდა. კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზეც იყო. მერე ისევ ჩაისა და ციტრუსის ბალები, ისევ მეურნეობები!

დიდი გამოცდილების, ცოდნის მქონე მოვიდა ციხისძირის მეურნეობაში შეთოდე მინაშვილი.

მოვიდა და...

არა, მეთოდეს არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი. თავის დამსახურებაზე კრინტსაც არ დასძრავს. მეურნეობის მიღწევებს იგი გამრჯე ადამიანების შრომას მიაწერს, წინსვლის წყაროდ მეურნეობის მუშების, აგრონომების, ბრიგადირების თავდადებულ მეცადინეობას ასახელებს.

რა თქმა უნდა, მეთოდე მართალია.

მაგრამ მართალი არიან მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი მეთოდეზე ლაპარაკობენ.

— მეთოდე მინაშვილი კარგი ხელმძღვანელია-მეთქი, რომ ვთქვა, ამით ახალს ვერაფერს ვერ ვიტყვი, — ამბობს მეურნეობის მთავარი ეკონომისტი ალექსანდრე ვასაძე, — ჩემი აზრით, ჩვენი წარმატებების მთავარი პირობა ის არის, რომ მეთოდეს უყვარს ადამიანები. და ეს ადამიანები ამას გრძნობენ. მეთოდესათვის მეურნეობა ერთი დიდი საერთო ოჯახია, სადაც თითოეული წევრის ჭირ-ვარამი საზიაროა. როცა ადამიანს ადამიანურად უყურებ, როცა იცის, რომ შენ მასზე ზრუნავ, ისიც საერთო საქმისათვის თავს დადებს. მაგალითებს დაგისახელებთ. 1966 წელს, როცა მეურნეობა შემოვლობეთ, ერთგვარი მითქმა-მოთქმა ისმოდა. 1970 წელს კი, როცა ძალზე დიდი მოსავალი მივიღეთ (იმ წელიწადს ამინდ-მაც გაგვიმართლა და 1500 ტონა ციტრუსი მოვკრიფეთ), ჩვენ თვითონ შევთავაზეთ წარმოადგინოთ თავიანთი ოჯახებისათვის გარკვეული რაოდენობის ციტრუსის ნაყოფი.

როგორ ფიქრობთ, წაიღეს? არა, არავის არ წაუღია.

— დაე, ყოველი კილოგრამი ჩვენს მეურნეობას ემატოსო, — ამბობდნენ დიდი მოსავლით გახარებული ადამიანები.

საქმე ის იყო, რომ დიდმა მოსავალმა მათი პირადი შემოსავალიც გაზარდა, საყოფაცხოვრებო პირობები გააუმჯობესა.

როცა საუბარი მეურნეობის დირექტორს შეეხო, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ლევან ვერულიძემ შემომხედა.

— აპრილში თბილისში რომ მწერლებისა და კრიტიკოსების საკავშირო ფორუმი გაიმართა, ესწრებოდით?

— ვესწრებოდი.

— მე თვალყურს ვადევნებდი ფორუმის მსვლელობას, — „კომუნისტის სახე მხატვრულ ლიტერატურაში“... ამ თემაზე იყო საუბარი, არა?

— დიახ, ასე იყო.

— მერე, კომუნისტის ტიპი თუ გნებავთ, აგერ, მეთოდე მინაშვილი — ჩვენი დირექტორი. ჭკვიანი, პატიოსანი, თავმდაბალი, ენერგიული, მცოდნე, ინიციატორი, ორგანიზატორი, ნამდვილი მოღვაწე, კაცური კაცი!

რა არის გეღნივერება

ეს ბალები ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება.

მაში, როგორ ცხოვრობენ ის ადამიანები, რომლებიც ამ მეურნეობაში შრომობენ?

ამაზე პასუხს მეურნეობის ვეტერანი, პენსიონერი გერმანე კიშვარი-შვილი გაგვცემს.

— იცი, რას გეტყვით, ჩემო ბიძია? — ამბობს გერმანე, — ბევრმა ჯანლონით სავსე ახალგაზრდამ, რომელსაც მშვენიერი ტანსაცმელაც არ ვის, ბინაც კარგი აქვს, ზოგიერთს მანქანაც ჰყავს, არ იცის რა არის ბეღნიერება. მე რომ კაცმა მკითხოს, დიდი ცოდვაა ის კაცი, ვინც არ იცის რა არის ბეღნიერება.

როცა ჩვიდმეტი წლისამ ამ მეურნეობაში მუშაობა დავიწყე, თუმცა ძალზე ღარიბი ვიყავი, მაგრამ თავს ბეღნიერად ვთვლიდი, რადგან ჯანმრთელი ვიყავი და მომავლის იმედიც მქონდა.

როგორც მოგახსენეთ, მაშინ ოცდათორმეტი კაცი ერთ ფიცრულ სახლში ვცხოვრობდით და საჭმელიც ნაკლები გვქონდა, მაგრამ მაინც ბეღნიერი ვიყავი.

ხომ გახსოვთ აკაკის ლექსი?

„ხან მაქვს ყველი და პური,
ხანდახან შშიერი ვარ,
მაგრამ ბეღს არ ვემდური,
ვარ და ბეღნიერი ვარ“.

მაგრამ როცა ადამიანს ნორმალური ცხოვრების პირობები აქვს, ამაზე დიდი ბეღნიერება რა უნდა იყოს!

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში ძალიან ფეხმოდგმული იყო სიძლიდრის მოხვეჭისაკენ სწრაფვა. ამ სწრაფვამ ისეთი ადამიანებიც კი გააფუჭა, ადრე პატიოსან კაცად რომ ვიცნობდი.

რა იყო ამის მიზეზი?

მიზეზი ის იყო, რომ ამ ადამიანებმა არ იციან, რა არის ბეღნიერება. მათ ბეღნიერება ზედმეტი ქონების დაგროვება, სხვისი ნათელარის ხელში ჩაგდება ჰგონიათ. გაჩაღებული იყო გამომძალველობა, მექრთამეობა, პატიოსანი კაცის მოტყუება. მაგრამ ყველაზე მეტად სამწუხარო მაინც ის იყო, ამ უკულმართობის წინააღმდეგ ხმის ამოღება რომ ცუდ კაცობად ითვლებოდა. ეს თაღლითები კაი გვარიანი თანამდებობის პირებთან იყვნენ შეკრიბანჭულებული და თავს არხეინად გრძნობდნენ.

ვენაცვალე ჩვენს პარტიას, — რომ მისდგა ამ გაიძვერებს! ჯერ კიდევ ბევრი რამაა მოსაგვარებელი, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თაღლითებმა რიხი რომ დაკარგეს! დიახ, — განაგრძობს მოხუცი, — საჭიროა ადამიანებმა იცოდნენ, რა არის ბეღნიერება. მოგახსენეთ, გვიჭირდა და თავს მაინც ბეღნიერად ვთვლიდი-მეთქი.

მაგრამ სულ სხვაა დღევანდელი ბეღნიერება!

ახლა მაქვს ტანსაცმელიც, საჭმელიც, არის წყალი, არის აბანო, სასა-დილო, რაღიო, ტელევიზორი, კლუბი. თავზე დამყურებს ლაუვარდოვანი ცა, სახლის წინ შრიალებს ევკალიპტის ხეები, ზღვიდან ქრის მაცოცხლე-

ბელი ნიავი. აივნიდან მეურნეობის ბალებს რომ გავცქერი, გულრისცვალება
შრომისაკენ მიმიწევს.

შეიძლება იყოს ამაზე დიდი ბედნიერება?

ხშირად მიფიქრია: ის გენერალი, რომელსაც ძველად აქ აგარაკი ჰქონდა, ჩემზე ბედნიერი არ ყოფილა.

დიახ, ცოდვაა კაცი, ვინც არ იცის რა არის ბედნიერება!

პენსიონერი? პენსიონერი არ დამიძახოთ! ეს, ალბათ, ხანდაზმულობისათვის მაძლევს მთავრობა დახმარებას, თორემ უქმად რა გამაჩერებს, ჩემი მეურნეობისათვის კიდევ საჭირო ვარ.

დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო გერმანე, თქვენისთანა კაცი ყოველთვის საჭიროა!

მაინც რა მიიღო ციხისძირის მეურნეობის მუშამ, როგორია დღეს მისი მატერიალური კეთილდღეობის დონე?

ამ მხრვ ბევრი რამ გაკეთდა. მუყაითმა და ბეჭითმა შრომამ, შრომის სწორშა ორგანიზაციამ ნაყოფიც დიდებული გამოიღო. საქმარისია ითქვას, რომ მეურნეობის მუშის საშუალო თვიური ხელფასი 130-140 მანეთამდე გაიზარდა. გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, — ამ უკანასკნელ წლებში აქ აშენდა 12 კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, 2 აბანო, 2 სასალილო, გამოყვანილია საუკეთესო სასმელი წყალი, მეურნეობას აქვს საბავშვო ბაგა, საბავშვო ბალი, სამედიცინო პუნქტი.

საბავშვო ბალებისა და მეურნეობის მუშების რჩით უზრუნველყოფის მიზნით აქ შეიქმნა მესაქონლეობის ფერმა. მართალია, ფერმა პატარაა, მაგრამ დღესდღეობით მეურნეობას ჰყოფნის.

საოცარია ამ ფერმის ისტორია.

— როგორ ვიყოლიოთ ციტრუსების მეურნეობაში საქონელი, საღმოვათავსოთ, რით გამოვკვებოთ? — დიდხანს იყო ეს თავსამტვრევ პრობლემად.

— არა და ურძეობაც რომ არ იქნება? — ეკითხებოდა მთავარ ეკონომისტს მეურნეობის დირექტორი, — დიდებს რომ თავი დავანებოთ, ბავშვების ურძეობა როგორ იქნება!

ფერმისათვის ადგილი გამონახეს, საქონელიც შეიძინეს, მაგრამ საცვები?

— უნდა გამოვნახოთ ადგილი და მოვაწყოთ პატარა სათიბი, — წინადადება წამოაყენა მთავარმა აგრონომმა თემურ ნოლაიდელმა, — არის მრავალწლიანი ბალახი — იტალიური კოინდარი, თესლი ვიშოვოთ, დავთესოთ და თივა გვექნება.

ჩვენ დავათვალიერეთ პატარა ხევი, სადაც ღელის პირზე ათასი კვადრატული მეტრი მიწა გამოუნახვთ. აქ ზამთრობით ცივა და ციტრუსები ჩერ ხარობს. მიწა გადაუბარავთ, ბალახი დაუთესავთ, არხით წყალი ვაუგვანიათ და სამაქანო გზაც ჩაუყვანიათ.

ვნახე, როგორ მარჯვედ ცელავდა ამ ხასხასა თივას მეურნეობის მუშავია, ეროვნებით უკრაინელი — ივანე ევანი.

ივანეს ნაპირი ამოეტანა, მოთიბული ბალახი ახალ გაყვანილი სამანქანო გზის პირად დაეწყო.

— ახლა ამას მანქანა მოაკითხავს და ფერმაში წაიღებს. საქონელი დიდი სიამოვნებით მიირთმევს ამ მწვანე ბალახს. ბალახიც უხვად მოდის — ყოველი ოცი დღის შემდეგ გასათიბავია. ერთი კიდიდან რომ დავიწყებ ცელვას, მეორე კიდეში გასვლამდე ხელახლა მოსულია. ასეთი პატარა სათიბი მეორეც გვაქვს ფერმის მახლობლად.

მართლაც, რას ნიშანავს მიწის რაციონალურად გამოყენება! აქ თითოეული მტეაველი მიწა რაღაცითაა დაკავებული.

ციტრუსების მეურნეობა ჰქვია, თორემ მეურნეობაში განა მარტო ციტრუსებია? მართალია, ციტრუსები აქ წამყვანი კულტურაა, მაგრამ ციტრუსებს გარდა არის 18 ჰექტარი ჩაისა და 20 ჰექტარი ბამბუკის პლანტაციებიც. ბამბუკი ისეთ ხევებშია გაშენებული, სადაც ციტრუსი ვერ ხარბის. შარშან მეურნეობამ 29 ათასი ცალი ბამბუკი მიჰყიდა სახელმწიფოს.

ეს მაგალითი სხვებსაც გამოადგებათ!

— როგორ ცხოვრობთ, ივან ვასილიევიჩ? — ვეკითხები ევანს, სათიბში რომ დაგვხვდა, — როგორია თქვენი განწყობილება? როგორი ოჯახი გაქვთ? რამდენი ხანია აქ მუშაობთ?

— მე როგორ ვცხოვრობ? — იღიმება ევანი, — როგორ გითხრათ... ისე, როგორც სხვები. მაღას არ ვუჩივი, განწყობილება ჩინებული მაქვს. ვმუშაობ და ვცხოვრობ. მეურნეობაში დიდი ხანია ვმუშაობ. აქ დავიჭახდი. მშრომელი ოჯახი გვაქვს. გვაფასებენ, — გამომუშავება კარგია, ორდენები, მედლები არ ვგაქლია. გამოფენის მონაწილე რამდენიმეჯერ ვიყავით. ჩემი მეუღლეც მოწინავე მუშაა, ორდენოსანი. იყო არჩეული აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ამ მეურნეობაში ოთხი შვილი გავზარდეთ: ერთი ვაჟი ციმბირში წავიდა და იქ დაოჭახდა, მეორე — გვარას ასფალტის ქარხანაში მუშაობს, მესამე — არმიაშია, ქალიშვილი საშუალო სკოლას წელს ამთავრებს და მეურნეობაში დარჩენას ფიქრობს. მეკოთხებით, როგორი განწყობილება გაქვთო? თქვენი აზრით, როგორი უნდა მქონდეს? დაე, ქვეყნად მშვიდობა იყოს, შვილები კარგად გვყავდეს და — უკეთესი რა უნდა ვინატროთ!

— ქართული იცით?

— რატომ არ ვიცი? — ქართულად მეუბნება, — მელაპარაკეთ ქართულად.

— ნახვამდის, ივან ვასილიევიჩ. ღმერთმა სულ კარგ გუნებაზე გამყოფოს!

— ნახვამდის, პატივცემულო. — ამბობს ევანი და იღებს ცელს, ახალი ლი ნაპირის დასაწყებად.

ევანის სათიბიდან ვილისით წამოსულებს გზად ჭალარა კაცი შემოგვეყარა.

— გააჩერე, ვასია! — შოთერს ეუბნება ალექსანდრე ვასაძე, — ვანო სტურუას ჯანმრთელობა მოვიყითხოთ.

— გამარჯობათ, ბატონო ვანო. რევოლუციონერის სახელი და გვარი. გქონიათ!

— სპეციალობით კი აგრონომი ვარ, ომიდან დაბრუნების შემდეგ...

— სწორედ ცხრა მაისს ვნახე თქვენი სურათი მეურნეობის კანტორაში, — ომის მონაწილეთა სტენდზე, ბევრი ჭილდო გქონიათ.

— ჭილდოები არც ომის შემდეგ დამკლებია, — ამბობს ვანო სტურუა, — სახლში მესტუმრეთ, იქ ვისაუბროთ, აქვე ვცხოვრობ, — ლიმონარიუმის პირდაპირ რომ სახლი დგას, გზიდანაც მოჩანს — ეზოში ვენახის ტალავერია. ისაა ჩემი სახლი. კარგი ადესა მაქვს, მეუღლეს ხაჭაპურის გამოცხობა შეუძლია, წავიდეთ.

— კარგი სპეციალისტია, ამეამად ჰენსიაზეა, მაგრამ ბრიგადირად მაინც მუშაობს. — მეუბნება ალექსანდრე ვასაძე, — სამი ქალიშვილის მამაა. ერთი გათხოვილი ჰყავს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, მეორე — ტურბაზაში მუშაობს, მესამე — მუსიკას ასწავლის.

ვანოსთან აღარ შეეჩერებულვართ, იგი თავის ბრიგადაში მიიჩქაროდა.

ჩვენი „ვილისი“ მეოთხე აგროგანყოფილების ცენტრში, მუშათა სასადილოს წინ შეჩერდა. შეუძლებელია ქ არ შეჩერდე, — სასადილოს წინ ორი წყარო გამოდის.

— მთლიან რომ ქვეყანა გვალვით იწვოდეს, ეს წყაროები მაინც ასე ცივი და საამოა, — გვეუბნება ამ აგროგანყოფილების მუშა, პენიონერისასან ცივაძე.

— დიდი ხანია მეურნეობაში მუშაობთ? — ვეკითხები ხასანს.

— დიდი ხანია, ბატონო, 1925 წლიდან აქა ვარ.

— ეს მოხუცი ჩემი მარჯვენა ხელია! — ამბობს აგროგანყოფილების გმართველი, დამსახურებული აგრონომი რამიზ ჭიგავაძე.

თქვენ რომელი წლიდან მუშაობთ, ბატონო რამიზ?

— 1948 წელს, როცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე, სამუშაოდ აქ გამომგზავნეს. მას შემდეგ აქა ვარ, და ისე შევეჩვიე, ვერც კი წარმომიდგენია სხვაგან მუშაობა თუ შეიძლება.

დიდებული სანახვია ამ აგროგანყოფილების ციტრუსოვანთა ბალები. პატარა ხევს გაღმა-გამოღმით ფერდობებზე შეფინილი პლანტაციები დიდ გადაშლილ წიგნს მოგავონებთ. ახლა ძალიან ლამაზია თეთრი ყვავილებით გადაპენტილი ეს დიდი, ლურჯი წიგნი. მაგრამ იგი შემოდგომაზე უნდა ნახოთ, როცა აქაურობა ოქროსფრად აელვარდება!

მშრომელი კაცის მარჯვენის სიღიადეს ვკითხულობთ ამ დიდი წიგნის და მშვენიერ ფურტლებზე.

— შარშან ამ აგროგანყოფილებაშ სახელმწიფოს 373 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი მიჰყიდა, — ამბობს ალექსანდრე ვასაძე, — ჰექტარიდან საშუალოდ 23 ტონა ნაყოფი მოიტრიფა. კარგი მოსავალი მიიღო პირველმა აგროგანყოფილებამაც, რომელსაც აგრონომი ი. აფხაძე ხელმძღვანელობს. იქ ჰექტარზე 22 ტონა ნაყოფი მიიღოს.

ჩვენს ჯგუფს ორი ახალგაზრდა კაცი შემოუერთდა.

— ჩვენი მოწინავე ბრიგადირებია — დავით მესხიძე და რეზო ჯინჭარაძე, — გაგვაცნო რამიზმა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ? — ვეკითხები რამიზს.

— არა, ოჯახი სოფელ ხუცუბანში მაქვს. ჩემი მეუღლე — უუჟუნა ჯიჯავაძე (გრძელიძე) იქ მუშაობს, სოციალისტური შრომის გმირია. ერთ-ერთ, როცა შინ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალი მივიტანე, ცოლმა მომილოცა, თანაც გადაკვრით მითხრა:

— კარგია გამოფენის მედალი, მაგრამ ჩემს მედალთან რას მივა, გმირის მედალი სულ სხვანაირად ბრწყინავსო.

— ვინ იცის, იქნებ მეც გავხდე სოციალისტური შრომის გმირი-მეთქი, — თავი დავითმედე. — იცინის რამიზი. — ბეღნიერი ოჯახი გვაქვს, ოთხი შვილი გვყავს.

— ღმერთმა ნუ მოგიშალოთ! — ვეუბნები რამიზს, — გისურვებთ დიდ წარმატებებს, წელს ჰექტარზე 25 ტონა ციტრუსი მოგეკრიფოთ!

ახლა ჩვენი „ვილიის“ სხვა მიმართულებით მიისწრაფვის.

მეურნეობის მოწინავე მუშების, სმოლიანიკოვების ოჯახში შინ არავინ დაგვიხვდა.

— ესენი ახლა თავიანთ ფართობში იქნებიან. — ამბობს მეურნეობის დირექტორი და „ვილიიში“ ჯდება.

— წავიდეთ.

— თქვენ რაღად გაწუხებთ, ბატონო მეთოდე, ჩვენ თვითონ წავალთ.

— მე მაინც იქით მაქვს საქმე, იმ ფართობში კუშინ არ ვყოფილვარ, უნახოთ, რა ამბებია. მერე, აქეთობას ჩვენს ფერმასაც გაჩვენებთ.

სმოლიანიკოვები მართლაც თავიანთ ფართობში დაგვიხვდნენ.

ჯანღონით სავსე მარია სმოლიანიკოვას ხელში თოხი ეჭირა და აღრეშებარულ ფორთოხლებს ახლა ძირს უთოხნიდა.

მეორე ტერასზე ქმარი, ნიკოლოზ სმოლიანიკოვი აყვავილებული ფართოხლის ძირში იჯდა, თოხს ჩამოყრდნობოდა და პაპიროსს აბოლებდა.

— გამარჯობა, მარია ნიკიტოვნა!

— გამარჯობა, ნიკალიი ეგორიჩ!

— გაგიმარჯოთ.

— ჩვენ შინ მოგაკითხეთ, თქვენ კი ძალლიან-კატიანად სამუშაოზე,
წამოსულხართ! — შეეხუმრა ალექსანდრე ვასაძე.

— აბა, ამისთანა ამინდში შინ რა გაგვაჩერებდა, — ამბობს მარია, —
ცოტაც დაგვრჩა და ამ ფართობსაც დაგამთავრებთ.

— დიდი გამრჯე ადამიანები არიან! — ამბობს დირექტორი, — თა-
ვიანთი საქმე იციან. სანამ სამუშაოს რიგიანად არ დაამთავრებენ, არ მო-
ეშვებიან. მერე არც გართობა-დასვენება ავიწყდებათ. უყვართ კლუბში-
მისვლა, ტელევიზორის ყურება, მუსიკა, ცეკვა.

— მაშ, როგორ? — იღიმება მარია, — ტყვილად ხომ არ ამბობენ კუ-
ლტურული მომსახურების დონე ამაღლდაო, ჩვენც ვსარგებლობთ ამ კუ-
ლტურით.

ნიკოლოზ სმოლიანიკოვი მეურნეობაში 1948 წელს მოვიდა, მარია —
1950 წელს. აქ შეიქმნა მათი ოჯახი, აქ გამოზარდეს ოთხი შვილი. ვაჟი
მეურნეობის სახსრებით იყო გაგზავნილი სასწავლებელში და ავტომექანი-
კოსი გახდა. უფროსი ქალიშვილი დონეცემში გათხოვდა და საქონელმცო-
დნედ მუშაობს. ორი ტყუპი გოგონა — ლუბა და ვერა მეხუთე კლასის
მოწაფეები არიან.

მოწინავე მეციტუსე მარია სმოლიანიკოვა ბევრჯერ იყო სახალხო
მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე მოსკოვში.

— წელს მოსახლეს კარგი პირი უჩანს, — უხარია მარიას, — ყვავი-
ლი კარგ იმედს იძლევა, განსაკუთრებით კარგადაა ლიმონი და ფორთოხა-
ლი. ამინდი ცოტას ჭირვეულობს, მაგრამ ალბათ მალე გამოსწორდება.
ციტრუსებს ჩვენი მზრუნველობა არ მოაკლდება.

გვესტურეთ, შემოღვომაზე!

ვასიამ მანქანა ჩართო, ახალი მიმართულებით მივდივართ.

ახალ ბალებში შევდივართ და კარგი ამბები გამოგვაჭვს.

ვთქვათ ორიოდე სიტყვა ჩვენს ვასიაზეც.

შოთერი ვასილ სლობოდინიუკი ამ მეურნეობაში დედამ მოიყვანა.
აქ გაიზარდა და ისწავლა. ერთხანს მექანიკოსი იყო. თითქმის ოცდაათი
წელიწადია შოთრად მუშაობს. მეუღლეც მეურნეობაშია, ქალიშვილი სა-
შედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება, ბიჭი მეოთხე კლასში
სწავლობს.

მშრომელი ადამიანების სხვადასხვა ბიოგრაფიებით სავსეა ციხისძი-
რის საბჭოთა მეურნეობა. აქ ერთმანეთის გვერდით, შეხმატკბილებულად
შრომიბენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები — ქართველები, რუსები,
უკრაინელები, სომხები...

აქ ყველას თავისი საქმე აქვს, მაგრამ თითოეული ერთ საერთო საქ-
მეს ემსახურება. ამასთან თითოეულის ჭირი და ლხინი ყველას საზიაროა,
ყველა ერთმანეთისათვის ზრუნვას.

იქნებ სწორედ ამშია მშრომელი კაცის ბედნიერება!



დიდი საამაყო მაჩვენებლებით დაამთვრეს შარშანდელი წელიწადი — მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელი — ციხისძირელმა მშრომელებმა: მოკრიფეს და სახელმწიფოს მიყიდვეს 904 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 94 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 29 ათასი ცალი ბამბუკი.

მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას ცუდი მაჩვენებელი როდი პქონდა, მაგრამ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაინც ციხისძირელებისა აჯობეს.

1966 წლიდან ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის უცვლელი მონაწილეა. გამოფენაზე ამ მეურნეობას სპეციალური კუთხე და სტენდი აქვს დათმობილი. შარშან გამოფენის მონაწილე გახდა 20 მოწინავე მეციტრუსე. რამდენჯერმე არიან გამოფენის სიგელებითა და მედლებით დაჯილდოებული უ. ბარაშიძე, მ. სმოლანიკოვა, ე. ქემოკლიძე, ზ. იაკიმოვა, ს. კუშნირი, ს. გაზაშვილი, ვ. სალამახა, ა. კაზარიანი და სხვები.

მეურნეობა სანიმუშო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებულია პირველი ხარისხის ხუთი დიპლომით, საპატიო დიპლომით, გამოფენის ოქროს შედლით.

1972 წელს ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ პრაღაში, მოეწყო გამოფენა „სსრკ 50 წლისთავი“. ამ გამოფენაში წარმატებით მონაწილეობისათვის ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოვდა გამოფენის დიპლომით.

იმავე წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მეურნეობა დაჯილდოვდა გამოფენის საპატიო სიგელით, ავტობუსითა და მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩით“.

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლისათვის კიდევ უფრო ახალი ძალით გააჩაღეს შემართებული, შემოქმედებითი შრომა მეურნეობის მუშაკებმა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება: აგრორაიონი აგრორაიონს გაეჭიბრა, ბრიგადა — ბრიგადას, რგოლი — რგოლს.

— მიმდინარე წელს გეგმით 990 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა მოვკრიფოთ, — გვეუბნებიან ციხისძირელები, — მაგრამ ვალდებულება ვიყისრეთ გეგმის გადამტებით ნახელმწიფოს 120 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი მიყვიდოთ, ესე იგი სულ — 1100 ტონა.

— ვნახოთ, ბუნება როგორ დაგვაჯილდოებს, — ეშმაკურად იღიმება წეურნეობის ღირექტორი, — ვინ იცის, იქნებ კიდევ ერთი ასი ტონა... შეიძლება ორასიც... ყოველ შემთხვევაში, პირველობას ვერავის ვერ დავუთმობთ!

ვინც ციხისძირის მეურნეობას ნახავს, ვინც უხვი მოსავლისათვის მის

სამზადისს გაეცნობა, ვინც ამ ბალებს შემფასებელი კაცის თვალით გადა-
ტელავს, მისოვის ცხადი გახდება, რომ ციხისძირელები პირობას გადა-
დებენ, — ჩვენი ქვეყნის მშრომელები წელს ციხისძირელებისაგან უხვ
საჩუქარს მიიღებენ.

მოსაგვარებელი საპითები

— რა პრობლემების წინაშე დგას მეურნეობა ამჟამად, რა სიძნელე-
ები გიშლით ხელს? — ვეკითხები მეთოდე მინაშვილს.

დირექტორი პასუხს აგვიანებს.

— მოსაგვარებელი საკითხები რომ არ გვქონდეს, — ღიმილით მეუ-
ბნება მერე, — პრობლემები რომ მოთავდეს, ცხოვრება ძალზე უინტერე-
სი გახდება.

მერე კი სერიოზულად იწყებს:

— ალმა-ატაში წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრე-
უნევმა დაასახელა ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის ორი ძირითადი
მიმართულება. პირველი მათგანია — ისეთი პირობების შექმნა და სრულ-
ყოფა, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის მუშაქთა მა-
ტერიალურ დაინტერესებას.

ამ მხრივ ჩვენთან საქმე კარგად დგას. და შემდგომში მას კიდევ უფ-
რო სრულყოფილს გავხდით.

მაგრამ რაც შეეხება აგრარული პოლიტიკის მეორე ძირითად მიმარ-
თულებას, რომელიც ამხანაგმა ბრეუნევმა დაასახელა, — სოფლის მეურ-
ნეობის გადაყვანას თანამედროვე ინდუსტრიულ ბაზაზე, — ამ მხრივ
ვვაქვს დაბრკოლებანი. თავისი სპეციფიკურობის გამო ჩვენი მეურნეობის
მთლიანად ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყვანა შეუძლებელიცაა და ჩვენთან
ძირითადი მაინც ხელით შრომა დარჩება. მაგრამ ვვაქვს მოსაგვარებელი
საქმეები, სადაც ტექნიკა უნდა წამოგვეშველოს. პირველ რიგში ეს შეეხე-
ბა პლანტაციებში საბაგირო გზების მოწყობას. საბაგირო გზები ფუფუნე-
ბისათვის როდი გვინდა. ეს გზები შეამსუბუქებს მეურნეობის მუშაქთა
შრომას, დაზოგავს მათს ენერგიისა და დროს, აამაღლებს შრომისუნარია-
ნობას. ამ საქმეში გვჭირდება ზემდგომი ორგანოების დახმარება.

ასეთივე საქმეა საპლანტაციო-სამანქანო გზების მოასფალტება. წი-
ნათ პლანტაციებში სამანქანო გზები არ გვქონდა. ჩვენ ეს გზები შევიყვა-
ნეთ და დიდად მოვიგეთ. ახლა მეურნეობის მუშაქებს აღარ უხდებათ ამ
ფერდობებზე ორგანული და მინერალური სასუქების ზურგით ამოტანა.
სუმრობა ხომ არა — 1000 ტონა ტვირთი! გზებმა ძალიან გვიშველა. ახ-
ლა გვინდა მათი მოასფალტება, რომ მანქანას ცუდ ამინდშიაც შეეძლოს
პლანტაციებში ჩასვლა-ამოსვლა.

გვინდა აგრეთვე ავაშენოთ სპეციალისტთა სახლი. ამ სახლში იცხოვდები აგრძონომები, აგრძობრივი დების ხელმძღვანელები. აჭამდებულისტთა ლაბორატორიას, რომელიც ძლიერ გვჭირდება და აგრძელისტს.

და ერთი საკითხიც, რომელიც ძალიან გვაწერებს.

ნათქვამია, „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო“. ჩვენც შემოდგომაზე ვითვლით ჩვენს „წიწილებს“, მაგრამ... ხანდახან ხდება გაუგებრობა.

საქმე ეხება ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება-ჩაბარებას.

მოცემული გეგმის მიხედვით, ციტრუსებს დანიშნულებისამებრ ჩვენივე სახსრებით, მეურნეობის ხარჯებით ვგზავნით. მაგრამ გაგზავნის დროს იქიდან, სადაც ტვირთს ვგზავნით, წარმომადგენელი არ გვესწრება. შემდეგ კი, ზოგჯერ დიდი დაგვიანებითაც, ჩვენს გაგზავნილ ტვირთზე მოდის პრეტენზიები. პრეტენზიები რომ მხოლოდ სიტყვიერი იყოს, ხათრის გულისათვის შეიძლებოდა მოგვეთმინა, მაგრამ ეს პრეტენზიები — ათი ათასობით მანეთებია. ამ პრეტენზიებმა შარშან 18 ათასი მანეთის ზარალი მოგვაყენა! ერთ მაგალითს დავასახელებ. შარშან, დეკემბერში, ჩვენ გავგზავნეთ სამი ვაგონი ციტრუსი (დაახლოებით 50 ტონა), ასანაზღაურებელი თანხა კი დღემდე არაა ჩამორიცხული. მეურნეობამ დღესაც არ იცის რა არის ასეთი შეფერხების, დაგვიანების მიზეზი.

გამოგზავნილი პრეტენზიები უმეტეს წილად უსაფუძვლოა, ხშირად გაუგებარია.

განა ყოველივე ამით სახელმწიფოს ინტერესები არ იბლალება?

ამიტომ სასურველია (სასურველი კი არა, საჭიროა) ციტრუსების გაგზავნას იქაური წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ისინი ტვირთს ჩვენგან მიიღებენ და შემდეგ, რკინიგზასთან ერთად, პასუხისმგებელი იქნებიან მისი დანიშნულების ადგილზე მიტანისათვის. თორემ რა გამოდის: აქედან ჩვენ ვგზავნით პატიონსნად (ჩვენ ფინერშიც ვგზავნით და იქიდან ყოველთვის შადლობას ვლებულობთ!), ტვირთი კი გზაზე ბედის ანაბრადაა, ვიღაც მაქინატორები ჭიბეს ისქელებენ, ჩვენმა მეურნეობამ კი პასუხი უნდა ავსო! რატომ?

და კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც დირექტორს არაფერი უთქვამს.

ამ საკითხს უურნალ „მნათობში“ მორიდებით შეეხო პოეტი ლალო სულაბერიძე, ჩვენ კი უფრო კატეგორიულად გვინდა დაგვაყენოთ.

საქმე ეხება მეურნეობის მეზობლის — საკურორტო სამმართველოს ბალებს.

ვინ არ იცის, რომ საკურორტო სამმართველოს ძალზე ბევრი საქმე აქვს და თავის ძირითად მოვალეობას ცუდად როდი ასრულებს. მაგრამ სამმართველო დატვირთულია მისთვის ზედმეტი ისეთი საქმით, როგორიცაა 10 ჰექტარზე მეტი ფართობის ციტრუსოვანთა ბალების მოვლა-პატონობა. ეს პატარა ამბავი როდია.

ამიტომ გასაკვირიც არაა თუ საკურორტო სამმართველო ამ ბაღებზე და 200 მდე ტონა ნაყოფის მიღება შეიძლება. სამმართველოს კი ამის მეათედიც ვერ მოჰყავს.

შეიძლება ასეთ მდგომარეობას შევურიგდეთ?

„მიწა ხალხის ფასდაუდებელი სიმდიდრეა. — ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეუნევი ალმა-ატაში წარმოთქმულ სიტყვაში, — და ჩვენ მოვალენი ვართ გავუფრთხილდეთ მას, გავადიდოთ მისი ნაყოფიერება, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი უკუგება თითოეულ ჰექტარზე“.

მაშასადამე, რა უნდა ვუყოთ საკურორტო სამმართველოს ბაღებს? ვფიქრობთ, ყოველმხრივ უმჯობესი იქნება საკურორტო სამმართველო გავათავისუფლოთ ამ ბაღების მოვლა-პატრონობისაგან. ყოველ შემთხვევი-სათვის დავუტოვოთ მას მხოლოდ ორი-სამი ჰექტარი ფართობი, საიდანაც კარგი მოვლით იმდენსავე ნაყოფს მიიღებს, რასაც აქამდე 12 ჰექტარიდან იღებდა. დანარჩენი ბაღები კი გადავცეო ციხისძირის საბჭოთა მეურნეობას. მეურნეობასთან ამ საკითხს პირდაპირი კავშირი აქვს. იმიტომ, რომ საკურორტო სამმართველოს ბაღები მეურნეობის ტერიტორიაშია შეჭრილი (აქედან 3 ჰექტარი ადრე მეურნეობას ეკუთვნოდა) და, რაკი სამმართველო ამ პლანტაციების დროულად შეწამვლას ვერ ასწრებს, მეურნეობას უხდება საკუთარი პლანტაციების ხელმეორედ შეწამვლა, რაც ზედმეტ ხარჯებსა და დროს მოითხოვს.

გავათავისუფლოთ სამმართველო. დაე, აკეთოს მან თავისი კეთილშობილური საქმეები, ციტრუსებს კი მეურნეობა მოუვლის.

ვფიქრობთ, საკურორტო სამმართველოს მუშაკები ამ შინადაღებას კმაყოფილებით შეხვდებიან.

მეურნეობის სტუმარები

ახლა ისეთ სტუმრებზე არ ვამბობ, მეურნეობას შარშან რომ ეწვია, — იაპონელი მებაღე, პროფესორი კასიურა. დაიარა მეურნეობის ბაღები და ვერავითარი ნაკლი ვერ უპოვა. მას მხოლოდ ყუთები არ მოეწონა — შიგ მანდარინის ნაყოფს რომ ვაწყობთ, — ხის ყუთები არ ვარგა, უხეშიაო. იაპონიაში პლასტმასის ყუთებს ვხმარობთ, შიგ ლრუბელს ვაგებთო.

ლრუბლისა რა მოგახსენოთ, პატივცემულო სტუმარო, მაგრამ პლასტმასის ყუთებს, ალბათ, ჩვენც მაღლ შემოვიდებთ, — ჯერ ერთი, გამძლეა და მერე, რამდენ ხე-ტყეს და შრომას დავზოგავთ!

უცხოელები, განსაკუთრებით ტურისტები, მეურნეობის ხშირი სტუმრები არიან.

მაგრამ ახლა შინაურ სტუმრებზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა.

იმ დღეს მეურნეობაში მეგობრობის სკვერის გახსნას დავესჭახი. კი შერის პირდაპირ, გზას იქით, პატარა, ლამაზი სკვერი მოუწყვით. მეგ წყაროს წყალი შეუყვანიათ, ბეტონის მაგიდა და სკამები დაუდგამთ, სუბტროპიკული მცენარეულობა დაურგავთ (შეერიც კი არ დავიწყებიათ). სკვერის ჭიშართან ლამაზი, ბამბუკის ფანჩატური გაუკეთებიათ, შიგ ბამბუკისავე მრგვალი მაგიდა და სკამებია.

მეგობრობის სკვერის გახსნა აჭარაში მცხოვრები მწერლების სტუმრობას დაემთხვა. მეურნეობის კლუბში დიღი ლიტერატურული საღამო გაიმართა.

მხცოვანი პოეტი ნესტორ მალაზონია, რომელიც ოთხმოცდაორი წლისა, ლიტერატურულ საღამოს არ გამოტოვებს. იგი ერთნაირი ხალისით მიდის როგორც ბათუმელ პიონერებთან, ისე მაღალმთიანი ხულოს სოფლების მოსწავლეებთან. შარშან შუა ზღვაში ეწვია პოეტი ბათუმის საზღვაო სანაოსნოს ტანკერებს და მეზღვაურებს, იქაც წაუკითხა თავისი „რამაშა“.

იმ დღეს ციხისძირელთა სტუმრები იყვნენ საქართველოს სახალხო არტისტი იუსუფ კობალაძე, პოეტები მამია ვარშანიძე, ზურაბ გორგილაძე, ჯემალ ჯაყელი, ჯემალ ქათამაძე (რომელიც ციხისძირელია და ამ მეურნეობის ხშირი სტუმარია), ახალგაზრდა მწერალი ვახტანგ ახვლედანი. სტუმრად მოსულიყო მწერალი, სცენარისტი სულიკო უღენტი. როცა მას სიტყვა მისცეს, დარბაზში განსაკუთრებული ტაშის გრიალი გაისმა (საოცარი დამთხვევა იყო, — სწორედ წინაღმით უჩვენებლნენ ტელევიზიით კინოფილმ „გარისკაცის მამას“).

პოეტებმა წარმოთქვეს სიტყვები, წაიკითხეს მეცხრე ხუთწლედის გმირებისადმი მიღვნილი ახალი ნაწარმოებები. საღამოზე გამოვიდნენ მეურნეობის მუშები, აგრო-ქიმიური ლაბორატორიის გამგე გიორგი ნასყიდაშვილი, ციხისძირის საშუალო სკოლის დირექტორი ნიკოლოზ მილორავა (სხვათა შორის, როგორც გვითხრეს, სკოლა დიდ დახმარებას უწევს მეურნეობას. შარშან მოსწავლეთა ძალებით ორასი ტონა ციტრუსი მოიკრიფა), მოსწავლეები გამოვიდნენ მხატვრული კითხვით, სიმღერებით, ცეკვებით. მხატვრულ განკოფილებაში მონაწილეობა მიიღეს თვითმოქმედმა წრეებმა, რომლებიც მეურნეობის კლუბთანაა ჩამოყალიბებული.

შესანიშნავი, დასამახსოვრებელი საღამო გაიმართა.

— რა ხალხი გესწრებოდათ! — ვუთხარი ალექსანდრე ვასაძეს.

— კლუბზე ჩვენ ბოქლომი არა გვაქვს, — გაიღიმა ალექსანდრემ, — ყოველ კვირას ასეთ საღამოს ვმართავთ.

არ ვეთხოვები ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას. რამდენი კარგი საქმე ვნახე, რამდენი კი კაცი გავიცანი, რამდენი ჩამ დამრჩა უთქმელი. 9 მაისს ყვავილებული ეკალიპტები რომ დავინახე, გზისპირებზე თეთრად გადაპენტილი აკაცია რომ იჩხეოდა, ფორთოხლისა და შანდარინის ბალებიდან ნიავს ყვავილის დამათრობელი სურნელი რომ მოჰქონდა, დამენანა, ძლიერ დამენანა, რომ არსად არ ზუზუნებდა ფუტკარი, მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმული ჩვენი რუხი, გრძელხორთუმა ფუტკარი, — აღამიანის მეგობარი, მებალის თანაშემწე!

მეურნეობის მუშაკებთან ამაზეც მინდოდა სიტყვა ჩამომეგდო. ვიცი, ეს შხამქიმიყატები და ფუტკარი ერთმანეთს ვერ ეწყობიან, მაგრამ... იქნებ შევვექმნა მეფუტკრების „მოძრავი ფერმაც“, რომელიც ციტრუსოვანთა ბალებს ყვავილობაზე დროებით მაინც ესტუმრებოდა. პატარა საქმე ხომ არაა, — ეს შხამები რომ არა, ფუტკარს შეუძლია ციტრუსოვანთა მოსავალი 7-8 პროცენტით მაინც გაზარდოს!

რა მოხდებოდა, ციტრუსოვანთა ყვავილობის წინ ერთი შეწამვლა „მენიუდან“ რომ ამოგველო და ერთი თვით ეს ბალები ფუტკრისათვის დაგვეთმო?

ახლა იქნებ ამ წინადაღებამ ზოგიერთს ღიმილიც კი მოჰვევაროს, მაგრამ შეიძლება ხვალ ამ საქმეზე ვინმემ სერიოზულად იფიქროს.

ტურისტები ისვენებენ თქვენს ჭიშკართან, მეგობრებო! მე ვნახე, მეგობრობის სკვერში რა კმაყოფილი ისხდნენ თბილისელი პენსიონერი, დამსვენებელი ვარლამ ბზექალავა, ვოროშილოვრადელი ინჯინერ-ტექნიკონგი თამარა ჩუღნაია, კრასნოდარელი მშენებელი ლიდა მაქსიმენკო...

ამ სკვერიდან, ამ თქვენი ჭიშკრიდან მთელს ჩვენს სამშობლოში მიდის თქვენი ბარაქიანი შრომის სასიხარულო ამბები.

ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, მეგობრებო!
დაილოცოს თქვენი მარჯვენა!

ციხისძირი, მაისი, 1974.

ჩ ე მ ი ს ო მ ა ლ დ ი

ვუძლვნი კაპიტან ზურაბ პატარაძეს.

სამშობლოს ცისკარს ლაუგარდები ჩამოეხურა,
და ვერაფერი ვერ ვუშველე სევდას შეჩენილს,
და ოცნებები მომეთბუნა, მომეზაფხულა,
ტალღებს გადადის, მიგუგუნებს ხომალდი ჩემი.

მე განა მიმაქვს ზარბაზნები სხვათ ჩასაქოლად,
მე განა მიღდას ატომები — ქვეყნის მომსვრელი.
ჩადგეს მზის ირგვლივ ბოროტების ქარების ქროლა,
გალობა იყოს დადაგულის... და ცა მომსმენი.

ჩემს ყურში რეკავს ჩემი ქვეყნის ბედის საათი,
მაუწყებელი დიდ დღეთა და დიდი მომავლის.
ჩემი ვარსკვლავი კოსმოსიდან მუდამ დამნათის,
მიღდის, მიარღვევს ბნელ-უკუნეთს ჩემი ხომალდი.

არგონავტები მოგრგვინავდნენ ჩვენდა თავზარად,
ჩვენდა თავზარად მოგრგვინავდნენ უცხო-უცხონი...
მომაგონდა და გული ჩემი სევდამ დაბზარა,
თითქოს ჩამიქრა გზის შუქურა — ჩემი ცის ხომლი.

თამარ მეფემაც ხომალდი ზომ ზღვაში ჩაუშვა,
თავგასულ სულთანს შავ კარავში სტამბოლს მიუხტა...
მე არც ვინმეს ოცნებების კარავს ჩავუშლი,
რა წარიტანა საგანძურად ვინამც იმუხთლა?!

მე არც დავაფრთხობ შენს თოლიებს
— უცოდველ ფრინველთ,

შე მრისხანებით არ დავუფრთხობ ძილს აკვნის ბავშვებში და მომარტინება...
ანძებზე შესხდნენ... და ხან თავზე გადამიფრინეს...
და ოცნებაში ჩემს პატარას გავეთამაშე.

ალიმართება ჩემს წინ რაღაც ზღაპრული კონცხი,
და ჰა, მგონია, საოცნებო ბედთან მივეღი,
და მამულივით უცხო მიწის ზურმუხტებს ვკოცნი,
და წკრიალებენ, წკრიალებენ გულის სიმები.

გასწი ხომალდო, დალოცვილო პოსეიდონის,
და მოიპოვე უპოვარი გზები დიდების.
წინ მეხატება ჩემი ქვეყნის ზღვა და მინდორი,
ჩემი ახალი საქართველოს მე ვარ იმედი.

უცხო მხარეო, რად მომაბყარ დიდი თვალები,
იმედად მსახავ? იმედი ვარ, განა მუქარა.
ზანგი ხარ ბიჭო? მოდი, მოდი, გენაცვალები,
მოდი, გიბოძო რაღაც შენი ბედის მშუქარად!

უცხო მხარეო, ნუ მაშინებ შენი ჯუნგლებით,
ვიცი, ხევები რა თქეშიან წარლვნით შეხრულა.
მელანდებიან ბილიკებზე კაცნი ჯუჯები,
გამოხტა ლომი, და გამოხტა ვეფხიც ვეფხურად...

გასწი ხომალდო, რად ბარბაცებ, განა დაშინდი?
ცხრას კი არა და ათ ტალლასაც მკერდით გააპობ,
ვით ხარ მერანი საყვარელი ბარათაშვილის
და ეძებ ბნელში, სტიქიონში ბედს და სალამპროს.

უცხო მხარეო, ვერ შეგიცან, გეძებ რუკაზე,
რა დიალია შენი ნაზი ბაიარალები!
უცხო მხარეო, ცასთან ახლოვ, შენი მბუგავს მზე,
და მე მაოცებს პალმები და შენი ბალები.

შენც გესტუმრები ინდოეთო, ოცნების მხარევ,
შენც გესტუმრები, შენ აფრიკავ... ხედავთ?! მოვფრინავ...
ქართველ კაპიტანს, შორს, შორს მიმსრბოლს,
მე ის მახარებს,
კეთილს, რომ ვთესავ... სიკეთე ხომ შვება ყოფილა.

მიყვარხართ ჩემო მეგობრებო, უცხო მხრისანო,
მშვიდობა ჩვენდა... დე, სიძლვილს გასვლოდეს ყაფლას ცუჭა
ძმებო, ტრფიალი ერთმანეთის უნდა ვისწავლოთ, პირული რა ის სული სიყვარულით თუ კი არ ჰყვავის...

რაა ის კაცი თუ აკვნის ჩვილს არ შეიცოდებს,
თავის სიცოცხლეს არ მიიტანს მისთვის ტარიგად,
ალალი იყოს ბავშვებისთვის ჩემი სიცოცხლე,
და მე ქართველი კაპიტანი ვარ ტარიელი,
და ბალღებისთვის ხმლით აგუშტავ, გველო, იცოდე!

მამულო ჩემო, საქართველოვ, ტკბილო სიზმარო,
შორიდან შენი შვილი გკოცნი და გეხუტები;
შენ რაც ჩამითქვი, აღვასრულო, არ დავიზარო,
რომ დავგარბაცდე, ვიცი, ვიცი გამებუტები.

ვფიცავ შენს ალამს, მე დავიცავ ლირსებას შენსას,
ომახიანად გივლი ქვეყნად, ვფიცავ შენს სახელს.
მოგივალ მალე, და შენი მთის ცივ წყაროს შეგსვამ,
სულმოუთქმელად შემოვირბენ შენს ვრცელ სანახებს,
სამშობლოვ, ჩემო აღმაფრენავ, ვფიცავ შენს სახელს.

ჩემს ყურში რეკავს ჩემი ქვეყნის ბედის საათი,
მაუწყებელი დიდ დღეთა და დიდი მომავლის.
ჩემი ვარსკვლავი კოსმოსიდან მუდამ დამნათის,
მიდის, მიარღვევს ბნელ-უკუნეთს ჩემი ხომალდი.

გასწი ხომალდო ალისფერი დროშის ფრიალით,
გაარღვევს გორიზ ტალღებს შენი მკერდი ფოლადი..
დღეს უსაზღვროა ჩემი ლტოლვა, ჩემი ტრფიალი,
ტალღებს გადადის, მიგუგუნებს ჩემი ხომალდი,
გასწი ხომალდო ალისფერი დროშის ფრიალით.

0101 ასაკი

„შერევინული მოთხრობები“

1. მორცყვის ზღაპარი

იმ დილითაც ქერია ბათუანმა ჩვეულებრივ გახსნა ვარა და მთელი ღამის მანძილზე დაგუბებული წყლის ტალღები არხის ყელთან ადგა-ფუნდა. მირაბის გაწაფულმა თვალმა მაშინვე შენიშნა, რომ გაღვიძებული წყალი სულ ლალა გრძელია. მიწოდ არხის ყელში რამდენჯერ-მე დაატრიალა ბარი. ნალექი მიწა აბუბუყდა, ატივტივდა და ფქვილი-ვით გაძრული, მღვრიე ზოლად გაპყვა ქვემოთკენ კისრისტესით გადავა-რდნილ წყალს.

მირაბი ნელ-ნელა აედევნა ფერეიდნის მიწების დამრწყულებული აფუსის მთის ნაჟურს. ბარის მოზომილი დარტყმით მარჯვედ სსნიდა გვერდითა არხებს, რათა გული ტანწვრილ არიკებსაც დაამებოდა. ასე დაალაგა წყალი და კმაყოფილმა გადახედა მთის ფურდობებსა და ველე-ბზე გაშლილ ბალ-ვენახებს, ყანებსა და ბოსტნებს.

მზე კარგა მაღალზე იდგა, საჭმეს რომ მორჩია, არხისპირას ამოზრ-დილ ტანკენარ ჩინართან შესდგა, სველი ბარი მიწაში ჩაასო და შენაშუ-ლი ჩოხა მათ შორის გაპყიდა. შემდეგ ღონივრად გაიზმორა და მიწაზე გაწოლილი ჩრდილის გასწვრივ გაიშოტა. გაუნძრევლად შეაჩერდა მოწ-მენდილ ცას, რომლის სივრცეში გუნდ-გუნდად ირეოდნენ წვრილი ფრი-ნველები. ყურში საამოდ ჩაესმოდა წყლის ღურღუტი და თანდათან რუ-ლი მოვკიდა. ძილღვიძილა თითქოს მაინც ხედავდა წყლის ნაკადების სრბოლას ყანებისა და ბალ-ვენახთა კვლებისაკენ.

„სადამდი მისწდების აფუსის წყალი, ეგრე ნებაზე რო გაუშო?“ — გაიფიქრა ქერიამ. გაუკვირდა, ასეთი რამ თავში აქამდე რომ არ მოსვლაა.

„სანამდი მისწდების?.. სანამდი მისწდების?“ — აეკვიატა მირაბს და ფიქრმაც თითქოს ფრთები შეისხა. სმენია, რომ ფერეიდნის მთებს გადალმა ერთმანეთზე გადაჭაჭვული ვრცელი ველები და სერებია. ჩმთ იქით კუპრულის მაღალი მთები. შემდეგ, თურმე, კაცთაგან გაუვალი უდანო იწყება. იმ უდაბნოს იქით ზღვა ყოფილა, რომლის ნაპირიდან უკვე გურჯისტანის ლაშაზი მთები ილანდება...“

თითქოს ამ მთების ნახვას ელოდაო, ძერიამ თვალები ფართოდ გაახილა, მაგრამ მზერა მზეს შეაჭრა და თავი აფუსის მთისკენ შეაბრუნა. მის მწვერვალს ახლა მარტოდენ არწივი უვლიდა ფრთების ნელი, ამაყი რწევით.

„რაით ხანში ჩაფრინდების გურჯისტანში?“

მირაბის ფიქრები უკვე შორეულ სამშობლოს მიეჯაჭვა.

„ჩემი საქართველოს ნახვა ეგრე მინდის... თოლი და ყური იქით-ყე მიქს... პაპა ამბობს, სამოთხესა გავსო. ბავშვი ყოფილა, იქედან რომ აუყრიათ გურჯები .. სულ ბალ-ვენახებით არისო დაფარული... ტყეებსა და მდელოებს, თურმე, თვალს ვერ უწვდენ... ყოველ ნაბიჯზე ცივი, ან-კარა წყარო მოსჩეფსო“...

წადილიც თავისთვალ დაებადა:

„რისით არ მიგალ, რაისით?“.

„შორია ვერ ჩააღწევ!“ — ჩაესმა საიდლანაც.

„ჩააღწევ, ჩააღწევ!“ — გული გაუმაგრა სხვა ხმამ.

წამოიწია. მიიხედ-მოიხედა. ვერავინ დალანდა და თავი ისევ მიწანე დაუშვა. ხმა კვლავ აჩურჩულდა:

— „ჩააღწევ, რატომაც არ ჩააღწევ... ოლონდ გაბედე... ვე მომენდე!“
ვინ ამბობს ამას?

ასე ჰერნია, აფუსის წყალი ელიდლიკება. მისი კი სჯერა, ძერიას, ძალიანაც სჯერა!...

ყოველდღიურმა. შეჩვეულმა საზრუნავმა გამოაფხიზლა და ფეხზე წამოაგდო. ჩოხა ჩინარის ნორჩ ხეს დაუტოვა, ბარი მხარზე გაიდვა და არხს ჩაუყვა. იარა, იარა და ხედავს: კლდიდან ჩამოწოლილ ლოდის წყალი წელში გადაუწყვეტია. მხოლოდ მცირე ნაკადი გაძერომია მშიმე ქვას ქვემოდან. უფრო ღონიერს კი არხი გადაუხეთქია და სადღაც გვერდზე გავარდნილა, ფერდობის ვასწვრივ გრძლად გაწოლილ ბილიკზე.

საით მიღის ეს ბილიკი?!

ძერიამ ბარი მოიმარჯვა, რომ ლოდი გადაეყირავებინა, მაგრამ რატომდაც ხელი არ მიჰყვა. მისი მზერა გვერდზე გასხლეტილ წყალს გაჰყვა.

„საითკუნ გაქცეულა?“ — ტვინს უბურღავს ცნობისმოყვარეობა. აღგა და გაეკიდა.

ონავარ წყალს ბილიკი გაეღია და ქეტვნარით დაფარულ სერჩევის გრძელების დასულიყო. იქედან სხვა სერჩე... შემდეგ თვალი ვეღარ ჰქიდა. პირი მარტინი „რა იქნა?!“

„გურჯისტანისკინ წავიდა, გურჯისტანისკენ!“ — იყო იმ უცნაური ტმის პასუხი.

ქერიამ დაუთავქვევა. ხტუნვა-ხტუნვით გადადიოდა ლოდებსა და ქვებზე, გვერდს უვლიდა იელისა და გიაზის ბუჩქებს, რომელთა უკან, ხან აქ, ხან იქ, გაქცეული წყლის წელი ელავდა. მირაბი ბავშვივით გახალისდა. მიჰყვა და მიჰყვა. გარბის წყალი, გარბის ქერიაც. დაიღალა, ქანცი გამოელია. უკან გამობრუნება იფიქრა, მაგრამ გულმა უგრძნო — წყალს რაღაც გაჭირვებოდა. ისევ გამოუდგა. მართლაც წყალს სალი კლდე გადასდგომოდა წინ. დარეტიანებულს გზა ვეღარ ეპოვნა და აღგილზე ბრუნავდა გაბრაზებული, დორბლმოლებული. არ ეპუებოდა ტინს, ციმციმ ეხლებოდა მკერდზე, შეეფებს ნაპერწკლებივით აპნევდა ირგვლივ.

„ცოტა მოითმინე ონავარავ!... მოლონიერდი, ძალა მოიქრიბე და კლდეც გაგიშვებს!“ — დააიმუდა ქერიამ და ბარი მოიქნია. კლდიდან გამოკვესილი ნაპერწკლები მორევში აშიშინდა და წყალიც აღუღდა, აბობოქრდა. ერთმა გათამამებულმა ზვირთმა კუდი მოიქნია და კლდეს თავზე გადაევლო. მას სხვებიც მიჰყვნენ... უმარჯვა და უმარჯვა მირაბმა ბარი. კლდემ ფართოდ გადაიხსნა დარბილებული მკერდი.

დაუთავქვევა ქერიამაც. მირბის და მირბის. გზას ბოლო არ უჩანს. გალაღებულ წყალს ვეღარ ეწევა. გულამოვარდნილი მირაბი ისევ შეყყუყმანდა. მზე შუბის ტარზე დასულა. ახლავე თუ არ გამობრუნდა, დალამებამდე შინ ვერ მოასწრებს. ან მიასწრებს კია?! ე, რამოდენა გზა გამოუვლია ამ თამაშ-თამაშში! აფუსის მწვერვალიც კი მიეფარა თვალს... ისევ ქვევითქენ გაუწია გულმა. მთის ძირში სოფელი ჩანს. ღამეს იქ გაათევს. მაგრამ როგორ ჩავიდეს?..

ისევ წყლის კვალს მიჰყვა.

„ქერია, მიშველე, ვიღუპები!“ — გაიგონა ამ დროს.

გამშრალ ხევს შეჩეხოდა აფუსის წყალი. თავი ვეღარ შეემაგრებინა და შიგ იღვრებოდა დაგაფუნით და ვაი-ვიშით. გრძნობდა, ამოდენა ხევს ვერ დაარწყულებდა და მის არტახებში ჩაჭედილი, სულ დალევდა. ყლუპაღაც არ ეყოფოდა ლოდების ძირიდან ამომძვრალ, სახექაცვიან და ფესვებგაძვალებულ გლერძებს.

„ბრალია წყლის ასე დაკარგვა!“

ქერია მიადგა წაქცეულ ხეს, გვერდზე მიუხათქუნ-მოუხათქუნა ბარი და დააყრევინა წყურვილით გამომშრალ-დაფუტუროებული გული. ღარი მხარზე გაიდვა, ხევში ჩაბობლდა და ნაპირიდან ნაპირს უწვდინა. ჩქერა-

ლმაც არ დააყოვნა — ფეხის სხლეტა-სხლეტით შემოხტა ზედ და გაღმა გავიდა. ჯერ ფერდობის გასწვრივ გაიჭიმა, შემდეგ ზემოთ უარიდა ულელტეხილისაკენ უტია.

ძერიამაც შეუპირალმართა მთისათი. ავიდა კინწიხზე და თვალწინ გადაეშალა ჩამავალი მზის შუქით განათებული ღუნია. გამჭვირვალე იის-ფური ნისლით მკერდამოვსებულ სივრცეში ჩუმად ჩაყუშულიყვნენ თოვლიანი მთათა მწვერვალები, ოქროსფრად დაფერილი ველები, რომელთა კალთები მზით გამდნარ ჰორიზონტს იქით იკარგებოდა.

„ჩემი სანატრელი, საყორველი საქართველო იქ იქნების... ეგ მიწა მისი ნაგლეჯი იქნების!“

ღამის პირისპირ დარჩენილი მიხვდა, რომ უკან დასაბრუნებელი გზა არეოდა, დაპკარგოდა. და მაშინ ვიღაც ამღერდა ძერიას გულში;

„გურჯი მიღის გურჯისტანისკენ!... გურჯი მიღის გურჯისტანისკენ!... დალამდა.

ცა ვარსკვლავებით მოიჭედა.

ბინდის ჩადრით შემოსილ ხეებში მწუხარედ ატირდა მიკიოტი.

სადღაც ახლოს ფოცხვერები და ტურები აჩხავლდნენ.

ძერიამ იგრძნო, რომ მასაც მოშორებოდა ტყეში მოშლიგინე ნადირივით. მაგრამ შიმშილზე ძლიერი აღმოჩნდა დაღლილობა, დაღლილობაზე ძლიერი — ძილი. თვალები ეხუჭება, მუხლები ეკეცება, სადაცაა მიწაზე უნდა დაეცეს.

კბილებს ილესავუნ მახლობლად ჩასაფრებული მგლები და აფთრები. მაგრამ აფუსის წყალს როდი ძინავს!.. მირაბს ფეხებშუა გაუსრიალდა, ტალღები შეატყლაშუნა: „მე მოყევი, წამოდი ჩემთან!“

ასე გაჩნდნენ ტანმაღალ, ფართოდ მკლავებგაშლილ მუხასთან. ძერიამ მუხის ტოტებში მოიკალათა და ძილის ანგელოსმაც გულში ჩაისუტა.

წყალი კი უვლის და უვლის ირგვლივ მუხას, რომ მას არავინ გაეკაროს. ტბადეცეული, თვალმოულულავად დარაჭობს თავისი ერთვულე მეგობრის მყუდროებას!..

ძერია კი ამ ღროს სიზმარში ხედავს საოცნებო იისფერ მთებს, მოქარგულ ველებს, საღაც ხეები ოქროს ნაყოფით დახუნდლულან.... მიწის გულიდან მოსჩქეფს რძისა და თაფლის წყაროები... ბიბინებენ ნაირფერი ყვავილები, რომელთაც ფრთახატულა პეპლები და ოქროსფერი ფუტკრები დახვევიან...

ალიონზე ორივე მეგობარი გზას გაუდგა ისევ.

ერთი კვირის მანძილი დაღაშებამდე გაიარეს.

ძიღევ დაუღამდათ.

ძიღევ გაუთენდათ.

უკან მოიტოვეს ათასი მთა და სერი, ათასი ტყე და ველი. და როცა ეგონათ გავაღწიეთო, უდაბნომ მათკენ სამუშაო დასძრა. ავი ტორტმაშითა და გუგუნით ამოიბურცენ ვრცელ, უკიდეგანო სივრცეში ზურგანურებული დიუნები და ჰერში აღიმართა. სილის მეწამული ფარდა, რომელ-შიც მზერა ვერ ატანდა.

მაინც არ შემდრეკალან. მიდიოდნენ, მიბობლავდნენ საქსაულისა და კუზილუნას ბუჩქებით ოდნავ შემწვანებულ სერებსა და ბორცვებზე, რომელთაც არ უჩანდა ბოლო.

სწრაფვაც უსასრულო იყო და დაუძლეველი. ის, რაც თავდაპირველად ჰეგვდა სიანცუს, იქცა გატაცებად, შემდეგ უინად, ბოლოს კი გაუტეხავ სიჯიუტედ.

უდაბნოს მეუფებ — უზარმაზარმა თეთრმა მზემაც ვერაფერი გააჭყო ამ სიჯიუტესთან. თითქოს მხურვალება არ ეყო. გაგულისებული, კიდევ უფრო გაიძერა, გასივდა და ბოლოს გასკდა. ცამდე ასულ ქვიშაში გაძრული სიმხურვალე ალივით შემოეხვია ჟერიას. გავარვარებული ქვიშის ნემსები კბენს და ჩხვლეტს სამოსშემოძარცვულ სხეულს, მოძრვება თვალებში, ნესტოებში, ყურებში, ფხაჭნის და წვავს ყელს. კაცი მაინც მიდის!

აფუსის მთის წყალსაც გაჭირვებოდა. ახლა ძალ-ღონეს ძერიას გმინვაკვნესაზე იკრებდა. მირაბი რომ ჩაიკეცებოდა და დახეთქილ ტუჩებს ააცმაცუნებდა, წყალმა იცოდა რასაც თხოვდნენ. წვეთი-წვეთს შეეწებებოდა, ერთ ყლუპად შეიკვრებოდა და ქვიშიდან გამოანათებდა, რომ მეგობრისათვის ტუჩები დაენამა. წყურვილის დაოკება აღარ ძალუძღაუდე, რადგან ძალვი დასუსტებოდა, დაწრეტოდა.

მაინც არ ეპუებოდნენ უდაბნოს.

ძერია აფუსის წყალს ვეღარ ხედავდა, მაგრამ მის სუსტ ურიალს მაინც გრძნობდა უდაბნოს გულში, როცა ყურს ქვიშაზე დადებდა.

„გაუტელ, ძერიავ, გაუძელ!... ბოლოს მაინც გახვალ!“..

მირაბიც მიჰყვებოდა დაუსარულებელ გზას. ეცემოდა და დგებოდა. დგებოდა და მიდიოდა...

გაოცებული იყვნენ მისით უდაბნოს ვერაგი ლამაზმანი კობრა, ავი გიურზა და დაუნდობელი ეფა. ქეჩის აიყრიდნენ მხოლოდ და კუდზე შემართულნი, ნებიერი რწევა-რწევით შესცეროდნენ მარტოდ მავალს უდაბნოში, ვინაც მათი მეფური მყუდროება დაარღვია.

ვერც ბრაზიანი ფალანგები და მორიელები იმეტებდნენ დასაგესლა-ვად.

ვერ დასცა უდაბნომ წინ მავალი.

ხარბმა ქვიშამ ვერც აფუსის მთის ნაჯური გააქრო. იგი მაინც მიურნავდა წვეთ-წვეთად. მიწანწეარებდა წინ, სულ წინ...

გამოჩნდა მოსარკული სივრცე. მირაბის გამოშრალ ნესტოები მათ რილის ოხშივარმა შეულიტინა. მაგრამ ეს მარილის ტბა იყო და მარა ჩადგინა.

თავისი საუფლოს მიჯნასთან მისულთ კიდევ ერთხელ შეუტია უდაბნომ. ბარხანები სილის ტალღების ნელი, სისხლის გამყინავი რწევა-შრიალით დაიძრნენ ცხელი ბუნაგებიდან და წინმავალთ შემოადგნენ. ჟემდეგ მათი შემჩატებული მძიმე სხეული აიფოფრა, აფუვდა და მზის გვირგვინამდე აზავთდა.

კაცი მაინც არ ტყდება, თუმცა ნაკვალევი მისი მხოლოდ სისხლია. აფუსის წყალი სულ მიყუჩებულა, გატრუნულა. ხანდისხან თუ ამო-იკნავლებს საიდანლაც განწირული ხმით:

„მიშველე! მიშველე!“

მირაბმა კიდევ ერთხელ უხმო სიმხნევეს. გადაგდებულ ბართან მიწოხდა და მის ტარს ჩაჭიდებულმა, წელი კიდევ ერთხელ აიტანა ზევით. დახეთქილ-დაიარებული ხელისგულებიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ სილას მაინც ებრძოდა. წამიერად გაჩენილი ორმო თვალშეუსწრები სისწრაფით ივსებოდა ისევ. ამათ გარჩა იყო! ღონემიხდილმა დააგდო ბარი და თვალებიდან სიმწრის ცრემლი გადმოსცივდა.

კაცის კეთილშობილებამ ბარხანების გულიც მოინადირა. დაცხრნენ და მზემაც სხივდამცხრალად გამოანათა. ძერიამ უფრო ახლოს დაინახა სარკესავით ალივლივებული სივრცე, რომელსაც ორთქლის ჯანმრთელობის ასლი-ოდა და სიხარულით ამოიხრიალა:

— ზღვა!

მაშ მოსულა! სადაცა მის ტალღებში შესცურდება და მხარულს გაპერავს გაღმა ნაპირისაკენ. იქ კი გურჯისტანის მაღალი მთები ღვანან.

ისევ ჩაუდგა ძალა დამდნარ კუნთებში და წინ გახოხდა. როდა აცოდა, რომ ზღვამდე კიდევ შორის იყო; რომ აქ, მარილით გადასარკულ ჭანჭრობში, სულს ღაფვდა აფუსის მთის ნაურის უკანასკნელი წვეთი.

სულ მოუბრუნდა გული მზეს მის გაჩენილ შვილზე. მწედ ექმნა. გამოიხმო დაღუბვის პირამდე მისულთა სულის გამამხნევებელი მირაცი. აახასხასა, აალივლივა თავისი ოქროსიფერი დალალი და უდაბნოს სივრცეში შემოცურდა თეორი ქალაქის ჩვენება.

ძერიამ სასოებით გაიშვირა ხელი ოქროსგუმბათებიანი მეჩეთისა და მის გარშემო ტყედ აღმართული მინარეთებისაკენ. მაგრამ იმ ადგილას ახლა პალმების დაბურული ტევრი ამოიხარდა. გრილი ააზისის გულიდან მოპეროდა მაცოცხლებელი ნიავი და მიეღინებოდა ცივი, ანკარა წყარო. ეს წყარო მიისწრაფოდა ძერიასაკენ და თან მიიმდეროდა:

„დარჩი, აქ დარჩი!“

მირაბმაც მორჩილად დაასვენა თავი ქვიშაზე, რომ დაიძინოს, ტკბი-

ლად დაიძინოს. მაგრამ ამ ღროს სულ ქვემოდან, ჩაუღწეველი სიღრმე-
დან შემოესმა აფუსის წყლის მიმქრალი ხმა:

„ნუ გვერა მისი... ვეღარ მოგყვები... დავშრი, ვქრები... მაგრამ შენ
გახვალ... გელოდებიან გურჯისტანის მთები!..“

ძერია ხოხეა-ხოხეით გაეცალა ადგილს, სადაც აფუსის წყალი უკა-
ნასკნელად ატირდა და დაიღუპა. მიისწრაფოდა ჩეროიანი ოზისისაკენ,
გაგრამ იქვედან უკვე მეწამული ბინდი იმზირებოდა უძირო, ჩასისხლია-
ნებული თვალებით. უფრო შორს კი ქვიშაზე მიგორავდა უდაბნოს დიდი,
თეთრი მზე. მისი კაშაშა დისკოს ძგიდეს ჩასჭიდებოდა რაღაც პატარა
არსება, რომელსაც ხელები ეწოდა, მაგრამ მზეს მაინც არ ეშვებოდა.

მიხვდა, რომ ეს თვითონ იყო. ძალამიცემული იმედი ისევ აფუსფუ-
სდა კაცის არსებაში და მან თვალები დახუჭა, რომ იდუმალად მოსასხენი
რჩევის აზრს უკეთ ჩაწვდომოდა. დიდხანს იწვა ასე, გაუნძრევლად, ვიდ-
რე ზანზალაკების წყარუნი არ ჩაესმა. თვალი გაახილა და ქარავანი დაი-
ნახა. ჩამავალი მზის დისკოს შუაზე გადაჭდობოდა გრძელი მწყრივი მე-
ქარავნებისა და აქლემებისა. ნაბჭირივით შვი ლანდები მიაბიჯებდნენ
დინგად და მსუბუქად. მათი ფეხებით აშლილი სილა გამდნარ ოქროსავით
დუღდა და ორთქლდებოდა ბინდში.

— ე-ჰე-ჰე! — შეეხმიანა ძერია ქარავანს, მაგრამ მის ძახილს ვინ
გაიგებდა, როცა პირიდან ხმა არ იმოსვლია.

ფეხზე წამოფორთხდა, მაგრამ ტყვიასავით დამძიმებულმა ტანბა ისევ
ქვემოთკვენ დაზიდა. მაინც შესძლო მკლავებზე წამოწევა და სივრცეს ისევ
უხმოდ შესძახა:

— „საით ქარავანო, საით?!“

ქარავანი კი უკვე მზის ბორბალს გასცილებოდა და უდაბნოს უსაზ-
ლვრო ბინდში მიაბიჯებდა.

ძერიამ კიდევ ერთხელ წამოსწია თვი და უხმოდ დაიბლავლა:

— „საით გაგიწევიათ, საით?!“

— „გურჯისტანისაკენ!.. გურჯისტანისაკენ!“

ამას აქლემთა ყელზე შებმული ზანზალაკები მღეროდნენ.

2. ისპაან ძალაქს ჭახვლა

ისპაან ქალაქს მიეშურება არდესთანელი მოლა ჰაჯი-აღა ყოლაძ-
ალი. მოჩილაჩულ გივეში შედგმულ ფეხებს დროდადრო შემოჰკრავს ჩაქ-
ჩაქით მიმავალ თეთრ სახედარს. ლითანის მოლების წინამძღვარს შეიჩქა-
რება, რათა ისპაპანის მოლა-ბაშს წვრილად ჩაუკავლოს სამწყსოში მო-
ხდარი ამბები. ამბები კი იმდენია და ისეთნაირი, კაცი ჭკულდან შეიძლება-
გადავიდეს. მეტი რაღა გინდათ! დიდი ალაპის მსახურებსაც კი თავისუ-

ფლად ვერ გაუვლიათ. მერედა სად?.. თვით ღმერთისაგან კურთხეულ ის
პაპანში!

ეს ოხერი ათაფური მაინც ვინდაა. ამოღება ქალაქი რამდენიმე წელი და
მოუცაას. ერთ გურჯს როგორ ვერ უნდა მოერიონ? თვით მოლა-ბაში
რატომ არაფერს იღონებს?

— ალაპ-ილ-ალაპ! — მოლას ტანში გააურეოლა და ისე შიოხედ-შო-
რედა, თითქოს ათაფური მოლანდებოდეს. გაგულისებით აახათქუბა თა-
ჯისი გამხდარი წვივები სახედრის ფერდებზე და თვინიერი ცხოველიც
უფრო სწრაფუად აჩაქჩაქდა.

მოლა ჰაჯი-ალა ყოლამ-ალის საქმე არ მისცემია ამ თავზეხელალე-
ბულ გურჯ ოფიცერთან. მაგრამ იმდენი რამ სმენია მასზე, საღმე რომ
შემოხედეს, ალბათ იცნობს კიდევ.

— ალაპ-ილ-ალაპ?! — ამოიგმინა მოლამ. კაცი ლამის თავის გულს
შეასწდეს. ამასწინათ ამ ალაპისაგან მოძულებულ ათაფურს ჰაჯი-ალას სა-
მწესო ოსთანიდან ისპაპანში ჩასული მოლებისათვის წვერები დაუჭრია
და ნაობახტში შეუყრია. ვითომდა შაპის ბრძანებას რატომ არ ეშორჩი-
ლებით, ეგრე ძველებურად რატომ დაფართხუნობთო.

„რა აქვს დასაწუნი ამ ჩვენს ჩამლასა და ტანსაცმელს?! ალაპს ასე
უნებებია ჩვენი შემოსვა და ეს გურჯი რას ჩაგვცივებია?! ისლა ვაკლია,
გიაურულად შევიმოსოთ, მათი მოგონილი თეთრი ქუდები დავიხუროო“...

მოლა ჰაჯი-ალა ყოლამ-ალის უფრო ის უკვირს, ათაფურის თვითხე-
ბობა აქამდე რომ ვერ აულაგმიათ. ისპაპანის მოლა-ბაშის შოთხოვხით
ათაფური სამართალში რომ მიუციათ, მოლებს ბაირამი გასთეხებიათ.
ათაფურს, თურმე, წარბიც არ შეუხრია: ძველებური ფარფაშა ტანსაცმ-
ლის ტარება თვით შაპიმა აერძალა და დიდი ალაპის აჩრდილის ფირშანის
უპატივცემლობა არავის ეპატიებაო. ჩვენს წვერებს მაინც რაღას ერჩო-
დითო, უკითხავთ მოლებს. იმ შაითანის ლუქმა ათაფურს ამაზე სიცილი
დაუწყია — ამდენი როგორ არ იცით, ციხეში მოხვედრილ კანონის დაპრ-
დვევს თმა და წვერი გაკრეცილი უნდა ჰქონდესო... მდივანბეგ-შოსაბართ-
ლეებსაც ათაფურის გამართლებაზე უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებიათ.
მოლებსაც მიშველებიან, მაგრამ რაც გინდათ. ალაპის მსახურები ციხიდან
ვერ გამოუგდიათ — სანამ წვერები არ დაგვეზრდება, მრევლს როგორ
ვეჩვენოთო.

„ასეთი რამ გაგონილა? — ჰკვირობს მოლა ჰაჯი-ალა ყოლამ-ალი. —
სამი დაყრუებული მეჩეთი ჩემს ოსთანში! კიდევ კარგი, ახლო-ახლო რომ
არიან და თვითონ ვახერხებ ყურის გდებას.. ისე, დიდმა ალაპმა შემინ-
დოს და, ერთი კარგი საქმე გამომივიდა, ნოვრუზის მეჩეთის ნახვარი
მოლა ჰაჯი-ალა ალი-მირზას რომ ვუწყალობე. სანდო კაცია, მექაში ერ-
თად გვივლია, ჩემი სიყვარული და ერთგულება აქვს... იმ ოქროების გა-
მორთშვა არ მინდოდა, მაგრამ ალაპია მოწმე, თვითონ ჩამაცივდა... ხო-

ვრუზელი მოლა ციხიდან რომ გამოვა, ერთ ამბავს დამაწევს, შეგრძელებულ ჩეს სულ ხომ არ გამოვეტავდი... დროა იმანაც გაიგოს, რომ ქვეშავის დამსახურებულ მოლა-ბაშს პატივისცემა უნდა..."

ამ ფიქრებში იყო მოლა, როცა ჯუმ-ჯუმის მოქანავე მინარეთები გამოჩნდა. ქუჩებში ხალხიც მომრავლდა. მოლა წარბებს ქვემოდან კუშტად ათვალიერებს ახლებურად ჩაცმულთ და თავისთვის ბუზლუნებს.

— მართლმორწმუნე გიაურისაგან ველარ გმირჩევია... რა მართლმორწმუნეა ის, ვინც ყურანის კანონებს არღვევს, შარიათს არ მისდევს... ერთი ვინმემ ამისნას, ვით უნდა ადგეს და დაჯდეს კაცი ასეთ ტახსაცმელში... ან ზონარგაყრილი ფეხსაცმელები როგორ უნდა გაიხადო ყოველი ლოცვის წინ, დღეში ხუთჯერ... ალაპ!.. რანაირად ახერხებენ შაითანის მოგონილი ამ ყოვლად უცნაური ტანსაცმლის ჩაცმა-გახდას შეის ამოსვლისა და ჩასვლის უამს? კარგი და ვერ მოასწარი... მზე შენთვის ორჯერ ხომ არ ამოვა და ჩავა!.. არა, ამაში ნამდვილად შაითანის ხელია გარეული...

სხვათა გამკილავ-გამქიქებელი იმაზე როდი ფიქრობდა, რად ელიშებოდათ თეთრქუდიან ახალგაზრდებს მის დანახვაზე.

მართლაც და ერთ რამედ ღირდა სახედარზე ამხედრებული შოლას ხილვა. მისი ფართაში მოსასხამი ისპაპანურ ნიავს ისე დაებერა, იფიქრებდით, სახედარს ზურგით გაშლილი კარავი მოაქვსო. ამ კარავის ზეშოდან ამოყოფილი მოლას გამხდარი, ჩალმიანი თავი ჯობზე წამოცმულ საფრთხობელსა ჰგავდა.

ახლებურად ჩაცმული, თეთრქუდიანი ხალხი სულ უფრო მრავლდებოდა. ალაპის მსახურიც უფრო მეტად ბორგავდა. ამ დაწევევლილ თეთრ ქუდთან მრავალი მწარე მოგონება იყო დაკავშირებული. კარგად ახსოვს, მთავრობამ „ქუდის ფირმანი“ რომ გამოსცა, ეს აინუნში არ ჩაუგდია — კანონი ბევრი დაწერილა და იწერება, ყველას ასრულება სად გაგოხილაო. მაგრამ მოხდა წარმოუდენებელი რამ — ახალმა შაპმა ეს უცნაური ქუდი ჯერ თვითონ დაიხურა, შემდეგ თავის ვეზირ-მინისტრებსა და კარისკაცებს ჩამოათხატა თავზე. მათ გაეიცვას ვინ გაბედავდა!.. ახალ ქუდს ხალხმა თვალი რომ შეაჩვია, იგი ახალგაზრდებმაც დაიხურეს. მოლები, ცხენს რომ ვერ მოერივნენ, უნაგირს ეცნენ. ერთი აღიაქოთი ატეხეს: ჩალმის გადაგდება როგორ იქნება, გიაურის მოგონილი ქუდი მართლმორწმუნებ რატომ უნდა დაიხუროსო. დაინახავდნენ თუ არა ქუჩაში თეთრქუდიან ახალგაზრდებს, ყიფინს დასცემდნენ:

— ვერა ხედავთ ამ ურწმუნოს?.. დაიჭირეთ, სცემეთ, წაართვით ქუდი!

გახელებული ბრბოც ეცემოდა ახალგაზრდას, ფეხქვეშ დაიდებდა. წუთი და, დაგლეჭილი ქუდის ნაფლეთები ჰაერში ირეოდა.

ახალგაზრდები, მოლების გულგასახეთქად, უფრო გაკერპდნენ. მათი

კალნიერება იქამდე მივიღა, რომ ახალი ქუდის ქება დაიწყეს 16 მსუბუქი
და გრილია, სახმარად მოხერხებულიო და მისთანანი. საქმე იმზადა
ვრდა, რომ მთავრობამ პოლიციას თეთრქუდინების დაცვა და ჩალშიახე-
ბის შევიწროება დაავალა. ათაფურის სახელიც იმდროიდან გავარდა ის-
პაპანში.

„შაითანს არ სძინებია, რავი ეს შეჩვენებული ათაფური მოუვლინა
ქალაქთაგან უპირველეს... დამაცადოს, ყველაფერს მოლაბაშს ავუხსნი!
უგონა ვერ გავიგებდით, გურჯი რომ ყოფილა?.. თავი და თავი ეს არის...
მხლებლებსაც, თურმე, გურჯების წრიდან ირჩევს... სპარსელების ბრტყია
და იმიტომ მათი ჯინი ჭირს... მერე რა, რომ მართლმორწმუნეობას ჩემუ-
ლობს, გურჯების ენაზე არ ლაპარაკობს!.. არა უშავს, მალე მოვუგრიხავ
კისერს, შაპის მოედანზე ჩამოვახრჩობინებ მაგ ურჯულოს!..“

ასე ქადილით შეაგდო მოლა ჰავი-აღა ყოლამ-ალიმ თავისი სახედარი
ალავერდი-ხანის ფართო ხიდზე, რომ რალაც ელდამ ადგილზე გააშეშა:

„რად შესდგა სახედარი?.. ან ეს თავხედი ვინღაა, წინ რომ გადასდ-
გომია მოლათაგან ურჩეულესს?.. ის არის, ის!..“ — მოლას ტანზე ცივმა
ოფლმა დაასხა.

ის კი — ათაფური (მოლა ნამდვილად არ შემცდარა!) დგას შუა ხიდზე
და თავისი ჯილა თვალების მზერა ხანჯალივით მიუბჯენია მოლასათვის.
ტანმაღალ და ახოვან ათაფურს ფეხები ისე ფართოდ გაუდგამს, თითქოს
ხიდზე მიმავალ-მომავალი მილეთის ხალხი ლაჯებში უნდა გაატაროს.

„ნამდვილი შაითანის მოციქული ყოფილა... ზედვე ეტყობა... ტახსა-
ცმელიც როგორი აცვია“... — მოლას სუნთქვა ეკვრის, ბრაზი აღრჩობს,
ათაფური კი ინგლისურ სტექს ასევე ინგლისური კრაგის ყელზე ატკაცუ-
ნებს და მონუსხულივით გაშეშებულ მოლას დამცინავი ლიმილით მიმა-
რთავს:

— ეგეთი ტანსაცმლითა და ჩალმით, ამოდენა წვერებით, აღა-ძოლა,
ისპაპანში ვერ შეგიშვებთ!.. ასეთია ნება დიდი შაპისა!

„ვის ეუბნებიან ამას?.. მე, ჰავი-აღა ყოლამ-ალის? ისპაპანის მოლა-
ბაშის მეგობარსა და თანამზრახველს, ვისაც მალე უმაღლესი საღვთო პა-
ტივი ელოდება?..“

ბრაზით გაგუდულ მოლას სურს იყვიროს, იყივლოს, ხალხს საშვე-
ლად უხმოს, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოდის...

— ხომ გაიგონეთ მოლა-აღა! — იმეორებს ათაფური მშვიდად და
მტკაცედ. — ახლავე უკან უნდა გაბრუნდეთ... საიდანაც მოსულებართ,
იქითკენ წადით!

მოლა ახლა ათაფურის ზურგს უკან ატუზულ რამდენიმე სხვა კაცსაც
ამჩნევს, ოთვმომარჯვებულთ, ასევე უცნაურ ტანსაცმელში გამოწყო-
ბილთ.

— როგორ მიბედავთ! — ამოიხრიალა მოლამ ბოლოს.

— ნუ ბრაზობთ, მოლა-აღა! — ათაფური რატომდაც დამტკიცას ხეა
ზე გადავიდა. — დიდი შაპის ბრძანება ყველას თანაბრად ეჭება.
იმ სიტყვების დასტურად ათაფურის ერთერთი მხლებელი ვირს ყუ-
რში წვდა და უკან მიაბრუნა. მოლამ გადმოხტომა მოინდომა, მაგრამ ვერ
მოახერხა.

— ალაპს რაღას ეუბნებით! — ხელები ცისკენ აღაპყრო მოლამ, რო-
ცა ხიდიდან გადაიყვანეს.

— ალაპისა იმას ეშინოდეს, ვინც მიწაზე მისი სახელითა და სახლით
ვაჭრობს! — სულ ახლოს, უკვე ყურში ჩაესმა მოლას.

„შაითანი, ნამდვილი შაითანი!“ — რეტლასხმული მოლა კეხზე ჭექა-
ნდა.

თვალი რომ გაახილა, ხიდისწინა მოედანი ხალხით იყო სავსე. მოლა
წინანდებურად სახედარზე იჯდა და იქეთ-აქედან ათაფურის მხლებლები
ამოდგომოდნენ. ამდენი ხალხის დანახვაზე მოლას გული მიეცა, ხელი
ათაფურისაკენ გაიშვირა და ხაფი ხმით იყვირა:

— მართლმორწმუნენო!.. თქვენს წინაშე ალაპის გამყიდველი შაი-
თანია!.. მოკვალით, ჩაქოლეთ!..

„შაითანს“ წამწამებიც არ დაუხამახამებია. მხლებლებს გადახედა მხო-
ლოდ.

და მოლამაც მაშინვე თვალი ჰქიდა ცაში შესროლილ საკუთარ ფეხე-
ბსა და ჩალმას. ქახალ თავზე გივეც დაეცა... შემდეგ ისიც დაინახა, შისი
ჩალმის დაშლილ დოლბანდს როგორ უმოწყალოდ გლევდნენ ვიღაცეები.

— ალაპ-იღ-ალაპ! — დაიღრიალა მოლამ და მის წინ უდრტვილე-
ლად მდგარ ვირს წიხლები ჩასცხო. მოედანი ახარხარდა. მოლა გაცოფდა.

„ჰო, შერცხვენავ, რჯულის წახდენავ!.. ალაპის მსახურს ასე აპამპუ-
ლებენ, ესენი კი დგანან და იცინიან... დიდო ალაპ, რატომ მიწა არ გას-
კდება და პირს არ გვიყოფ ჩვენი შეცოდებებისათვის?!“.

მოედანზე გნიასი მატულობს.

— მართლმორწმუნენო! — სცადა მოლამ ხალხის გადმობირება, მაგ-
რამ მეტის თქმა ვეღარ მოასწრო. რაღაც ძალამ ერთბაშად მიწას მოსწყ-
ვიტა და ჰაერში ააბურთავა. საკუთარი ტანსაცმლის კალთებში გაბლან-
დული, ვერაფერს ხედავდა. სხეულის მხოლოდ იმ ნაწილებს გრძნობდა,
რომელთაც მუშტები ხვდებოდა. კარგახანს გაუდიოდა ბაგაბუგი შის ფე-
რდებს, ვიდრე ბოლონ, მიწაზე არ მოადინა ზღართანი...

როცა მოსულიერდა, დამძიმებული ქუთუთოები ძლივს-ძლივობით
გახსნა. პირველი, რაც დაინახა, იყო ლურჯი ცა და მაღალი მინარეთები
შაპის მეჩეთისა. ცის უსაზღვრო სივრცისა და მინარეთების გულგრილშა
სიმშვიდემ რაღაც აუხსნელი წყენა მოგვარა.

— ავია, მაგრამ ძალი არ არის... თავი დაანებეთ! — ჩაესმა ყურში.
ეს ათაფურის ხმა იყო.

მოლას გულში კიდევ ერთხელ გაიბრძოლა სიბრაზემ, მაგრამ იგცული სომიხდილებამ უმალ მოაყენა. ასე იწვა კიდევ ერთხანს, ვიღებული ლი, სულისაგან დაცლილი ვიღაცის ხელებმა ხელახლა არ აიტაცა შიწიდან...

ისევ გაახილა თვალები და სახედრის ზურგზე ხურჯინივით გადაყიდებულმა, ქვემოდან ამოხედა მოედანზე თავშეყრილ ბრბოს. ახლა კი იწამა მოლა ჰაჯი-ალა ყოლამ-ალამ, რომ ქვეყანა მართლაც გადაბრუნებულიყო... გასაოცარი კიდევ ის იყო, რომ ამის მიუხედავად ხალხი წინახდებურად ყაყანებდა და იცინოდა, ყველაფერი ძველებურად მოძრაობდა და მიედინებოდა.

3. ბ ე ჭ ე დ ი

ოედო უკვე მესამედ იმყოფებოდა ირანში სამეცნიერო მივლინებით. ახალგაზრდა თბილისელ პროფესორს თეირანის უნივერსიტეტში წაკითხულმა ლექციებმა კარგი სახელი დაურჩია. ქართველი ირანოლოგისათვის ღია აღმოჩნდა სპარსეთის ყველა სამეცნიერო დაწესებულების კარი. თედოც ლექციებიდან თავისუფალი მოელი დროის მანძილზე ერთთავად სახელმწიფო თუ კერძო ბიბლიოთეკებსა და ხელნაწერთსაცავებში იჯდა. ბევრ საინტერესო მასალასაც წაწყდა. ამ აღმოჩენათა შესახებ ცნობები უურნალ-გაზეთებშიც დაიბეჭდა.

თედოს თეირანში ნაცნობებიც თანდათან გაუმრავლდა. მათ შორის რამდენიმე ფერეიდნელი იყო.

— პატრონო, გვეყონალე, მობრძანდი ჩვენს-ყე! — ეპატიუებოდნენ თედოს თანამემამულები ყოველი შეხვედრის ბოლოს.

ოფიციალური სტუმრის მდგომარეობა თედოს აიძულებდა თავაზიანი უარით ეპასუხნა. ამიტომ ხან რას მოიმიზებდა და ხან რას. ერთთან, რეზა მიქელანთან, მაინც არაფერი გაუვიდა. ფერეიდანში დაბადებული რეზა უკვე თეირანის მკვიდრად ითვლებოდა. დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ქართველი პროფესორის ყურადღება თავიდანვე მიიქცა ინტელიგენტური გონებაგახსნილობით, სულიერ ინტერესთა მრავალმხრივობით, გულგახსნილობით. რეზას თედოსათვის არც დედასამშობლოში დაბრუნების სურვილი დაუმალავს და არც ეჭვი — ვაი თუ ახლებურ ცხოვრებასთან შეგუება გამიშირდესო. პროფესორი, რაკი აღჭურვილი არ ყოფილა ასეთ საკითხებში ჩარევის რწმუნებით, კატეგორიული რჩევის ძირებისაგან თავს იკავებდა. ეგ თქვენი პირადი საქმეა, რეზა-ალა, და თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ.

თედოს სამეცნიერო მივლინების ვადის მიწურვის კვალობაზე რეზა მიქელანის დაუინებაც მატულობდა — ერთი გურჯის ოჯახი მაინც როგორ

არ უნდა ინახულოთ, არც ისე წყალწაღებულები ვართ, კაცურად, ასე შევ-
გვდეთო. ამან გასწრა.

თედო რეზას თეირანიდან გამომგზავრების ჭინა საღამოს ესტუმრა. მიქელანჯების ოჯახი ქალაქის ძველ უბანში აღმოჩნდა დაბინავებული. მო-
კრძალებული მასწავლებლის პირობაზე, საქმაოდ კარგად მოწყობილიყო
რეზა. შინაურთა გარეგნული იერი, ჩატელობა და მანერები მოწმობდა,
ორმ ოჯახში საფუძვლასად დამკვიდრებულიყო თანამედროვე ცხოვრე-
ბის ნორმები. რეზას მეუღლე და ბავშვები სტუმარს არ უცხოობდნენ,
თავი თავისუფლად და ბუნებრივად ეჭირათ. ძველი ყაიდისა მხოლოდ
რეზას მოხუცებული დედა ჩანდა, თუმცა იერსა და ხასიათში რაღაც ქა-
ოთული, ჩვენებურიც შემორჩენდა.

— თქვენი მობრძანებით, შვილო, სითბოს ქურქი ჩავიცვით! — ასე-
თი სიტყვებით შეეგება იგი სტუმარს.

მთელი საღამო სუფრასთან საუბარში წარიმართა. რაზედაც არ უნდა
ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, იგი აუცილებლად საქართველოში დაბრუ-
ნებაზე მსხელობად იქცეოდა. თედო მიხვდა, რომ ამას მასპინძელი ერთ-
გვარი დაუინებით აკეთებდა, დედაზე რაღაც ზემოქმედების მიზნით. მაგ-
რამ მოხუციც ასევე დაჟინებით თავს არიდებდა ამ თემაზე საუბარს. თე-
დოსათვის თანდათან აშკარა გახდა, რომ რეზა სტუმრისაგან მხარდაჭე-
რის ელოდა დედის გაღმოსაბირებლად. ბუნებრივია, ამან წარმოშვა ერ-
თვგარი გათიშულობის გრძნობა. ლაპარაკიც მაინცა და მაინც ვერ აეშეკ.

თედოსათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ორი მეზობელი ქვეყნის
ხელისუფალთა კეთილი ნებით, ფერეიდნელები უკვე საქართველოსაკენ
დაიძრნენ. პირველი ოჯახების დაბრუნებას მშობლიურ მიწა-წყალზე, კა-
ქეთში, თავადაც დაესწრო. ამაღლვებელი და დაუვიწყარი სანახაობა
იყო!

თედოს აქმდე ეჭვიც არ შეპარვია, რომ პირველ კერაზე დაბრუნე-
ბის საქმეში ყველაზე მეტად უნდა ეაქტიურა ქართული ოჯახის ბურჯს —
დედას. მაგრამ აქ, მიქელანჯებთან, დარწმუნდა, რომ ეს სულ აგრე არ
ყოფილა. მოხუცს მზადყოფნიბისა და ენთუზიზმის არაფერი ეტყობოდა.
სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა — კიდევ გაგჩხრიკოთ, გონჯი არა გა-
მოგვივიდეს რაო.

თედოს უხერხულობის გრძნობას უმძაფრებდა მისი განსაკუთრებუ-
ლი მდგომარეობა. არადა ასე ჩუმად, საქმეში ჩაურევლად ჭდობაც არ
გამოდიოდა. დედა-შვილის სჯა-ბაასი სულ უფრო ცხარდებოდა.

— წავალ!.. მოვკიდებ ხელს ჩემს ქალ-ბალანსს, ჩემს ქულფათს და
წავალ საქართველოჩი! — წამოიძახა ბოლოს დედის სიჭიუტით და ყოყ-
მანით წონასწორობიდან გამოსულმა რეზამ.

— რაით ვიშულლოთ, შვილო! — წყნარად მიუგო დედამ. — ჩემი პა-
სუხი ეს არის — ჭა!

ეტყობოდა, რეზა სწორედ დედის ასეთ გულდაჯერებულ ქსომშვედება
გამოჰყავდა წინასწორობიდან. მას ვერაფრით ვერ წარმოედგინა საკუთრივი
ველოში დაბრუნება დედის გარეშე:

— ქენ აქ დაგაგდოთ, ჩონ წავიდეთ?!

— ჩემი ღონება რაისით გაქრთობით.. მითქომს წა!

— წავალ, წავალ! — დაბეჭითებით გაიმეორა რეზამ. — მინდის ჩემი
ერთი ბატატა დაიბადოს იქებჩი, დიდ საქართველოჩი!

— სიმართლე შენი, შეილო! — კვლავ აუმღვრეველი სიმშვიდით უთ-
ხრა დედამ. — წა!.. მე საფლავს ვერ დავტევ... ჩემი კაცის სული ბიჭ-
ყენს—ყე...

შენ ბატარა იყავი, ფერიეთიდან რომ ავიყარენით და თეირანჩი მო-
ვედით—ყე. რა ყარიბობა, თანგობა გამოვიარეთ—ყე... კარგი რა ვნახევი...
ყაფარიბაში მოკტა ჩემი კაცი... ახლა კიდო სხვაჩიგან წავიდე?! ჩონი და-
სტა აქ დავაგდო... ჩონ კაცის ძოლები აქა დავყარო?.. ხო გავერანდა სუ-
ლი!

— გული მეც მეწის, — ოდნავ მოლბა რეზა. — იქებჩიდანაც იქნე-
ბის მამის ჩემის საფლავი ნახო.

მოხუცმა თავი გააქნია.

— ჩემი მეტი დასტა აქა რჩების... იმათ არ უნდის დედაი? — ქალი
მოულოდნელად თედოს მიუბრუნდა. — ამისი ერთი ძმა ჰამალია, ქარხა-
ნი მუშაობს... მეორე სკოლაჩია... დაი...

— კარგი, კარგი! — შეაწყვეტინა რეზამ შერიგებული ხმით. — ძა-
ლიან საყორელი დედან ხარ... ემე კიდომ არი საყორელი დედა.... საქარ-
თვლო!..

— სიმართლე შენი! — გაიმეორა მოხუცმა ამოჩემებული სიტყვები
და ისევ თედოს გადმოხედა თავისი დაღლილი თვალებით, რომლის სიღ-
რმეში შარტოოდენ უსასოო ნაღველი ჩაბუდებულიყო.

და თედო უცებ როგორლაც გამოუტყდა თავს, რომ იგი მოხუცსაც
თანაუგრძნობდა. უფრო სწორად, თედო უნებურად დაემორჩილა რაღაც
დიდ, მისთვის ძნელად ამოსახსნელ სიმართლეს, ამ დაუძლურებული ადა-
მიანის სულის სიღრმეში ჩამარხულს.

მაინც რა აცოცხლებდა დედის ერთგულებას გზააბნეული ადგილის
ანგელოზისადმი? რომელი ფესვები ასაზრდოებდა?.. პირვანდელი სამშო-
ბლოდან გამოყოლილი, გამხმარ-გამყიფებული და ჯერაც მფეთქავი? თუ
უფრო ახალი, სხვა მიწაზე შეძენილი, ქმრის საფლავს შეზრდილი და აქ
დარჩენილი ნაშიერებთან სიახლოვის წყურვილით სავსე?.. იმისი სიშორე,
ვინაც მისგან მიღიოდა, დედას ჯერ კიდევ არ განეცადა სრულად, აშიტომ
მისი არჩევანი იქითკენ იხრებოდა, საითაც მეტნი ეწეოდნენ.

თედოს გაახსენდა სადღაც ნანახი უცნაური ხეები. რატომ სადღაც?
ობილისში უნახავს, უმეტესად სასაფლაოზე. ასეთ ხეს გაბარჯღვნილი,



ერთმანეთში ჩახვეული ხშირი ტოტები აქვს. ეს ტოტები ოდესკრაციული ფეხი ყოფილან. ნერგობის უამ მიწიდან ამოგლეჭილ ხეს, ნამდვილი ფესვებით ცაში გამოკიდებულს, სიცოცხლე მაინც ვერ დაუთმია და შიწას ნორჩი ტოტებით ჩაბლაუჭებია. ფესვები ქმნილიან ტოტებად, ტოტები ფესვებად და უკვდავი სიცოცხლის წვენი კვლავ დაძრულა მის სხეულში...

მიქელანჯების მოხუცი დედაც იმ უცნაურ ხესა ჰგავდა. უკვდავი და დაუმშრალი ინსტიქტი უფრო იმას ერთგულებდა, რაც გულთან და ხსოვნასთან ახლოს იყო. იმ ძველის, პირველყოფილის სუფევა კიდევ ცოცხლობდა სულში, მაგრამ მინავლებულად. ასე მორეოდა პირველადს შეორადი, იმ დედას ეს დედა, მაგრამ არსი დედობისა რჩებოდა.

სხვა საქმე, ვინ რომელს მისცემდა უპირატესობას.

და მისჭირვებოდა დედას პოვნა უმთავრესისა, ჭეშმარიტისა!

თავისი დაბნეული ულონნობით მოხუცი იყო არა იმდენად შესაბრალისი, რამდენადაც საყვარელი. იგი ერთხანს ჩუმად ყლაბავდა ცრეპლებს, ალბათ, სტუმრის რიდით. შემდეგ კი თავს ვეღარ მოერია და ცრემლი ლოყაზე დასდინდა.

თედოს იმის სურვილიც გაუჩნდა, მოხუცა შიალერსებოდა, რაღაცით მაინც ენუგეშებინა, მაგრამ მიხვდა, რომ ყოველი სიტყვა და მოძრაობა ახლა იქნებოდა უაზრო და უმნიშვნელო, ყალბიც კი, იმ წმიდა ტკივილთან შედარებით, რომელიც დედის გულს კუმშავდა.

და მაინც დედა-სამშობლო უხმობდა თავის დაფანტულ შვილებს. მიწის ყივილი მოდიოდა იქედან, შორეთიდან და ითხოვდა განსჯას. და ყველა ეს ხმა, ომახიანი თუ მონელებული, აშკარა თუ იდუმალი, ალბათ ფუსფუსებდა დედის არსებაში, იღვინთებოდა ცრემლებად...

მძიმედ ჩამოწოლილი დუმილი ბებიას მუხლებზე აცოცებული პატარა ბიჭის ხმამ დაარღვია:

— ნამაი, დიდედავ, ნამაი!.. ნუ ტირი-ყე... ჩონ ჩამოვალთ და ჭაგიყვანთ საქართველოჩი!..

მოხუცმა ატოკებული ხელებით უხერხულად მოიწმინდა ცრეპლები და გალიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. თვალი შვილისაკენ გააპარა, რომელიც ახლა უხმოდ თავჩაქინდრული იჯდა.

— რაისთვინ ადრე არ წამიყვანეთ საქართველოჩი. — მოულოდნელად დაიჩივლა დედამ. — როცა ახალგაზრდა ვიყავი და თავი შიყორდა...

ახლა საითლა წავიდე, რაითვინა? — ცოტა ხენს იყუჩა და კიდევ დასძიხა.

— ჩემი გზა ერთია... ჩემს კარებთან მალე სიკვდილის აქლემი წაშოწვების, ზურგზე შემისვამს და წამიყვანს-ყე...

რეზამ თავი ასწია. თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დედამ დაასწრო:

— თადარუქი დაიჭირეთ, რო დიდ მამულ-წყალებჩი წახვიდეთ... წათ, საქართველომ გაბედნიეროთ!

რეზამ ისე ამოიხვნეშა, თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი ჩამონ
სენისო.

— რაქთენ დღეს უკან თბილიჩი წახიდე? — მიუბრუნდა მოხუცი
ქალი თედოს.

— ხვალ უნდა გეახლოთ!

— დედა გყავ?

თედო გუმანით მიხვდა, რომ მოჭორილი პასუხი საქმარისი არ იქნე-
ბოდა. და ისიც მოუყვა, რომ დედამისიც მისებრ მოხუცია, სახედაღარუ-
ლი და თმაგათეთრებული; რომ დედამისსაც თბილი ხმა იქვს და ნაღვ-
ლიანი თვალები; რომ ისიც ერთგულად დარაჯობს შვილების კერას იქ,
დიდ საქართველოში და რომ ყველა დედის ხვედრი საერთოდ ერთია...

მიქელანჯების დედა ყურადღებით უსმენდა.

თედომ ისიც კი გაიფიქრა, რომ ამ წუთებში ეს დედა, ფერეიდნელი,
თვალწილულად ხედავდა იმ დედას, საქართველოს დედას და რომ ისინი
რაღაც უხილავი სულთა კავშირით ერთმანეთთან საუბრობენ კიდეც.

თედო ფიქრებიდან გამოიყვანა მოხუცი ქალის ხელის ფრთხილბა,
თითქმის ნაზმა შეხებამ. სიბერით გახევებული, თითების მონავლებული
სითბო თედოს სხეულში გადმოიღვარა და ნელა დაიძრა სიღრმეში, გუ-
ლისაკენ. შემდეგ ეს ნახევრადცივი ხელის მტევანი შეირჩა და მოხუცმა
თითიდან წაიძრო ძველი, უსწორმასწოროდ გალეული ოქროს ბეჭედი.

— ჩემი იადეგარი ქენ დედასთან ეს იქნების... ამაზე ყეიმათი არაფე-
რი მქონია-ყე... წაიღე, გამომართვი!

ეს სიტყვები ისეთნაირად წარმოსთქვა, თედომ უარი ვერ შებედა.
ერთი პირობა, გულში, გადაწყვიტა კიდეც — ვიღრე წავიდოდე, საღდე
შეუმჩნევლად დავტოვებო. სცადა კიდეც — ბეჭედი ყავის ფინჯანის ქვეშ
შეაცურა, მაგრამ მაშინვე მოხუცის საყვედურით სავსე მზერა დაიჭირა.
ცხადი იყო, მიქელანჯების დედა მოწადინებული იყო მისი ბეჭედი თედოს
დედას მისვლოდა.

კაცმა რომ თქვას, ამ ბეჭედს სამკაული უკვე აღარ ერქვა. იგი თით-
ქოს იყო ქართველი დედის ჭირთათმენის ხუნდზე ახსნილი ნიშანი, რო-
მელსაც სამშობლოში ჩამოტანა მართებდა.

თედოც ასე მოიქცა.

თეთრი კედლები

შორს ანათებენ თეთრი კედლები
და ბევრი ნატრობს მიღწევას ბჭემდე.
აქ ჩვენი ერის ოქრომჭედლები
ქვეყნის ბედნიერ მომავალს ჰედენ.

აქ ჩემი გულის დიდი ნაწილი
ფეოქავდა სხვათა გულებთან ერთად,
მერე გაფრინდა იგი არწივი
ბრძოლად მამულზე მოსეულ მტერთან.

წავიდა,
და არ დაბრუნებულა.
ყუმბარა შერჩა მოქნეულ ხელში...
დღეს სხვა მართვენი დაბუღებულან
ამ კედლებში და ვარაზის ხევში.

ის კი პოსტზეა ქვეყნის საწინდრად,
არ მოუხდია ვალი და ჯერი:
მწვანე და წმინდა იყოს მთაწმინდა,
თბილისს შვენოდეს ვარაზი ჩვენი,
ნათელი გვქონდეს ეზო და ჭერი!

გასამართლება

როცა დუმს ბინა და ქუჩა,	არა!
როცა თავს ვითავისტინებ,	გონება ნათდება,
გვინიათ, წამსვე თვალს ვხუჭავ	აღადგენს დლიურ გარემოს,
და უდარდელად ვიძინებ?	და მიღის გასამართლება, —

სინდისი თავმჯდომარეობს.
იწყება გვემა ქაფური:
— ვის?
— რატომ?
— როგორ?
— რა ვქენი?
მესევა ასი მსაჭული —

ფიქრები მოსამართლენი...
გავმართლდი?
ტკბილად ვიძინებ —
თავი კაცურად მჰერია?
გავმტყუნდი?
მე შურს ვიძიებ —
და ძილი არ მიწერია!

გ ვ ა ზ ო ვ ა

თოვს, ქარია თუ დელგმა,
თუ მზეს ირმები სძოვენ,
ფხიზელი დავალ დღე-ლაპ,
ვით კარგი მეეზოვე.
ვნახულობ ხიდს და ბოგირს,
გზას არც ამაოდ ვტკეპნი:
ვიცი, სიამეს მომგვრის
ჩვენი შრომა და ტემპი.
ვიცი, მამულის ეზოს
პირი ისე აქვს სუფთა,
რომ თავისუფლად შეძლოს
პატიოსნებამ სუნთქვა.

ვიცი, სილადე მთათა
მზესაც ახარებს ცაზე,
ჩემი სამშობლოს კალთა
ვარდებით არის სავსე.
ჰოდა, მამულო-დედავ,
დედის გულივით წმინდავ,
მე შენს სამსახურს ვხედავ
ჩემი სიცოცხლის მიზნად.
შენს ბეღნიერ დღეს ვიყოფ
ეს დიღი ბეღი ვპოვე,
ვარ და კვლავ მინდა ვიყო
შენი მხნე მეეზოვე!

ნორა მოდებელი

ორი ვერი ერთ ვერში

— ეჭ, ჩემო ეკა, საღლაა ის დრო!

— აბა, აბა... წიგნებსა და სცენას თუ შემორჩა, თორემ ყველაფერი დაიკარგა!

— როგორც გინდა ისე თქვი და, მაინც! ხვა სილამაზე და ლაზათი იყო!..

საშხრობის უამი იდგა. ფანჯრებს გაკვროდა ჩამავალი მზის მეწამული ფერი. ქუჩიდან შემოდიოდა მანქანების გაბმული გუგუნი. ვიღაც ვიღაცას ეძახდა. ხანგამოშვებით მილიციელის სასტვენის ხმაც შემოიჭრებოდა ფანჯრებში. ქალები დივანზე, ტელევიზორთან მოკალათებულიყვნენ. სამოცდაათ წელს აცილებული იქნებოდნენ. ოთრი თმა თალხ თავსაფრებში დაემალათ, ფეხები ფოსტლებში წაედგათ და კოჭებამდე კაბა ეცვათ. ვის ისინი დები ეგონებოდა, მაგრამ ისინი მეზობლები იყვნენ, — სოფელში ერთად იზრდებოდნენ და ქალაქშიც ერთად ცხოვრობდნენ. სატელევიზიო ფილმს გადმოსცემდნენ გასული საუკუნის ცხოვრებიდან:

ურემი მიჭრიალებს ორლობეში. მეურმეს ჩოხის კალთა აუკეცია, ყაბალახი თავზე მოუხვევია და ჩუმად დაპილინებს. მერე ეზოში ქალი და ტიტლიკანა ბავშვები გამოეგებენ. შუა ცეცხლზე ქვაბი დუღს. ქალმა კეცზე მჭადის ცომი დააკრა. ბავშვებმა სუფრა დადგეს ცეცხლის პირას და მამას ხელი იქვე, სუფრასთან დააბანინეს.

— იმ ჩვენ მამასახლისსა რა ვუთხრა, — თქვა კაცმა, — ზამთარი კარსაა მომდგარი, ხუთი ურემი შეშა უნდა მოზიდოთ.

— შე, კაცო, შეშა ჯერ ჩვენთვის არ მოგვიჭრია.

— ჩვენ ამბავს რა თავში იხლის, მას მისი აწუხებს, — კაცმა ჩოხის კალთაზე ხელი შეიმშრალა, — ხუთი ურემი შეშა ამ ბალლებს შემოსავდა, ცოტას შავი დღისთვისაც გადავინახავდით.

ქალმა კეცხე მჭადი არეკა. მერე ცეცხლზე მიღებულ ქოთნიდან ლო-
ბიო დასახა თეფშზე. ბავშვები კისერწაგრძელებული შესცერიან და და-
ტელებში. კაცმა პრასა დაახვია, მარილში ამოაწო და ჩაბიძია... ვის უკიდურეს

ეკა ტელევიზორის ეკრანს მთელი გულისყურით იყო მიჩერებული,
მერე თავი სინაულით გააქნია და თქვა:

— სხვა რაღა, კეცხე გამომცხვარი მჭადი მოგვნატრებია, ჩემო მა-
რთა.

— ის სიხარული აღარაა დღეს, ბაბა სააღდგომო საჩუქარს რომ მო-
გვიტანდა.

— პატივისცემაც რომ დაიკარგა?! — ტუჩები მოიწმინდა ეკამ, —
ბაბა ერთს რომ შემოგხედავდა, ყველაფერი გასაგები იყო, სიტყვის შებ-
რუნებას ვინ გაბედავდა. იმ ახლო-მახლო როგორ გავიკლილით, სადაც
ბაბას ეძინა.

— ამ დროს ტეხა-კრეფა იწყებოდა, სიმინდის კალოსთან დიდი კო-
ცონი დაინთებოდა და ბავშვები მის ირგვლივ ვხტოდით, ეე... რა ხვავი
და ბარაქა იყო.

— ნენას ნაცარში გამომცხვარი კვერი?! ზედ ნაკვერჩხალზე შემწვა-
რი მწვადები?!!. პირის გემო აღარ აქვთ, ტაფაზე შემწვარ ძვლებს მწვადს
ეძახიან. ბაბამ იცოდა, კარგი სამწვადე ხორცის შერჩევა.

— ჩვენ კიდევ რაღაცას მოვესწარით, მაგრამ ახლანდელ ახალგაზრ-
დებს რა უნახავთ ამქვეყნად!

ისინი ტელევიზორს აღარ უყურებდნენ, საუბარს შეჰქვენენ. საკალა-
ნდო სამზადისი მოიგონეს, კალანდის დღე — დილით ბაბა საჩუქარს რომ
დაახვედრებდა სასთუმალის ქვეშ. ბაბა რომ რცხილას მოჭრიდა ეზოს
ზემოთ კოდმეზე, ეს ოჯახის ხვავსა და ბარაქას ნიშნავდა. ბელელი სავსე
იყო ჩურჩხელებითა და ტკბილისკვერებით, კაკლითა და საზამთრო ტილე-
ულით. ბაბა აუცილებლად კალანდა დღეს ქვევრს მოხსნიდა თავს. ახლად
გამოხდილ არაყსაც გამოიტანდა. მეზობლები მოდიოდნენ ახალი წლის
მოსალოცად, თითო ჭიქას დალევდნენ და მეორე მეზობელთან გაღავი-
დოდნენ. ისე შემოივლიდნენ სოფელს, ფეხი ერთხელაც არ აერეოდათ.
ბავშვები ცეკვა-თამაშს გამართავდნენ შუა ეზოში, თუ თოვლი იყო, თოვ-
ლის ბაბუას დაღვამდნენ. უბე ტკბილეულით ჰქონდათ გასებული...

ფანჯრებზე გაკრული ჩამავალი მზის მეწამული ფერი გამუქდა. მი-
ნებს შავი ფერი დაედო და ოთახში დაბინდდა. ცისფერი ეკრანის ბაცი
სხივები ირეკლებოდა ავეჯის კედლებზე. ოთახი საქმაოდ დიდი იყო, ოთ-
ხი ფანჯარა გადიოდა ქუჩაში. ფანჯრებზე ნეილონის ნაყშიანი ფარდები
ეკიდა. ოთახში გერმანული ავეჯი „მოცარტი“ იდგა, „მოცარტისვე“ მომ-
ცრო როიალი ჰქონდათ. ერთ კუთხეში წიგნების კარადა გამოტენილი იყო
კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებით ქართულ, რუსულ, ინგლისურ
ენებზე. წიგნები ეწყო კარადის თავზეც. მაგიდაზე იდგა მაღალი, ჩეური

ბროლის ვაზა. ჭერზე ეკიდა ბროლისავე ჭალი. კედლები ლია უნდონჭამ—
ფრად იყო შეღებილი. პარკეტის იატაკი ლაპლაპებდა, ირეკლემების
დის ფეხები და ფანჯრის მინები. გვერდის ლია კარებში მოჩანდა სამუშაო
ოთახი, კედლები წიგნის თაროებით იყო დაფარული და კუთხეში აღმა-
ცერად ფინური შავი საწერი მავიდა იდგა. კარებშე სქელი მოყვითალო
ფარდები იყო ჩამოშვებული.

ქალებს თითქოს მოსაგონარი აღარაფერი ჰქონდათ, კალთაში ხელებ-
ჩაწყობილი ისტონენ.



შენ, ეკა, სოფელში დაიბადე. გაშლილი ეზო გქონდათ. შუა ეზოში
რცხილა იდგა და ბავშვობაში იმ ხის ქვეშ გიყვარდა თამაში. თხმელის
ლობე, რომელიც ეზოს ერტყა, ყოველ ორ-სამ წელიწადში, დიდთოველო-
ბას ისე ჩაიმტვრეოდა, ხან ქვით ამოყოჩავდით, ხანაც სარით გაამაგრებ-
დით. სარებისგან შეკერილი ჭიშკარი ნახევრად მორყეული იყო და თუ
დათოვდა, ცალ ყურზე ჩამოეკინწიალებოდა. ისლით დახურული ქოხი
ეზოს სილრმეში იდგა. ქოხი იმდენად პატარა იყო, ჭიშკრიდან კარგად
არც მოჩანდა, — ზამთარში თოვლი ფარავდა, ზაფხულში — რცხილის
დაშვებული ტოტები. ქოხის გარდა ერთი ხულა და ერთიც საქათმე გა-
გაჩნდათ. საქათმე იმიტომ გიხსენე, რომ იმ საქათმის ქვემოთ საღორეც
იყო. წლის მანძილზე ოციოდე ფრთა ქათამს, ერთ დედო ლორს და ათა-
მდე გოჭს თუ გამოზრდიდით. ხუთი და-ძმა იზრდებოდით იმ პატარა ქოხ-
ში, ორი ფიცრის საწოლი გქონდათ გამართული აქეთ-იქით კედლებთან.
ერთზე მშობლები წვებოდნენ, მეორეზე — ხუთი და-ძმა. ბაბამ, რომელ-
საც ასე დიდი სიყვარულით იგონებ, თქვენს ტახტს ერთი ფიცარი წაუქმა-
ტა, რომ ძილში არ გადმოვარდნილიყავით. იმ ერთმა ფიცარმა ისეთი სი-
ვიწროვე შექმნა, რომ შუა ცეცხლის პირას თავისუფლად ვეღარ სხდე-
ბოდით. იმ პატარა ქოხში კიდევ ერთი კარადა გეღგათ, სადაც სამიოდე
თეფშეს, დერგას და დოქებს ინახავდით. ერთი ძროხაც გყავდათ, რომელიც
ლაფაროში იზამთრებდა. გაშრებოდა ძროხა და თქვენს ოჯახშიც გაქრე-
ბოდა ყველი და რძე. ამდენი სული იმას ელოდით, თუ კიდევ როდის
მოიგებდა ლამაზა ხბოს.

შენ, ეკა, შუათანა იყავი. უფროსი და-ძმის გამონაცვალ ტანსაცმე-
ლში გაიზარდე. ზაფხულში შეხმა ფეხმა არ იცოდა წალები, ზამთარიც ბე-
ვრჩერ გაგიტარებია ფეხშიშველს. ცეცხლის პირას იჯექი, ნაცარში, და
თუ გახეთ გახვიდოდი, უფროსს ლისგან უნდა გეთხოვა წალები, წალებს
ვამბობ, თორემ როდის იყო, გარეთ გასულხარ და ფეხი არ დაგსველებია.
ზაფხულში თუ დაიბანდი ტანს, შენმა თმამ არ იცოდა სივარცელი, არც
შენმა ტანმა მორვებული კაბა. არ იცოდი, თუ რა ლამაზი, ქოხტა ტანი

და ფეხები გქონდა. ღლეს ბევრს თავი ომ მოაქვს თავისი გატეგნობით; შენ მათ სჭობდი. ბაბა ერთ თქვენგანს რომ კაბას უყიდდა, ის მოვლის არა იყო, გადგებოდათ თუ არა ტანზე, ყველა იზომებდით. მერე ღამე ოცნებაში ტყდებოდა, — შენც გქონოდა ისეთი ჩასაცმელი.

შენს სოფელში მხოლოდ ორქლასიანი სკოლა იყო. შენ ერთი შელი დადიოდი სკოლაში, ქართული ანბანის შესწავლა მოასწარი და სწავლას თავი მიგანებებინეს, რადგან შენ უკვე წამოიზარდე და ოჯახს უნდა ამო-სდგომოდი მხარში. რაკი ანბანი ისწავლე, წიგნი თუ ხელში ჩაგივარდებოდა, მოწყურებულივით ეწაფებოდი, მაგრამ კითხვის დროც არ გქონდა და, მგონი, ის ანბანიც დაგავიწყდა. სიყმაწვილეს თავისი ცდუნება აქვს და შენც მოგატყუა ამ ცდუნებამ, — სახლ-კარი გქონდა, ჯანმრთელი იყავი და სხვაზე ფიქრიც არ შეგეძლო. წინ არ იხედებოდი, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა უსწავლელობას. ნასწავლი კაცი რომ სოფელში გამოჩნდებოდა, ღმერთკაცად გესახებოდა. ასე გაატარე შენ ბავშვობის წლები.

ჩვიდმეტი წლისა შენმა საყვარელმა ბაბამ გავათხოვა, რომ ოჯახს სარჩენი მოკლებოდა. ადრეულ ასაკში ეწიე ოჯახის მძიმე ჭაპანს. ისე როგორც შენ, შენს ქმარსაც არაფერი გააჩნდა. ოცდაათიან წლებში, როცა კოლექტივი ჩამოყალიბდა სოფლად, მაშინ აიშენეთ ოდა. სამი შვილი გე-ყოლათ. ორი ადრე გარდაგვიცვალათ, მესამე ცხოვრებაში კაცი გახდა. გა-ამართლა ყველა შენი იმედი. ორი შვილიშვილიც მოგეშრო, სკოლაში დადიან. ხუთი ოთახი გაქვს, ხუთივე ისეა გაწყობილი, ავ თვალს არ ენა-ხება. შეუღლე მშენი რომ დაკარგე, შვილმა სოფელში არ გაგაჩერა, წამო-გიყვანა და შენთვის ერთი ოთახი გამოგიყო, რომ მოხუცი არ შეწუხდე-ს. რაალიც სათნო ქალი შეგხვდა.

● ● ●

ქალები ოთახში ჩამოწოლილმა სიბნელემ გამოარკვია, რომ ოთახში ელნათურა არ ენთო და ბნელოდა. ეკა ფოსტლების ფლარტუნით მივიდა ჩამრთველთან და ელექტროშუქი ჩართო. სატელევიზიო ფილმი დამთავ-რებულიყო და უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. მართა წამოდგა, წელი ძლივს ასწია და რამდენიმე ნაბიჯი მოხრილმა გაიარა.

— აწე ჩემებიც მოვლენ! — თქვა მან.

— იყავი ერთხანს, თუ ვინმე მოვიდა, დაგიძახებენ!

მართამ ნაბიჯი შეანელა, წელზე შეივლო ხელი და მოქუფრული სახე გაახსნა.

— ამდენი წელია სოფელში არ ავსულვართ, ჩემო ეკა, არ გვეპატიება. ისინიც იშვიათად ჩამოდიან ხოლმე.

— ვისლას სცალია. სოფელი ხომ ის აღარაა. შეშას აღარ ხმარობენ და გაზზე მჭადი აქაც შემიძლია გამოვაცხო.

— ამბობენ, ხალაშპრიამ ახალი ქვის ორსართულიანი სახლი აიშვერიანი. მოსკოვიდან ჩამოუტანია იყეჭი.

— ეჭ, ხალხი ცხოვრობს!

მართა კარებთან მივიღა, თითქოს წასვლა ენანებაო, უკან მოიხედა და გავიდა. ეკა კარებამდე მიჰყეა, მერე კარი ფრთხილად მოხურა, რომ რაიმე არ ვნებოდა. ერთხელ კიდევ მოსინჯა, იყო თუ არა კარგად დახურული და გამობრუნდა. მართა კიბეს შეჰყვა. იგი მათ ზემოთ ცხოვრობდა, მეოთხე სართულზე. კარი თავისი გასალებით გააღო და ელექტროშუქი ჩართო. დერეფანში ერთნათურიანი ბროლის ჭალი ეკიდა. ფეხი ტილოზე დაიწმინდა და პარკეტზე რომ დადგა, დახედა, ხომ არ დაუჩენია ნაკვალევი. ოთახიდან ოთახში გამავალი კარები ღია იყო. ფანჯარას მიაღდა და წილაყვებით ფიტონს ჩამოეყრდნო. ერთხანს ქუჩაში ცქერით ირთობდა თავს. ერთმანეთს ადევნებული მანქანები ელნათურის შუქზე ბზინავდა. რატომ შეაგვიანდათ ასე? მართას მღელვარება შეეპარა. ბიჭმა შეაგვიანება იცის, კაცია, ათასი საქმე გამოუჩნდება, მაგრამ ეს ქალი და ბავშვი სად არიან?.. ფანჯარას მოშორდა. მაგიდაზე დიდ ვაზას შეავლო თვალი. დევს იგი აგერ რამდენიმე წელია, თუ ვინმე ესტუმრათ და მაგიდა გაიშალა, მხოლოდ მაშინ აიღებენ და სერვანტზე გადადგამენ, თორებ კაცი-შვილი ხელს არ ახლებს. რაც სერვანტში ბროლის ჭურჭელი დგას, ისიც ხელუხლებელია, თვეში ერთხელ მტვერს თუ გადაწმენდენ ხოლმე.

ტელეფონის ზარმა დაიწყრიალა. მართამ ყურმილი აიღო. გული გაეხსნა, ვიღაც ურეკავდა.

— გისმენთ! — ჩასძახა მან ყურმილში ბებრული ხმით.

— დედა!

— გისმენ, შვილო!

— თამარი არ მოსულა?

— არა!.. ცუდი ხომ არაფერია, სად ხართ?

— დედა, თამარს ველაპარაკე, შეაგვიანდება. როცა მოვა, უთხარი, იმ საქმეზეა წასული-თქო.

— რა საქმეზე?

— იცის მან!

— კარგი, შვილო!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ წამი და ყურმილში ზუმერის ხმა გაისმა. ამ ხმაზე მის გარშემო ისევ სიძყულდროვე ჩამოწვა, თითქოს სამყაროს გამოეთიშა და განმარტოებით, მხოლოდ საკუთარ თავთან აღმოჩნდა. ბიჭი დათვის ტყავის პოვნას აპირებდა, ნეტა იმ საქმეზე ხომ არ მიდის?.. ჰმ! დივანთან, იატაკზე დათვის ტყავია მოღაშიო და ეს ერთი კვირაა გადაყვა მის შოვნას. ამას ახლა ეკაც გაიგებს და ისიც მოინდო-

შებს დათვის ტყავს. მართამ ტელევიზორი ჩართო, რომ სიმარტოვე არ უგრძნო, ცოტა დამშვიდდა კიდეც, საშიში არაფერია, შეაგვიანდათ დამშვიდებლე მოვლენ.

შესაბამისი

შენ, მართა, ოცდათიან წლებში ოდა რომ აიშენე, არ გეგონა, თუ სხვა რამეს ინატრებდი. ბინა პირუტყვს ჭირდება და მით უფრო დღამიანს! შენი ბავშვობა ისლით დახურულ ქოხში გაატარე. ფეხშიშველი დარბოდი შინ და გარეთ. ბევრჯერ მუხლამდე ტალახში ყოფილხარ ამოსვრილი და ისე დაწოლილხარ, ფეხი არ დაგიბანია, ან თუ დაიბანდი, მიწაზე სველი ფეხით გატატუნდებოდი და დაკონკილ საბანში გაეხვეოდი. რა შენი ბრალია, არ გქონდა და სხვისი გეხარბებოდა. მშიერს, სხვის ჰელში მჭადის ნატეხს რომ დაინახვდი, ნერწყვი მოგადგებოდა. ბაბა ვერ მოესწრო შენს გათხოვას, ციება შეეყარა და გარდაიცვალა. მაგრამ ბედს არ გაუწირიხარ, შენც მოაწყვე შენი ოჯახი. ყურმოკრული ამბებით ცხოვრობდი, რადგან გაზეთი შენ არ იცოდი და წიგნი. სოფელში ხმა რომ დაირჩა, ახალი დროება მოდის, კარგი ცხოვრება გვექნებაო, იმედად გადაიქცი. მაგრამ როგორი იქნებოდა ეს კარგი ცხოვრება, წარმოდგენა არ შეგეძლო. შენოვის ყველაფერი იყო, ლუკმა-პური და გამოსაცვლელი კაბა თუ გეღირსებოდა.

ხუთი წლიდან ეწეოდი ოჯახის მძიმე ტვირთს. დედამ ადრე ბავშვობაში შეგასწავლა საქმე, გვერდში ამოგიყენა, პირობები არ გქონდა ბავშვობაში ბავშვი ყოფილიყავი. მძიმე შრომამ ისე ჩამოგახმო, დაგცინოდნენ კიდეც, ცარიელი ძვლებიაო, და როტის რა ვადმყოფობა მოგიღებდა ბოლოს, არავინ იცოდა. შეთენებისთანავე დგებოდი, ლუკმას პირში არ ჩაიდებდი, ძილი რომ მოგეშორებინა, ერთ პეშვ წყალს პირზე შეისხამდი და ჯერ ფრინველს დააპურებდი, მერე ძროხას მოწველიდი. თუ დედა შეძლებულად იყო, მჭადის გამოცხობა აღარ გიშვდა, არც ყველის ამოღება. მზე კარგა გადმოდგებოდა, როცა ლუკმას პირში ჩაიდებდი. ნახევრად მშიერი თოხს წამოვალებდი ხელს და ყანაში მიდიოდი, გიჭირდა მძიმე თოხის მოქნევა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, ულუკმაპუროდ დარჩებოდი. შუადღემდე იქნევდი თოხს, ხანდახან დედაც წამოგეშველებოდა ხოლმე. გულით ცდილობდი, კარგი მოსავალი გქონდა, მაგრამ ქალი მაინც ქალია და მიუხედავად შენი დიდი მონდომებისა, ყანას მაინც აკლდა ხელი. ნაშუადღეს ბოსტანში ტრიალებდი. ასეთი იყო შენი ყოველი დღე. დაბნელებას უცდიდი, რადგან შუა ცეცხლის სინათლეზე, ან ჭრაჭზე რა უნდა გეკეთებინა და დალლილ-დაქანცული ტახტზე მიეგდებოდი. დილამდე ერთხელაც გვერდს არ მოიცვლიდი, როგორც იტყვიან, მკვდარივით გეძინა.

ქალი სხვისი ნაცარიაო, ხშირად გაგიგონია და ელოდი, ერთ მშვენი-

ერ დღეს შენც სხვისი ნაცარი გახდებოდი. ასე იყავი შთავლნებულს: კარგი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც გინდოდა შენი ოჯახი გერინოდა. თექვსმეტი წლისა გაგათხვეს, საქმრო იმ დღეს ნახე, როცა შენს წასაყვანად მოვიდა. არ მოგეწონა, თუმცა შენთვის არავის უკითხავს, გაყვებოდი თუ არა მას. ჩასაცმელი არ გქონდა. დედამ სკივრი გახსნა და თავისი ჭვარის წერის კაბა გაჩუქა. არ მოგერგო, რადგან ძვალ-ტყავად იყავი ქცეული. კაბას გვერდები გამოუკერეს, სიგრძე მოაკლეს და, როცა ჩიიცვი, ისე გაგიხარდა, საქმრო ვინც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გაყვებოდი.

საქმრო მეჯოგე იყო, ზამთარ-ზაფხულს მთაში ატარებდა. მუხლებზე დაკერებული შარვლითა და ქალამნებით მოვიდა შენს წასაყვანად. გაუპარსავი იყო, წვერგაძიგნილი, მაგრამ კეთილი თვალები და ლიმილი ჰქონდა. იმდენად დაიმორცხვა, ხელი ძლიერ ჩამოგართვა და შენს გვერდით რომ დადგა, გაწითლდა. სუფრა პარმაღში იყო გაშლილი, მამაკაცები უზომოდ მიეძალენ ღვინოს და დათვრენ. ყველაფერი მაშინალურად ხდებოდა, — გითხრეს, უნდა წავიდეთო, და შენც დაჲყევი. სად მიდიოდი, არც შენ იცოდი. მიგიყვანეს სად? ფაცხაში. შენ მაინც ბედნიერი იყავი.

დიდი ცვლილებები ხდებოდა ცხოვრებაში. ამ ცვლილებებს ჭერ სრულიად სტიქიურად განიცდიდი, მერე უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო და ოდა რომ აიშენე, ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა. თავდაპირველად ერთი ოთახი გააწყვეთ. შიგ შენმა მეუღლემ რეინის საწოლი დადგა, რომ ცოლ-ქმარი მოსვენებულად დაწოლილიყო. შენთვის უცხო იყო ზამბარებიანი საწოლი, ოდაში, მაღალზე წოლაც გეხამუშა და მთელი ღამე ეკლებზე იწექი. რამდენიმე დღე დაგჭირდა, ვიდრე შეეჩვეოდი და ოდაში გაათევდი ღამეს.

ორი შვილი გყავდა. უფროსი ვაჟი და შენი მეუღლე სამამულო ომში დაიღუპნენ. მთელი შენი იმედი უმცროსი, ერთადერთი ვაჟი იყო. გინდოდა ესწავლა, დიდი კაცი გამოსულიყო, მაგრამ არ გაგიმართლა. არც სოფელში ცხოვრებას დაუდო გული, ქალქში გაიქცა. წლების მანძილზე შენი ნაშოვი ფულით გაჲქონდა თავი. მერე საქმეს მოჰკიდა ხელი და წელშიც გაიმართეთ!..



გასაღების ხმაზე მართა წამოდგა, ოთახში რძალი და შვილიშვილი შემოვიდნენ ხელდატვირთულნი. შვილიშვილს გერმანული თოჯინა მხარზე გაედო, ომა ჩამოყროდა სახეზე. ოთახში რომ შემოვიდა, ოჯინა ბებიას მიაჩეხა ხელში. მართას გაუკვირდა, რა დროს თოჯინა იყო ამოდენა გოგოსთვის, უკვე მეოთხე კლასში სწავლობს. მაგრამ თოჯინა რომ დივაზზე დასვეს, ოთახი ერთგვარად გამოცოცხლდა. ლამაზი იყო, ცოცხალ გოგონასავით იჯდა იქ. თანაც ისე საბრალო თვალით გამოიყურებოდა,

თითქოს მშობლებს დაეტუქსოს უსამართლოდ. ჩალმა მაშინვე ის იყოთ
ხა, ლევანი არ მოსულაო?

- წელან დარეკა, შემაგვიანდებაო.
- სხვა არაფერი უთქვამს?
- არა!

— ნეტა, ვერ იშოვა?! — თავისთვის თქვა ქალმა და მხრებზე გაშლი-
ლი თბა შეაქანა. იგი ოდნავ ტანსუსტი იყო, თეორგვრემანი. ბაილონის
ფოთლება კაბა ეცვა, მკერდამოჭრილი. წუხილი ეტყობოდა სახეზე, ფან-
ჯარაშიც კი გადაიხედა, მერე უკმაყოფილოდ მოავლო თვალი ოთახს. იგი
პროდუქტების მაღაზიაში მუშაობდა გამგედ. მაღაზია რვა საათზე იკეტე-
ბოდა, ზოგჯერ ახალი საქონლის განაწილება უხდებოდა და გვიან იცოდა
მოსვლა. ბევრჯერ ქმარისაც მიუქითხავს სამსახურში.

მართა არ შეპატიუებია, სადილი მზადაა, სუფრას გავაწყობო.

— რაო, ბევრი შემაგვიანდებაო, — გულმა არ მოუთმინა მართას, რა-
კი ხედავდა, რძალი ისევ დელავდა.

— სხვაგან იყო წასასვლელი!

— ასეთი რა არის? — მორიდებით იკითხა მან.

ნუნუმ ლიმილით გადახედა დედამთილს, აგრძნობინა, საშიში არაფე-
რია, მაგრამ მართას ეჭვა მაინც გაკენწლა გულზე, რომ იგი ტანზე არ იც-
ვლიდა კაბას, თითქოს სადღაც უნდა წასულიყო. გოგონა თოჯინასთან იქ-
ცევდა თავს. მერე სამზადში გავიდა და პურს მიატეხა.

— მოგიკვდეს, ბებო, გშია?! — უთხრა მართამ.

— დედა, გაუმზადე ვახშამი, ჭამოს. მერე ჩვენც ვივახშმებთ, — უთ-
ხრა რძალმა.

მართამ შვილიშვილს სუფრა გაუწყო სამზადში. თავად დანაღვლია-
ნებული გვერდით დაუჯდა და გულისყური შემოსასვლელი კარებისკენ
ჰქონდა, როდის გაიღებოდა. ნუნუ შეწუხებული სახით მივიდა სარკეს-
თან, თბაზე გადაისვა ხელი, უცებ მოაგონდა, რომ ახლად მიღებული სა-
ქონელი გაუნაწილებელი დარჩა. საათზე დაიხედა, უკვე გვიანი იყო. მე-
რე ამ ფიქრმა გულზე გადაუარა და ისევ ფანჯარაში გადაიხედა. ზღვა ხა-
ლხი იყო ფანჯარაში. მისდა უნებლიერ ნაცრისფერქულიან მამაკაცს დაა-
კვირდა, გახსნილ პლაშს ქარი უფრიალებდა, კაშნეც მოღელილი ჰქონდა
და იქ, საღაც აკრძალულია ქუჩის გადმოჭრა, კინაღმ მანქანების ქარავან-
ში გაეხვია. მერე ზემოთ ამოიხედა და მხოლოდ ახლა შეიცნო ქმარი ნუ-
ნუმ. დააკვირდა, იღლიაში რაღაც შეხვეული ამოეჩრა.

— უშოვია, — სიხარულით გაიფიქრა მან და კარებისკენ გაემართა.

ლევანმა კიბე სირბილით ამოიარა, სული ყელში ამოუვიდა. ცოლს
შორიდან გაულიმა, მერე შეხვეული კარებში შეაჩერა ხელში.

— იშოვე?

— კი!

— დედა, ლევანი მოვიდა! — გასძახა ნუნუმ დედამთილს.
მართამ შეცბუნებული თვალით გამოხედა შვილს. ლევანმა მართამ
და ქუდი დივანზე მიაგდო, ცოლს შეხვეული გამოართვა და გასხნა. ნუ-
ნუს თვალები გაუნათლდა. ქმარს ხელში მუქი-მოლურჯო მეხით ვაწყო-
ბილი ქალის პალტო ეჭირა, სწორედ ისეთი როგორსაც ეძებდა.

— რა კარგია!.. — თქვა მან აღტაცებით, — დედა, ხომ კარგია?!.. — მი-
უბრუნდა იგი მართას.

— ძლივს ვიშოვე! — განმარტა ლევანმა.

მართამ პალტოს ხელი შეავლო, თვალი მასაც აუკიაფდა.

— აბა, ჩაიცვი! — უთხრა რძალს.

ნუნუ ბავშვივით იქცეოდა, თითქოს ჭერ პალტო არ ლირსებოდეს.
შუა ოთახში გავიდა და პალტო სარქესთან ჩაიცვა.

— ვისია, ნენა? — ჰეითხა დედამთილმა.

— ფრანგულია, „ანუელიკა“.

— ფრანგული?! — დააკვირდა პალტოს მართა.

— ბასლედნი კრიკ მოდი! — თქვა აღტაცებით ნუნუმ.

— რა მიეცი, შვილო?

— ექვსასორმოცდათი!

— ხელზე?

— აბა, მაღაზიაში სად იშოვი. სახელმწიფო ფასი ორასათი მანეთია.
სპეცუალურთანაც არ იშოვება.

ნუნუს პალტო უხდებოდა, თითქოს მის ტანზე ყოფილიყო შეკერილი
ისე აჯდა მხრებზე. გაიარ-გამოიარა სარქესთან, მოუხედა ორეულს, მერე
ჩექმები ჩაიცვა, თავზე კარაკულის კეპი დაიხურა და ისევ გაიარ-გამოია-
რა სარქის წინ. ქმარს განათებული თვალით გადახედა, მზად იყო, მივა-
რდნილიყო მასთან და დაეკოცნა.

ლევანი დივანზე მისავათებული იჯდა, ჭერაც არ შეშრობოდა ოფ-
ლი შუბლზე.



შენ, ბეღნიერი ხარ, ლევან. უსწავლელმა კაცმა ისეთი ცხოვრება შე-
ქმენი, ჩიტის რეც არ გაკლია, ყველაფერს სურვილისდა მიხედვით აკე-
ოებ, სწორედ შენისთანა კაცზე იტყვიან, ბეღნიერ ვარსკვლავზეა დაბა-
დებულიო. სწავლაზე თავიდანვე გული აიცრუე, საშუალო სკოლა დიდი
დავიდარაბით დაგამთავრებინეს. მერე სამხედრო სავალდებულო სამსახუ-
რი მოიხადე. იქაც არ გამოირჩეოდი დიდი აქტიურობით, ყოველგვარ და-
ვალებას თავს არიდებდი და ხშირადაც დასჭილხარ. სოფელში რომ დაბ-
რუნდი, ყველას ეგონა, საკოლმეურნეო შრომაში ჩაებმებოდი, ოჯახს მი-
ხედავდი, მაგრამ არც ახლა გამოიჩინე მონდომება, აიჩემე, ქალაქად უნ-
და ვიცხოვროთ. დედის გული ეჭვობდა, რომ შენ იქაც არ ივარგებდი.

შენ რაյი ატყდი, კიდეც გაიტანე შენი. უკანასკნელი კაპიკები გამოტყუე დედას, ქალაქში ჩამოდი, არც ბინა გქონდა და არც სამსახური ტარგა ხანს უსაქმოდ დაეხეტებოდი ქუჩა-ქუჩა. ხელი მიჰყევი წვრილმან აფერი-სტობას, ბოლოს სპეკულანტობასაც არ მოერიდე, თუ საღმე მაღაზიაში კარგი საქონელი გამოჩნდებოდა, ხელიდან არ უშვებდი და რამდენიმე დღის შემდეგ ზედმეტ ფასებში ყიდდი. ასე გაგონდა თავი და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა შენი საქმიანობა, რომ ისევ შენი ავისმომასწავე-ბელი მომავალი დედის გულს არ ეგრძნო.

დახმარებისათვის მან ეკას მიმართა, ეკამ თავის შვილს ოხოვა და შენ მშენებლობაზე მოეწყვე მუშად. მერე ეკას შვილმა, არჩილმა, ქალაქში ჩაგწერა და მის ზემოთ, სადაც შენ ახლა ცხოვრობ, ერთი ოთახი დაგაქი-რავებინა. შენ არ ერიდებოდი არაფერს, თუ რამეს ხელს წახელოებდა, ყიდდი. შენ გაიჩინე შენი ხალხი და ხან შუაკაცობასაც ეწეოდი, რომ სა-ხელმწიფო ცემენტი, ხე-ტყე, კარ-ფანჯრების ჩარჩოები და სახურავის თუნუქი სამაგ ფასებში გაგეყიდა. ერთ წელიწადში საქმაო ფული დაა-გროვე, მოელაპარაკე სახლის პატრონს და ნაქირავები ოთახი შეიყიდე. რა თქმა უნდა, ეს ცოტა როდი დაგიჯდა, რომ სახელმწიფო ბინა შეგეყიდა. მაგრამ შენ უკვე კარგი ბიჭის სახელი გქონდა გავარდნილი და ყველა გენდობოდა. ერთი წლის შემდეგ სახლის პატრონისგან მეორე ოთახი გა-იფორმე, მოპარული მასალით იშვიათი რემონტი გააკეთე და უცხოური ავეჯიც დაიდგი. ისე მოეწყვე, ალბათ, ორი წლის წინათ ვერც კი წარმო-იდგენდი. უცოლო ყმაწვილი იყავი და ნაირ-ნაირ კოსტიუმებს იცვლიდი, საუკეთესო რესტორნებში დადიოდი. ფული არ გენანებოდა, რადგან იგი ძალზე იოლად შემოგდიოდა. მალე დაწინაურდი კიდეც და მშენებელთა ბრიგადას ჩაუდექი სათავეში.

რა კარგადაც არ უნდა ყოფილიყავი, მაინც უცოლო კაცი იყავი. ბინა და ფული გქონდა, სხვა ქალის მოყვანისათვის არც იყო საჭირო, ან ვის უნდა ეთქვა შენთვის უარი, როცა იცოდნენ, რომ ქალს. ხელისგულზე აცხოვრებდი. ბევრი შეგნატროდა, მაგრამ შენ თვალი სამრაწველო საქო-ნლის მაღაზის გამყიდველს დაადგი. დიდი ქორწილი გქონდათ და შემო-სავალიც კარგი იყო. საქორწინო სამოგზაუროდ მოსკოვსა და რიგაში გა-ემგზავრეთ. იქედან რომ დაბრუნდით, ახალი სამსახურის ძებნას შეუდექი. სწავლის გაგრძელებაზე არც ახლა გიფიქრია, რადგან ფული გეშოვებო-და და ცხოვრებაც უდარდელი გქონდა. ქორწინებიდან მეორე თუ მესამე წელს პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში იმოგზაურე. მოგზაურობის სურ-ვილი არჩილმა გაგიღვიძა, რადგან იგი მეცნიერულ სიმპოზიუმებს სხვა-დასხვა ქვეყნებში გაღიოდა. არც შენ ჩამორჩი მას. შენ მას ფულით გაუ-ტოლე თავი.

შენ უკვე გავლენიანი პიროვნება გახდი. შენთვის მთავარი იყო უფ-რო თბილი აღგილი გენახა და მეტი ფული გქონოდა. შენ ამას მიაღწიე

კიდეც; ათასი მანეთი მიეცი ერთ სოლიდურ პიროვნებას და მან დეტაზის პარკში დისპეტჩერად მოგაწყო. მართლაც რომ მშენებელი, მძიმე ადგილია. პარკში სამი ათასი ტაქსია. თითოეული მძღოლი, როცა პარკში ბრუნდება, თითო მანეთს გაძლევს. შენ, რა თქმა უნდა, წილში სხვა-სთან გადიხარ, მაგრამ თითოეულ მორიგეობაზე შვიდასი-ხუთასი მანეთი შაინც გრჩება. ეს ცოტა ფული როდია, მით უფრო თუ ვიტყვით, რომ აგერ თორმეტი წელია ერთსა და იმავე ადგილზე მუშაობ.

ოროთახიანი ბინა უკვე არ აქმაყოფილებდა შენს მოთხოვნებს, შენი ბინის ყოფილ პატრონს კიდევ ორი თახი ჰქონდა სამზარეულოთი, სააბაზანოთი და ეზოს მხარეს დიდი ვერანდით. იგი ერთი უთვისტომო კაცი იყო. მალე გამონახე მასთან საერთო ენა, მისთვის ცალკე იყიდე ერთოთახიანი ბინა და გაისტუმრე. ეს შენ სისხლისფასად დაგიჯდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს შენთვის. ისეთი რემონტი გააკეთე, საიდან არ მოღიოდნენ მის სანახავად. ოთახები სხვადასხვა უცხოური ავეჯით გააწყვე და საზრუნავიც შემოგელია. ერთი რამ კი არ მოგწონდა, რომ ცოლი მაღაზიის გამყიდველი გყავდა. არც ახლა დაბნეულხარ, ერთ სოლიდურ პიროვნებას იგი მაღაზიის გამგედ დაანიშვნინე. ფული!.. ფული ყოვლის-შემძლე ძალა!..

• • •

ნუნუ პალტოთი იჯდა დივანზე ქმრის გვერდით. შარშან კარაკულის ჭურქი ასე არ გაარებია, რაღგან ჭურქი ბევრს ეცვა ქალაქში. ეს პალტო ჯერ უცხო ხილი იყო, ალბათ, ყველაზე მოდისტებმაც კი არ იცოდნენ მისი არსებობა. ეს იყო მისი ყველაზე დიდი სიხარული და გული წყდებოდა, რომ ჯერ ვერ ჩაიცვამდა, რომ ჯერ არ დამდგარა პალტოს ამინდი. ოჯახში ყველამ აღიარა, რომ მშვენიერი პალტო იყო და ძალზე უხდებოდა. მართაც კი მოხიბლული შესცემეროდა რძალს, მაგრამ გახშმობა შეაგვიანდათ და ორჯერ იკითხა; სუფრა თუ გავაწყოო.

— ცოტა გვაცალე, დედა, — უთხრა რძალმა.
— ქეთევანმა თუ იცის? — იკითხა ლევანმა.
— არა, ჯერ არ ეცოდინება! — ნუნუმ ხელები კმაყოფილებით გაშალა, — ჩავალ, ვანახვებ!
— ჩადი, მერე არ იფიქროს, რომ შენზე აღრე ვიშოვეო, — უთხრა მართამ.

— წამოდი, დედა, ერთად ჩავიდეთ!

რძალ-დედამთილი ეკასთან ჩავიდა. არჩილი და ქეთევანი რაღაცის გაჩრდებოდა დაობდნენ. ქალი ცოტათი აღელვებული იყო, უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ეკასაც ეტყობოდა უკმაყოფილება. სუფრის გაწყობა დაწყო, მაგრამ რატომლაც პური და ხიზილალა გამოეტანა და თავი მიენებებინა. ეკას ხელში დანა-ჩანგალი შერჩენდა.

— ყველაზე ბოლოს მე რატომ უნდა ვიშოვო, — ამ სიტყვებით მიმართა ქმარს ქეთევანმა, როცა მათთან ჩაძლ-დედამთილი შევიდა, მანი მანდით, მობრძანდით, — და მყისვე თვალი ჰყიდა ნუნუს პალტოს, — შენ რა?! — სახეზე სიბრაზე აუთამაშდა ქეთევანს, — დაგიზამთრებია!.. ოპო, უკვე იშოვე „ანუელიკა?“

— სწორედ აღლა ლევანმა მოიტანა, განახვო მინდა, ლირს თუ არა დატოვება?! — ნუნუ შეა ოთახში გაქერდა.

არჩილმა ფარულად შეავლო თვალი პალტოს, წარბი შეკრა.

— ხომ კარგია? — იყითხა მართამ.

ქეთევანი არც არას ამბობდა, არც კის. ქმარს ფარული ბრაზით გადახედა, თვალებით გატკვირა. მერე ნუნუს, თითქოს დიდი სიხარულით, შერებზე ხელი დაუსვა.

— კი, კარგია, გიხდება! — უთხრა მან ფარული შურით.

— სად იშოვა? — მინავლებული ხმით ჰყითხა არჩილმა.

— არ ვიცა, ვიღაც ნაცნობს ჰქონია და დაუთმო! — ნუნუმ მანეკე-ნივით გაიარა, შებრუნდა, ცალი ფეხი ოდნავ წინ გადგა, — პასლედნი კრიკ მოდი!.. წელს ეს პალტო პარიზის სალონებში პირველად გამოჩნდა თურმე... ოპ, რა მსუბუქია.

— დაზამთრებამდე ძალლიან-კატიანად ყველას ექნება, — თქვა ისევ ფარული შურით ქეთევანმა.

— არც ისე ხელმისაწვდომია!

— ჰმ! ქუჩის კეკელკა გოგოშები მაგის მეტს რას იშოვიან?!

— ჰო, თუმცა...

— ასეთი პალტოს ხელიდან გაშვება მაინც არ ლირს, — დასკვნა მართამ, — რაც მთავარია, ძალიან უხდება!

— ყველა რომ ჩაიცვამს, ფასი აღარ ექნება, თანაც ზოგი ისე იცვამს, ქილს შეგზარებს! — შეესიტყვა ეკა.

არჩილი ქალებს საუბარში აღარ ჩარევია, დივანზე იჯდა წარბშეკრული. შეუადლის შემდეგ არაფერი ეჭამა და სუფრაზე პურს რომ შეავლებდა თვალს, უსიამოვნო გრძნობას იწვევდა, პურს დანახვა კიდევ უფრო პერვიულებდა. ახლა არც მათი ჩამოსვლა ესიამოვნა დიდად, სულ მთლად გადარევენ ქალს და შინ აღარ გაეჩერება. თუ რამეს ჰყითხავდნენ, თავს მაშინალურად აქნევდა.

— ჩვენ, ვატყობ, მოგაცდინეთ, — თქვა შემდეგ ნუნუმ.

— ჰო, კარგი!.. — ცივად მიუგო ქეთევანმა.

ოთახში სიჩუმე კარის ხმაურმა დაარღვია. უბრად იჯდა ცოლ-ქმარი. ეკა მოციქულივით ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, თითქოს მათი შერიგება უნდა და ვერ მოუხერხებიათ. ქეთევანმა ამოიოხრა და თან გულიც ამოატანა ამ ოხერას. რაღა თქვას მან, ან რა უთხრას ქმარს. ისედაც ყვე-

ლაფერი ნათელია. კიდევ იტყვიან, რომ ეპვიანია, ყველაფერი ციქუნიშვილია, სათქმელი აღარაფერი აქვს!

— ეჭ! — ისევ ამოიხერა მან.

— რას იზამ! — უთხრა დედამთილმა, — გულს ნუ გაიტეხ!

— არა, გულს არ გავიტეხ, მაგრამ... — ქმარს შეხედა, რომელიც ენაჩავარდნილი იჯდა, — სხვამ ყველაფერში რატომ უნდა ვაგობოს!

— ყველგან ქსელი აქვს გაბმული, — სინაულით დასძინა არჩილმა.

— შენ მასზე ნაკლები ნაცნობობა რატომ უნდა გქონდეს?! — შეკბინა ქალმა.

— საწყობში რომ იყოს, გამოვიტანდი, მაგრამ ქუჩა-ქუჩა სად ვეძებო. ეს შენ უფრო უნდა იცოდე! — ახლა თავად უსაყველურა ქალს არჩილმა.

— ჩემს სპეცულანტს არცერთს არა აქვს!

— ხომ ხედავ?! — ნიშნის მოგებით უთხრა არჩილმა.

— აწე ყიდვაც აღარ ლირს — სევდით ოქვა ეკამ; — ნუნუმ იშოვა და შენც ტყუპისცალივით მასავით ხომ არ ჩაიცვამ?!

— ეს თქვი, შენ!

— სხვა რაღაც გამოჩნდება და ის ვიყიდოთ, — დააიმედა ცოლი არჩილმა.

— როდის?

— გაიკითხ-გამოიკითხე, იქნებ უკეთესი პალტოა მოდაში!



შენ, თავად ამ აზრმა რამდენადმე დაგამშვიდა, არჩილ. პატივმოყვარე იყავი ბავშვობიდან, არავის არ გინდოდა ჩამორჩენოდი. ეს შენში ცუდი თვისება როდია, მაგრამ ამ შენს პატივმოყვარეობას ვინ როგორ იყენებს. ცოლს რომ უკეთეს პალტოს უშოვი, აქ საეჭვო არაფერია. რაკი თქვი, არაფერს დაიშურებ, რომ შეასრულო. ასეთი პრინციპული ხარ შენ! თუ გახსოვს, ასეთი იყავი, როცა საშუალო სკოლა დამთავრე; უმაღლეს სასწავლებელში აუცილებლად განვაგრძობ სწავლასო, თქვი და კიდევ შეასრულე. თუმცა არავინ მხარდამჭერი არ გყავდა. თბილისში ორი დღის საგზალითა და ორიოდე კაბიკით ჩადი. ვიღრე უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მოეწყობოდი, რამდენიმე ღამე ქუჩაში გაათიე. დღედაღამე წიგნის კითხვით გქონდა სასწორებული. შრომასაც ამაღდ არ ჩაუვლია; უნივერსიტეტი წარჩინებით დამთავრე და ასპირანტურაში განაგრძე სწავლა. ცხოვრებაში, პირდაპირ რომ ითქვას, სწორ გზაზე, ბევრი-სათვის შესახარბელ გზაზე დადექი. ერთდროულად ასპირანტურაშიც სწავლობდი და კიდევ მუშაობდი. მარტოხელა დედას ტვირთად აღარ აწექი.

ასპირანტურის დამთავრებიდან ერთ წელიწადში სამეცნიერო ხარისხი დაიცავი. ეს შენთვის დიდი გამარჯვება იყო, მეცნიერებაშიც გზა გა-

გეხსნა და საკმაოდ დიდი ხელფასიც დაგენიშნა. სახელმწიფომ ახალი ბრძანები მოგცა. მაშინვე ოჯახს მოეკიდე, დედაც ჩამოიყვანე ქალაქში მათ, მოსუც ქალს სოფელში მარტოდ რა გაძლებინებდა. ოჯახი გამრავლდა, გაიზარდა. სახელმწიფომ ესეც გაითვალისწინა და მეცნიერულ მუშაობაში ხელი რომ არ შევშლოდა, ოთხოთახიან ბინაში გადაგიყვანა. მერე გვერდით კიდევ ერთი ოთახი შემოიერთე და ბინაზე საზრუნავი აღარაფერი გქონდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ერთ დღეს არ მომხდარა. ნელნელა ბინის რემონტიც გააკეთე, საუცხოო ავეჯი შეიძინე და შენთვის უფრო წყნარ, მოსახერხებელ ოთახში სამუშაო კაბინეტი მოაწყვე.

შენმა მეცნიერულმა შრომებმა საერთო ყურადღება მიიპყრო. ხალხშიც და მთავრობაშიც ავტორიტეტით სარგებლობ. ლექციებს კითხულობ სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტებში, გიზვევენ უცხოეთში საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, შენს ახალ წინადაღებებსა და მოსაზრებებს ქვეყანას აცნობ. რაზეც შენ წინათ ოცნებაც არ შეგეძლო, ყველაფერს მიაღწიე. შენს სახლში იკრიბებიან გამოჩენილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ისეთ სალამოებს აწყობ, ქალაქში ბევრს სურს შენს ოჯახთან დაახლოება, შენთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ზოგჯერ შენ თავად არ გჭერა, რომ ეს შენ ხარ!

ეკა სახედალვრემილი მაგიდასთან იჯდა, ვერ გადაეწყვიტა, განეგრძო სუფრის გაწყობა თუ მათ დალოდებოდა, როდის ისურვებდნენ ვახშმობას. ცოლ-ქმარი კარგა ხანს დუმდა; თითქოს სათქმელი ვერ ენახათ, თოოქოს ეშინოდათ ერთმანეთისათვის გულის ფიქრის გამხელა. არჩილს სახეზე ქმაყოფილება დაეტყო და ეს ქეთევანს აღიზიანებდა. ეგონა, ქმარი მისი იმედის გაცრუებას დასცინოდა.

— ვიღაც დისპეტჩერმა როგორ უნდა გაჯობოს! — გესლით თქვა მან. — კარგი, ქეთევან, ეს არ იქნება, სხვა გამოჩენდება! — შენ ასე იცი დაპირება! — რატომ დაპირება, გაკლია რამე? — არჩილი გაბრაზდა. — ნუ მაყვედრი!

— არა, მე არ გაყვედრი! ა, ბატონო, იშოვე და რაც არ უნდა ღირდეს, გიყიდი!

— ახლა?

— აბა, რა ვქნა?!

— შარშან მე და ნუნუმ ერთნაირი ქურქი ვიყიდეთ, ახლა მან პალტოიყიდა, მეც ისეთი პალტო ვიყიდო? რატომ?

— ნუ იყიდი, შეაკერინე! — ჩაერია საუბარში ეკა.

— ვინ შეგიცერავს, თორემ კი. მე არ ვიცი, რა მკერავებიც არიან?.. ეს სპეცულანტები კაცმა უნდა გაწყვიტო! — ზიზლით დასძინა ქეთევანმა,

— ოლონდ თავიანთი საქონელი გაასალონ და არაფერს დაგიღებენ! უცვლე
ერთნაირად იცვამს, ნოქარიცა და დირექტორიც. მეეზოვეცა და შეცნიო
რიც, ეს სპეცულანტები რომ არ იყვნენ, მაშინ საწყობი ყველასათვის ასე
ხელმისაწვდომი არ იქნება!

— ჰო, შენ მართალი ხარ! — დაემოწმა ქმარი.

ეკა წამოდგა. ვეღარ გაუძლო მათ საუბარს. თორმეტი საათი სრულ-
დებოდა, ისინი კი ვახშმობას არც აპირებდნენ. ბავშვს ტანგაუხდელად
მეორე ოთახში დივანზე ჩასძინებოდა. ეკამ მას ტანზე გახადა და ფრთხი-
ლად ჩაწვინა საწილში. მერე გამობრუნდა. ცოლ-ქმარი ისევ პირდაღვრე-
მილი იჯდა, უბრალოდ, როგორც შეურაცხყოფილი ადამიანები.

— რა ვქნა, გვიანია, სუფრა გავაწყო? — ეკითხება მათ ეკა.

— მაცალე, დედა, ვის აქვს ახლა, ვახშმობის თავი! — ბრაზით უპა-
სუხა რძალმა.



შემოდგომის მზემ გადმოიხედა სახურავებს ზემოდან და ფოთლების
ჩრდილი ალიცლიცდა ასფალტზე. გრილმა ნიავმა წამოუბერა, ჭადრის
ტოტს გაყვითლებული ფოთოლი მოწყდა, ფართვატით წამოვიდა და შესა-
სვლელთან დაეცა. ერთს მეორე მოჰყვა და ქუჩის ხმაურს ფოთლების
შრიალი შეერია. მართას გაყვითლებული ფოთლები ფეხზე წამოედო, შე-
სასვლელში ფეხი დაიბერტყა და შეისვენა. თავზე თავსაფარი დაცურე-
ბოდა, ნიავს თეთრი თმა გაეწერა. ხორავით სავსე კალათი, ეტყობოდა,
შძიმე იყო, ხელში მოინაცვლა და კიბეს ნელი ნაბიჭით შეჰყვა, თანაც
ცალი ხელი მოაჯირის სახელურზე ჰქონდა ჩავლებული. აინაცვლებდა
ერთ-ორ საფეხურს და წამით შეჩერდებოდა, ღრმად ჩაისუნთქავდა.

ოთხი სართული იყო ასასვლელი.

მესამე სართულზე კარი გაიღო. მართამ ზემოთ აიხედა დალლილი
თვალებით. ზოგჯერ ბავშვებმა იცოდნენ კიბეზე ჩამორბენა და იქნებ ხე-
ლი წამოეკრათ კალათზე. მაგრამ ზემოდან ეკამ გადმოიხედა, მერე მიბ-
რუნდა და კარი გასაღებით დაკეტა.

— გამარჯობა, მართა! — გადმოსძახა მან.

— გაგიმარჯოს! — ძლივს გაეპასუხა მართა და მეორე სართულის
ბაქანზე შეისვენა.

ეკას ხელში ტყავის ცარიელი ხელჩანთა ეჭირა. მოაჯირს ცალი ხელი
ჩაავლო და ისე დაჰყვა კიბეს. ცოტა ბნელოდა კიდეც, გარედან სინათ-
ლე არ აღწევდა და კიბეს იყო დაჩერებული.

— მოიარე მაღაზიები, ჩემო მართა? — ჰკითხა მან.

— მერე რა? — წყენით მიუგო მან, — ხორცი ვერ ვიშმვე!

— რას მეუბნები, ქალო, სწორედ ახლა ხორცის საყიდლად მივდი-
გარ!



— ჩვენს მაღაზიაში გათავებულა, ხუთ საათამდე აღარ იქნებაროგენდენ
რე საღილი აღარც მოესწრება!

— სხვა მაღაზიაში იყავი?

— გადაღმა მაღაზიაში ყოფილა, მაგრამ იქ რა წამიყვანდა. ბიჭს და-
ვურეკავ, იქნებ მან იყიდოს. — კალათი აიღო ხელში და წასვლა დაპირა,
— რა მოხდა კაცო ასეთი, რომ ხორცი არაა მაღაზიაში. მათ რომ ჰკითხო,
ყველაფერია!

ექამ შინ დაბრუნება გადაწყვიტა.

— რაღას მივდივარ! — შებრუნდა და მართას კალათზე ხელი მოუ-
კიდა, — ცოტას მაინც წაგეხმარები, — უთბრა მან, — რა ცხოვრებაა,
ჩვენი ცხოვრება, მაღაზიაში ხორცი არა!

— ეჰ, ნუ მეტყვი, ქალო, კაცს სული ტანჯვაში უნდა აღმოხდეს! სა-
შველ-სახიდებელი არ ყოფილა და ეს არი!

ექამ მეზობელს თავის კარებამდე აატანია ხორავი, მერე გამოეთხო-
ვა და ხელჩანთაში კლიტეს დაუწყო ძებნა. მართა კიბეს შეპყვა სვენებ-
სვენებით, თანაც ბრაზი ყელში მოებჭინა. თავის კარებთან ერთხელ კი-
დევ შეისვენა, სული მოიბრუნა და კარი გააღო.



პავლე ჯოგანეაძე

ესპერესი პირვენება

მას შემდეგ, რაც ისტავლა შრომა და თანდათანობით გამოეყო ცხოველთა სამყაროს, აღაშიანი-მშრომელი ადამიან - შემოქმედა-დაც იქცა, ბუნების პარმონიასა და სილამაზებზე აღზრდილი თვითონ დაეჩვია სილამაზის, მშვენი-ერების შექმნას, ენადგმულმა, გონებამომარჩვებულმა ბუნების მშვენიერებას თავისი წარმოსარ-ცოლ შექმნილი სინამდვილე დაუ-მატა. ამიტომაც ოდითგანვე დი-დი პატივისცემით სარგებლობ-ლენ ხელოვანნი და გულუბრყვ-ლო ღვთისმოსავ ადამიანებს პო-ეტი-მომღერლის უნარი ღვთაებ-რივ წყალობად მიაჩნდათ.

„ან მუზამ, ზევსის ნაშიერმა. დაგასწავლა, ან განგანათლა აპო-ლონმა“, — ასე მიმართავენ პო-მეროსთან რაფსოდს, მომღერალს. ასე მიაჩნდათ ძველ ბერძნებს პო-ეტი შუამავლად მუზებსა და მსმენელებს შორის.

პლატონი, ცნობილი ძველი ბე-

რძენი ფილოსოფოსი, ანტიკური იდეალიზმის ფუძემდებელი, პი-რდაპირ ამბობდა, რომ თავისთა-ვად პოეტი-მომღერალი თვითონ კი არ ქმნის, არამედ ის რასაც იგი ქმნის, მღერის, მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებრივი ხილვაა, ისეთივე, როგორიც დელფოსას ტაძრის წინასწარმეტყველი ქა-ლის ხილვა. პლატონისათვის ეს პოეტური ხილვა ღვთაებრივი „გა-შმაგებაა“, „მძვინვარებაა“, რა-საც იწვევენ მუზები ან ნიმფები.

პლატონი აღნიშნავს, რომ, რო-ცა პოეტი განიტვირთება ამ „გა-შმაგებისაგან“, „მძვინვარებისაგან“ და მას კვლავ იპყრობს გონება, იგი უსუსურია შთააგო-ნოს თავისი თავი და შექმნას სი-მღერები.

ერთი შეხედვით, ეს მისტიკუ-რი „ღვთაებრივი შთაგონება“, „მძვინვარება“ წარმართავს პო-ეტის და საერთოდ ხელოვანის შემოქმედებით პროცესს და მარ-

ოლაც არის პერიოდები, ჩოცა
პოეტი „გამოიფიტება“ ხოლმე,
„გამოფხიზლდება“ თავისი პე-
ტური აღმაფრენისაგან და ამის
შემდეგ რაც არ უნდა დაატანოს
თავის თავს ძალა, იგი უძლურია
განაგრძოს შეთხვა. მაგრამ შა-
ტერიალისტური ფილოსოფია
მიხედვით ამ მისტიკური „შთაგო-
ნების“ და „გამოფიტვის“ იქთ
ღვას შემოქმედის ფსიქიური და
ინტელექტუალური პოტენცია-
ლის პერიოდული ამოწურვა, რაც
ისევე ხდება, როგორც ფიზიკუ-
რი ძალების გამოფიტვა. მაგრამ,
ჩვეულებრივ, ფსიქიური და ინ-
ტელექტუალური პოტენცია აღ ა
კვლავ „იმუხტება“, ან კიდევ
არის ისეთი შემთხვევებიც, რო-
ცა შეიძლება შემოქმედებითი პო-
ტენციალის „განმუხტვას“, პო-
ტური შემოქმედების კრიზის
ისეთი ობიექტური და სუბიექ-
ტური პირობები შეექმნას, რომ
აგი დიდხანს გაგრძელდეს, ან
პოეტს საერთოდ ააღებინოს ხე-
ლი პოეზიაზე. მაშესადამე, შემო-
ქმედებით პროცესს მატერიალუ-
რი სინამდვილიდან გამომდინარე
თავისი ობიექტური მიზეზები
აქვს, რომლებიც არ სცილდებიან
და არც შეიძლება გასცდნენ რეა-
ლობის ფარგლებს, და თუ ორმაღ
ჩავჭრდებით ამ მიზეზებს, არავი-
თარ „ღვთაებასთან“, მისტიკას-
თან არ გვექნება საქმე.

მაგრამ ანტიკურ პერიოდში პო-
ეზის ღვთაებრიობის, შემოქმე-
დების აქტის „მძვინვა-
რების“ აქტის პლა-
ტონისულ თეორიას, საკმაოდ
ჰქონდა მოკიდებული ფეხი ანტი-
კურ ეპოქაში. მაგრამ შემოქმედე-
ბის აქტის პლატონისული მოძრ-
ვრება და საერთოდ მისი ესთე-
ტიკური თეორია მჭიდროდაა და-
კავშირებული მისი გახსენების
იდეალისტურ თეზისთან და არის-
ტოკრატიული სახელმწიფოს თე-
ორიასთან. დიალოგში „ლხინი“
პლატონი აღნიშნავს, რომ მშვე-
ნიერება ასესებობს იდეათა სამყა-
როში და მოკლებულია ამქვეყნი-
ურ კონკრეტულ ხასიათს. თუ ამ-
ქვეყნად ყოველივე წარმოიქმნება,
იცვლება, ისპობა და ხილვადი სა-
მყარო მრავალმხრივი, მრავალ-
ფეროვანია, იდეათა სამყაროში კი
მშვენიერება მარადიულია, უც-

ლებული იყო, რომ ასეთ შეხედუ-
ლებას ანტიკური მატერიალიზმი
ფუძემდებელს დემოკრიტესაც კი
მიაწერდნენ, თუმცა ეს ნაკლებად
საჩრდმუნოა, თუ მხედველობაში
მივიღებთ სინამდვილის გაჯების
დემოკრიტესულ მატერიალის-
ტურ კონცეპციას. ასე, მაგალი-
თად, როგორც გადმოგცემენ,
დემოკრიტეს მიაჩნდა, რომ შეუ-
ძლებელია მშვენიერი და ბრძნუ-
ლი ლექსების შექმნა ღვთაებრი-
ვი და ზებუნებრივი ძალის გარე-
შე.¹

პოეზის ღვათებრივობის, შემოქ-
მედების აქტის, როგორც „მძვინვა-
რების“, „გაშმაგების“ აქტის პლა-
ტონისულ თეორიას, საკმაოდ
ჰქონდა მოკიდებული ფეხი ანტი-
კურ ეპოქაში. მაგრამ შემოქმედე-
ბის აქტის პლატონისული მოძრ-
ვრება და საერთოდ მისი ესთე-
ტიკური თეორია მჭიდროდაა და-
კავშირებული მისი გახსენების
იდეალისტურ თეზისთან და არის-
ტოკრატიული სახელმწიფოს თე-
ორიასთან. დიალოგში „ლხინი“
პლატონი აღნიშნავს, რომ მშვე-
ნიერება ასესებობს იდეათა სამყა-
როში და მოკლებულია ამქვეყნი-
ურ კონკრეტულ ხასიათს. თუ ამ-
ქვეყნად ყოველივე წარმოიქმნება,
იცვლება, ისპობა და ხილვადი სა-
მყარო მრავალმხრივი, მრავალ-
ფეროვანია, იდეათა სამყაროში კი
მშვენიერება მარადიულია, უც-

1 იბ. ესთეტიკის ისტორია, ხელოვნე-
ბათა აკადემიის გამოცემა, 1962 წ., ტ. I,
გვ. 87 (რუსულ ენაზე).

ლელია და იგი კონკრეტული სახით როდი იჩენს თავს. მისი ხილვა მხოლოდ განსაკუთრებული უნარით დაჯილდოვებულ ადამიანს, ე. ი. ხელოვანს შეუძლია. მაშასადამე, მშვენიერება უნდა ვეძებოთ არა ამშვეყნიურ ხილვად რეალობაში, არაერთ იდეათა საშუალოში. ე. ი. პლატონმა მშვენიერების კატეგორია მკვდარი აბსტრაქციად აქცია. პლატონი იმ დასკვნამდე მივიღა, რომ რამდენადაც მშვენიერება ატარებს ზემგრძნობიარე ხსიათს, იგი შეიძლება არა გრძნობებით, არამედ გონებით, რაც შეუძლია ფილოსოფოსს ფილოსოფიური ექსტაზის დროს. მაშასადამე, ჩვენ საჭმე გვაქვს მშვენიერების თავისებურ მისტიკურ აღქმასთან. პლატონის აზრით, ასევე ხდება ხელოვნებაში, სადაც შემოქმედებითი შთაგონება მკვეთრად უპირატორება შემეცნებით აქტს. მაგრამ თავის დიალოგში „იონი“ პლატონი ამტკიცებს, რომ შთაგონება რაღაც ირაციონალური, გონიერი სათვის მიუწვდომელი აქტია, რომელიც მას ასე აქვს წარმოდგენილი: დავუშვათ, რომ მაგნიტუ მიღებულია რამდენიმე რგოლი, მათგან ყველაზე ახლო მდებარე რგოლი ეს პოეტი-შემთხვევია, შემდეგი რგოლი კი არის რაფსოდი, უკვე შექმნილი სიმღერის შემსრულებელი, დანარჩენი რგოლები კი მსმენელები არიან, რომლებიც აღიქვამენ მაგნიტისაგან გადმოცუმულ აღმაფრენულ მდგომარეობას. მაგრამ ვინდა იგ-

ულისხმება მაგნიტში? რა უკუკვენავს უნდა, პლატონის აზრით, ეს ღვთაება ან მუზაა. პოეტური შემოქმედების აქტის პლატონისეული მისტიკური თეორიის მიხედვით შემოქმედი შემოქმედების პროცესს ახორციელებს თავისთავად, გაშმაგების მდგომარეობაში, რომელიც შეუცნობადი და გონებისათვის მიუწვდომელია. ასე რომ, შემოქმედების პროცესის დროს თვითონ შემოქმედს გააზრებული არა აქვს. რას ქმნის იგი, თვითონ არ იცის, როგორ იქმნება ნაწარმოები. მაშასადამე, შემოქმედი ყოფილა თავისებური საყვირი, რომლითაც იგი გადაეცემა მსმენელებს და აღაგზნებს მათ ღვთაებრივი ძალით. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შემოქმედის საშუალებით მუზამ დაიყვანა მსმენელამდე მშვენიერება? პლატონის აზრით, შემოქმედს ექსტაზის მდგომარეობაშიც არ შეუძლია შეიმეცნოს ჭეშმარიტება და მშვენიერება. აკი პოეტი ქმნის გარკვეულ კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებს, ე. ი. გრძნობად სუბსტანციას, ხოლო გრძნობად-კონკრეტული ხომ იდეების სამყაროს მკრთალი ანარეკლია, პოეტი კი ასახვს გრძნობადი სამყაროსადმი მიბაძვის პრინციპით. მაშასადამე, ამ ძველი ბერძენი ფილოსოფოს აზრით, პოეტური ნაწარმოები ასლის გადაღებას წარმოადგენს, ე. ი. იდეებისადმი მიბაძვის მიბაძვაა, აჩრდილთა აჩრდილია. ასეთ შემთხვევაში მხატვრულ ნა-

წარმოებში მოცემულია მშვენიერების იდეალის ძალიან მკრთალი, შორეული გამოძახილი. პლატონი ასე მსჯელობს: სკამის ცნებას ქმნის ღვთაება, ამ ცნებას ბაძავს ღურგალი, რომელიც ქმნის კონკრეტულ სკამს, ხოლო ხელოვანი ბაძავს ამ სკამს, ე. ი. ქმნის რიგით შესამე სკამს. მაშასადამე, როგორც დასკვნის პლატონი, მიმბარველობითი ხელოვნება „ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისაგან“, რაღანაც იგი ყოველი საგნისაგან იღებს „რაღაც უმნიშვნელოს, რაღაც აჩრდილს“.

ზეცით ნაწყალობები ნიჭის თეორია, შემოქმედების აქტის ღვთაებრიობის თუორია ამა თუ იმ სახით დიღხანს რჩებოდა პოეზიაში. რუსთველიც ღვთაებას მიმართავს, რომ შთააგონოს იგი, ძალა შთაბეროს მიჯნურთ სახოტბოდ, შეძლოს „მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტქბილისა“:

„რომელმან შექმნა სამყარო,
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსი სულითა
ყვნა ზეცით მონაპერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე
სახითა მის მიერითა.
ჰე ღმერთო ერთო, შენ შეპქმენ
სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიტარე, ძლევა მეც
დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი,
სიკვდილე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება,
მუნ თანა წარსატანისა...“

აწ ენა მინდა გამოთქმად, სისოდელი
გული და ხელოვანება, — პირული მომეც
ძალი მომეც და შეწევნა
შენგნით მაქვს, მივსცე გონება...“

ყოველივე ამან გამოიწვია და ტრადიციულად დაამკვიდრა ხელოვანის, შემოქმედის თანდაყოლილი, ზეცით ნაწყალობები ნიჭის, ღვთაებრივი უნარის თეორია, რაც ასე თუ ისე ახლაც კი იჩენს თავს. ჯანსაუზრუებით იმ თვორეტიკოსთა და კრიტიკოსთა შორის, რომლებიც იდეალისტურ პოზიციებზე დგანან.

მართლაც, კაცობრიობა ხომ არაა ფატალურად განწირული, უა თუ გენიოსები (წმინდა ბიოლოგიური თვალსაზრისით) არ დაიბადონ. ასეთი კონცეპცია გზას უხსნის გენიოსის, შემოქმედი პიროვნების გამისტიკურების ცდას. მაგრამ, ბუნების, რეალობის გარეშე ჩვენ არაფერი არ გვწამს. შემოქმედ პიროვნებას და შემოქმედებით პიროცესს გარეული თბიერტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, თუმცა ძალზე ძნელი ჩასადგენი და განსასაზღვრავი.

ჰერ ერთი, ყოველი დიდი შემოქმედი უალრესად ეროვნულ მოვლენას წარმოადგენს და თუ საჭიროა ვილაპარაკოთ არაჩვეულებრიობაზე, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვილაპარაკოთ ეპლექსია და ურის პოტენციალის არაჩვეულებრიობაზე, რომლებიც ნიადაგს უქმნიან გენიოსების, გამოჩენილ შემოქმედ პიროვნებათა წარმოშობას.

მაშასადამე, გენიოსობა, შემოქმედების უნარი რეალურ სინამდვილუსთან დაკავშირებულ მოვლენათა სინთეზის შედეგია და არა რაიმე მისტიკური მოვლენა. რა თქმა უნდა, გენიოსი შემოქმედი როდი გამოჩნდება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ქვეყანაში, თუ ამის ობიექტური წინაპირობები არ არის, თუ ამისთვის ჯურკილე არ მომზადებულა ნიადაგი.

მაგრამ ისტორიულ-სოციალური დეტერმინიზმი როდი გამორიცხავს სუბიექტურ საწყისს, თუნდაც თანდაყოლილ მონაცემებს, რომლებსაც ჩვეულებრივ „ნიჭეს“, „ტალანტს“ უწოდებენ და რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ შემოქმედებით პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადო ობიექტური - ისტორიულ-სოციალური პირობების შემზადებისას უკლებლივ ყველა გენიოსი, შემოქმედი ჭიროვნება უნდა გახდეს, და სწორედ აქ ვაწყდებით დიდ სირთულეს რა არის ტალანტი, ნიჭე, როგორ გავიგოთ ისინი? სწორედ ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ თანდაყოლილი ნიჭის მემკვიდრეობაზე. ამას კი ფატალურობამდე მივყავართ.

ვენეტიკის მეცნიერული კვლევა-ძოუბების, მისი შესანიშნავი შედეგების გავულგარება იწვევს იმას, რომ მემკვიდრეობაში ექვებენ მათემატიკოსის, ფიზიკოსის, მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის და სხვათა „გენებს“, რომლის არამეცნიერულობაზე რომცან ვილაპარაკოთ, საქმაოდ უსუ-

სურად და სასაცილოდ გამრიცებულება. მაშინ სავსებით გაინტერესო იქნება, თუ მივმართავთ გარდებები გვარების, ოჯახების სელექციას, თუ გავაუმჯობესებთ მათ „გენებს“. ამით ხომ მეცნიერებაც და ხელოვნებაც საქმაოდ წინ წაიწევდა. აკი სელექცია, გვარის, ჯიშის გაუმჯობესებას, უკეთესი ჯიშების მიღებას გულისხმობს. ნიჭის მემკვიდრეობითობის თეორიის მომხრეებს ხომ საქმაოდ ბევრი „მაგალითის“ მოტანა შეუძლიათ, რაც განსაკუთრებით „იჩენს თავს“ მეცნიერთა წრეშა. მაგალითად, ჩარლზ დარვინის შთამომავალი მეცნიერები არიან: ინგლისის სამეფო საზოგადოების წევრი სერ ჩარლზ დარვინი, მეცნიერები უ. ა. დარვინი, ბერნარდ დარვინი და სხვ. კინოგრადოვების დინასტია და სხვ. მეცნიერთა ასეთ დინასტიურობას ხშირად აქვთ ადგილი, მაგრამ აქ ხომ სხვა ფაქტორი მოქმედებს, ვიდრე მემკვიდრეობა: სახელოვანი, ავტორიტეტული წინაპრის ხათრითა და პროტექციით ან სხვა საშუალებებით, თუ ამის სურვილი და საშუალო მონაცემები აქვთ, შთამომავლებიც მეცნიერები ხდებიან. მაგრამ ეს ხომ საერთოდ სცილდება მემკვიდრეობის ბიოლოგიური კანონის ცნებას და გადადის უფრო სოციოლოგიის სფეროში. თანაც ოჯახის ატმოსფეროს მიხედვით ადრეულ ასაკში ხდება შესაბამისი მიდრეკილების გამოყოფა-გაღვივება და შესაბამისი ობიექტური პირობე-

ბის კვალობაზე შთამომავალნიც მიყვებიან წინაპართა კვალს, მით უმეტეს, რომ გვარის მემკვიდრეობით გამტკიცებული ფსიქიური მონაცემები ამის საშუალებას იძლევა.

თანდაყოლილი ნიჭის მემკვიდრეობითობას განსაკუთრებით ხელოვნებაში ეძებენ და „მხატვრული არისტოკრატიის“ საკმარის მოძველებული რეაქციული ოეორიის მომხრეები ხშირად მიმართავენ ისეთ ცნობილ ფაქტს, როგორიცაა ბახების მუსიკალური ოჯახი,² დაიმოწმებენ ხოლმე ტიციანის წინაპართა და ნათესავთა დინასტიურობასაც, რომელთა შორისაც მართლაც ბევრი მხატვარი იყო. მაგრამ ეს ხომ, ერთის მხრივ, შემოქმედ არისტოკრატიად, მეორეს მხრივ კი, ხალხად, უნიჭო მასად დაყოფის რეაქციული ოეორიაა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ სოკრატემ (დაახლ. 469-399 წ.). მან წამოაყენა ქალოსაგატიას მოძღვრება, რომლის მიხედვით მხოლოდ „კეთილშობილ აღამიანებს“ (ქალოს-აგატოს) შეუძლიათ გამსჭვალული იყვნენ სათნოებით, მხოლოდ მათ შეუძლიათ მშვენიერების შექმნა,

2 მაგალითად, 1750 წელს ოჯახურ დღესასწაულზე შეიკრიბა ბახების 128 წარმომადგენელი, რომელთა შორის 57 კომპოზიტორი ან მუსიკოს-შემსრულებელი იყო, მათგან კი 29 საქმაოდ გამოჩენილი მუსიკოსი ყოფილა. მაგრამ მაინც მათ შორის მხოლოდ ერთი იყო ყველაზე გამოჩენილი და ოთავლისაჩინ — იოანან სებასტიან ბახი (1685-1750).

ეს-ეტიური ტებობა და არა ხელოსნებს, მიწათმოქმედთ, რომლებიც იმდენად არიან დაკავებული თავიანთი საქმიანობით, რომ ას შეუძლიათ იყვნენ გონიერნი, მაშასადამე, არ შეუძლიათ იყვნენ მშვენიერნი და არ აქვთ უნარი შექმნან ან დასტკბნენ მშვენიერებით.

მისტიკოს-ფილოსოფოსს დიუპრელს მიაჩნდა, რომ რჩეულთა დინასტიაში, ღვთით ნაწყალობევ გვარებში თანდათანობით გროვდება, „იმუხტება“ ნიჭი, ტალანტი და უკვე ზღვაზე მისული გარკვეულ პირობებში მოულოდნელად იფეთქებს ხოლმე.³

ერთი შეხედვით, თითქოს ეს მართალია. მაგალითად, ლოპე დე ვეგა ლექსებს თხზავდა ხუთი წლის ასაკში, იმავე ასაკში მოცარტს შეეძლო მენუეტების იმპროვიზაცია. მაშ რაღაც ეს, თუ არა ნიჭის მისტიკური დაგროვება და მისი „აფეთქება“. ხუთი წლის ბავშვს საიდან აქვს ასეთი უნაზი, თუ არ გაუვლია წვრთნა, ხოლო ხუთი წლის ბავშვის ასეთი ფენომენალური გონებრივი გაწვრთნა რაღაც სათქმელია, მით უმეტეს, რომ არც ლოპე დე ვეგა და არც მოცარტი საგანგებოდ აზაფის გაუწვრთნია ამ ასაკში. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ფაქტი მეტყველებს აღამიანის ინტელექტუალური სამყაროს ამოუწურავ შესაძლებლობებზე, თანაც თითო-ოროლა ასე-

3 იბ. კ. დიუპრელი — ლირიკის ფსიქოლოგია, ლაიცვივი, (გერმანულ ენაზე).

თი ფაქტი კანონზომიერებას ვერ ჭმის.

შემოქმედი პიროვნების არა-არაჩვეულებრივობის, განსაკუთრებულობის დასადასტურებლად მიმართავენ დიდ ხელოვანთა ბიოგრაფიას, რომელშიც ხაზი ესმება მათ „თანდაყოლილ ნიჭს“ იმ დაზუში, რომელსაც შემდგომ ის მთელ სიცოცხლეს სწარავს. მაგრამ დიდ შემოქმედთა ბიოგრაფები საკმაოდ გაზვიადებულად გაღმოგვცემენ მათი შემოქმედებითი ცხოვრების ცალკეულ ფაქტებს, მთელი ყურადღება გადატანილი აქვთ შემოქმედის „არაჩვეულებრივ“, „ბუნებრივ მონაცემებზე“, ღვთით ნაწყალობევ ნიჭზე, მათი ქცევის ექსტრავაგანტურობაზე. შემოქმედი ხომ დიდია, ბიოგრაფიაც არაჩვეულებრივი უნდა ჰქონდეს! — ასე მსჯელობენ ისინი. სხვათა შორის, ზოგიერთი ცნობილი შემოქმედიც კი საკმაოდ აზვიადებს თავის მონაცემებს და ბიოგრაფიას. მაგრამ რამდენი ვუნდერკინდი ყოფილა ამქვეყნად, რომელთა ბიოგრაფიები არ დაწერილა და რომლებიც შემდგომში სავსებით „ჩვეულებრივ მოკვდავად“ ქცეულან (თუ კი მასში ნიჭი თანდაყოლილი იყო და უნდა „ეფეტქნა“, იგი მაინც გამოავლენდა თავის თავს, რა პირობებშიც არ უნდა მოხვედრილიყო). რამდენი შემოქმედია ცნობილი ისტორიაში, რომელთაც დასაწყისში თითქოს არც კი ჰქონდათ აზავითარი მონაცემები, შემდეგ კი უცებ გაფუ-

რჩქვნილა მათი ნიჭი. მოლიერი ოცდაათ წელზე მეტისა იყო, როცა ცა გამოამუდავნა დრამატურგის არაჩვეულებრივი ნიჭი, დეფო უკვე ხანში შესული იყო, როცა შეუდგა მხატვრული ნაწარმოებების შექმნას, გლიუკი თავის საუკეთესო ოპერებს და მუსიკალურ პიესებს ქმნიდა 60 წლის ასაკში, უანუკ რუსო ნამდვილ ფილოსოფოსად და მწერლად იქცა 40 წლის ასაკში. ზოგიერთი შემოქმედის ნიჭი კი ძალიან აღრე ყალიბდება და იფურჩქნება (ბაირონი, ლერმონტოვი, ბარათაშვილი). მა იამ ეს მექვიდრეობითი ნიჭის მეტნაკლებობაზე როდი მეტყველებს, არამედ დაკავშირებულია როგორც პიროვნების ინდივიდუალურ ფსიქიურ მონაცემებზე, ისევე, ცხოვრებისეულ მოვლენათა მთელ კომპლექსზე, რომელიც განაპირობებს პიროვნების ფსიქიურ მონაცემებზე დაყრდნობით ნიჭის აღრულ თუ დაგვიანებულ ჩამოყალიბება-გამოკვეთას, გაშლა-განვითარებას.

რა თქმა უნდა, მექვიდრეობა ზოგიერთი ბიოლოგიური, განსაკუთრებით ფსიქიური მონაცემების თვალსაზრისით გარკვეულ, თუმცა არაგადამწყვეტ, როლს თამაშობს შემოქმედი პიროვნების ჩამოყალიბებაში. გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ოჯახურ წრეს, ოჯახურ ატმოსფეროს იმ თვალსაზრისით, რომ ასეთ პირობებში მყოფ ბავშვში, თუ მას ამის მონაცემები აქვს, აღრევე გამოიყოფა განსაკუთრებული მიღ-

რეკოლება სხვა მიღრუკილებათა
შორის, რომლებიც ამ პიროვნე-
ბაში თავისებური სინკრეტული
სახითაა მოცემული. ადამიანს თა-
ნაბარი სახით არ შეუძლია განა-
ვითაროს ესა თუ ის მხარე თავი-
სი უნარისა, მით უმეტეს, თანამე-
დროვე პირობებში, როცა ხელო-
ვნება და მეცნიერება საკმაოდ
რთული სახითაა წარმოდგენილი.⁴
მართლაც, არიან ბავშვები შთა-
ბეჭდილების, მგრძნობიარობის,
ყურადღების, გაჩერების მოვლენებ-
ზე სწრაფი და ზუსტი რეაქციის
უნარით და სხვა ფსიქიური მონა-
ცემებით დაჯილდოებულნი. სწო-
რედ ასეთ მონაცემთა ურთობლი-
ობაა ნიჭი და არ უნდა ვეძებოთ
კონკრეტულად პოეტისა თუ მუ-
სიკოსის რალაც მისტიკური „გე-
ნები“, რასაც, აბსურდამდე მივ-
ყავართ. ამ ფსიქიურ „სინკრეტი-
ზმში“ სწორედ ისეთი უნარის გა-
მოკეთა-გამოვლენა, რომელიც
უძლებ გატაცებაში ან პროფესი-

4 მაგალითად, ალორძინების ეპოქის
წარმომადგენლთა ცოდნის უნიკერსა-
ლობის მიუხედავად, ისინი მხოლოდ
ერთ დარგში იყვნენ სრულყოფილი, ასე-
ვე, მონტესკიი და გოოო გატაცებული
იყვნენ ბუნებისმეტყველებითაც, მაგრამ
არ გაუვლიათ ამ მეცნიერებაში რაიმე
გარევაული კვალი, როცა ფილოსოფია-
ში და მხატვრულ ლიტერატურაში დი-
დი, იდგილი უჭირავთ. განსაკუთრებით
ილანიშნავია, რომ ბევრი მწერალი მხა-
ტვრობდა (პუშკინი, ლერმონტოვი, თე-
ვერეი და სხვ.), ბევრი მხატვრი კი მწე-
რლობდა, მაგრამ თანაბარი ძალით არა-
გისთვის არ არის წარმოდგენილი ეს ორი

ონალიზმში გადაღის, მისი გამო-
ყიფა, თავის დროზე მისი შემჩ-
ნევა და ამ უნარის გაღვიუძრება
გაძლიერება სხვა უნართა „მიძი-
ნების“ ფრანზე სავსებით სასურ-
ველ შედეგს იღებს. სწორედ ასე
ხდება ზოგიერთ, ხაზს ვუსვამთ,
ზოგიერთ ხელოვანთა ოჯახში, სა-
დაც თუ ბავშვს აქვს გარკვეული
მონაცემები, საჭირო უნარი, მიღ-
რეკილება, მალე გამოიკვეთება
და შემდეგ კი წრთობა-დაბოსტა-
ტება, ცხოვრების გამოცდილება
და ცხოვტებისეულ მოვლენათა
მთელი კომპლექსი ხელს უწყობს
ამ „ნიჭის“ თუ „ტალანტის“ ჩა-
მოყალიბებასა და გაშლა-განვი-
თარებას. თანაც მხედველობაში
უნდა მივიღოთ, რომ ასეთ შემო-
ქმედთა დინასტიიდან მხოლოდ
ერთია ნამდვილი ხელოვანი, გე-
ნიოსი. ბახების ოჯახიდან ეს არის
იოპან სებასტიან ბახი, ტიციანის
ოჯახიდან—თვით ტიციანი. თანაც
სწორედ მუსიკასა და ფურტერა-
ში საქმე გვაქვს პროფესიონალი-
ზმთან, რომელიც ოჯახის, ხანდა-
ხან კი მთელი გვარის არსებობის
მთავარ წყაროს წარმოადგენს,
რაც, რა თქმა უნდა, თავის მხრივ
დიდი სტიმულის მომცემია. ასეთ
შემთხვევაში მთელ ფსიქიურ და
ინტელექტუალურ ძალებს სწო-
რედ სათანადო მიღრეკილების
გაღვივება-განვითარებისაქენ მი-
მართავინ. ამისათვის ბუნებრივი
მონაცემებით დაჯილდოებული
მომავალი მუსიკოსები და მხატვ-
რები, რაც, რა თქმა უნდა, ყოვე-
ლოვის როდი იღებს შედეგს, თუ

შეთ ამისი ობიექტური პირობებია არ შეექმნათ. ეს განსაკუთრებით ითქმის მუსიკოსების ოჯახებზე, თუნდაც დავასახელოთ ბახების ოჯახი, მოცარტის, ბერთოვენის, შტაუფების ოჯახები, დავით და იგორ ოისტრახების, ბალანჩივაძეებისა და იაშვილების ოჯახები. ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვია მწერლობაზე, საღაც ასეთ „დინასტიურობას“ არა აქვს ადგილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხელო ნათესაობით კავშირს: მამა-შვილისა და ძმების მაგალითებს, როგორიცაა მამა-შვილები ბერნარდო ტასო და ტორკვატო ტასო, მამა-დიუმა და შვილი-დიუმა, დავით კლდიაშვილი და სერგო კლდიაშვილი, ძმები ანდრე შენიე და მარი უოზეფ შენიე, ძმები გონკურები და ზოგიერთი სხვა. (სიტყვა „ზოგიერთი“ უკვე თავისთავად გამორიცხავს კანონზონიერებას).

როგორც სამართლიანად აღნიშნავს შემოქმედების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი სერიოზული და თვალსაჩინო მკვლევარი ბულგარელი მ. არნაუდოვი, „გენიოსობა როგორც უდაცოდ დამტკიცებული ფსიქიური ერთეული, მემკვიდრეობით არ გადაიცემა, და გენიალური ოჯახები არსად არ აჩას ცნობილი“.⁵

ყოველივე ამას თავი რომ დავანებოთ, ხელოვანთა, შემოქმედ-

⁵ გ. არნაუდოვი — ლიტერატურული შემოქმედების ფსიქოლოგია, მოსკოვი, 1970, გვ. 29 (რუსულ ენაზე).

თა უმრავლესობა მაინც ხალხის წილიდანაა გამოსული, ყოველ შემთხვევაში არაა „შემოქმედი არისტოკრატიის“ წრიდან, რამდენადაც ყველაზე დიდი ოჯახი, ყველაზე ხელსაყრელი ატმოსფერო ეს არის ხალხი და მისი სიბრძნე, ყველაზე დიდი ოსტატი და გამომწრობობი კი ბუნებაა. ხელოვნების ისტორიის დილეტანტური ცოდნაც კი საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ ხელოვნების ჭეშმაიტი შემქმნელი ყველა საუკუნეში ხალხი იყო, ხოლო ე. წ. „შემოქმედი არისტოკრატია“ კამოლოდ მისი გამფორმებელი. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკასა და პოლიტიკაში გაბატონებულ კლასებს ხელოვნებაშიც გაბატონებული ადგილის დაჭერა სურთ. მატომაც ებლაუჭებიან „მხატვრული ელიტის“ ანტიდემოქარიულ, რეაქციულ მოძღვრებას. „მხატვრულ ელიტას“ დღემდე ვერ მოუნელებია, რომ უბრალო ადამიანმა, „უბრალო“ მსახიობმა და რეჟისორმა შექსპირმა შეძლო უექმნა გენიალური ნაწარმოები და თავგამოდებით ამტკიცებს, რომ შექსპირის პიესები შექსპირს არ ეკუთვნის, რომ ამ „შენიჭო“ პლებეის უკან ვიღაც ელიტას წარმომადგენელი დგას, რა თქმა უნდა, განათლებული თავადი, როგორიცაა ფრენსის ბეკონი, გრაფი დერბი და სხვა. ეს იმპრომ, რომ „შემოქმედებითი არისტოკრატიის“ თეოზიის წარმომადგენლებს ხალხი უნიჭო ბრძოლი მიაჩნდა.

სწორედ ხალხის წიაღიდან გა-
მოიდან ჰქებული გენიოსები,
ხელოვანნი. სწორედ ისინი, ვინც
ხალხთან იყო დაკავშირებული,
ვინც კარგად იცნობდა ცხოვრე-
ბას, ვინც გმოხატავდა ხალხის
ინტერესებს, ჰქონდა ეპოქის პრო-
გრესული იდეების მაღალმხატვ-
რულ ფორმაში ჩამის უნარი და
ხალხის ინტერესების პოზიციი-
დან ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოე-
ბებს, სწორედ ისინი მოევლინენ
კაცობრიობას გენიოსებად, რად-
განაც ხალხისათვის ქმნიდნენ თა-
ვიანთ შედევრებს, ხალხისათვის,
რომელიც უკვდავია და ასევე უკ-
ვდავია ნდის თავის სულიერ მე-
საიდუმლე გენიოსებს.

ეს კარგად ესმოდათ გაბატონე-
ბული კლასების წრიდან გამო-
სულ შემოქმედთ, რომელიც კა-
ვშირს წყვეტდნენ თავიანთ წრე-
სთან და მუდამ გამოლიოონებს ხა-
ლხის, ისტორიის პროგრესული
ძალების ინტერესების გამოხატ-
ვის პოზიციებიდან. დიდი რუსი
მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი თავის
ფილოსოფიურ - პუბლიცისტურ
ნაწარმოებში „აღსარება“ წერდა:

„მე უარყვავი ჩემი წრის ცხო-
ვრება, ვალიარე რა, რომ ეს არ
არის ცხოვრება, არამედ მხოლოდ
ცხოვრებასთან მიმსგავსებაა, რომ
მოჭარების პირობები, რომლებ-
შიც ჩვენ ვცხოვროთ, გვართ-
მევს საშუალებას გვესმოდეს
ცხოვრება, და იმისათვის, რომ
გავიგო ცხოვრება, უნდა მესმო-
დეს არა გამონაკლისთა ცხოვრე-
ბა, არა ჩვენი — ცხოვრების პა-

რაზიტებისა, არამედ უბრალო
მშრომელი ხალხისა, რომელიც
ქმნის ცხოვრებას და იმ აზრს,
რომელსაც იგი მას აძლევს“.⁶

ხელოვანის, შემოქმედის ფსი-
ქიური მონაცემები არ წარმოად-
გენს ნორმისაგან ზაიმე გადახრას.
არანორმალურ, პათოლოგიურ
მოვლენას, როგორც ეს ნიცშეს
მიაჩნდა, არამედ ეს არის ნორ-
მალური მოვლენათა შორის ყვე-
ლაზე ნორმალური. ე. ი. ხელო-
ვანის, შემოქმედის გზა იწყება
სავსებით ადამიანური თვისებე-
ბით თუ მონაცემებით, რომელ-
ბიც შესაბამისი გარემოს ზეგავ-
ლენით შემდეგ იღებენ უფრო გა-
ძლიერებულ, უფრო კონდენსი-
რებულ და კონცენტრირებულ ხა-
სიათს, მიმართულ რომელიმე
ერთი ძირითადი მიზნისაკენ, —
და ეს მიზანდასახულება, მიზან-
სწრაფვა განაპირობებს ტალან-
ტის ძალას.

ხელოვნება, ლიტერატურა რო-
გორც მხატვრული აზროვნების
სპეციფიკური სფერო, განპირო-
ბებულია გარკვეული სოცია-
ლურ - ისტორიული პირობებით.
არის ისტორიაში პერიოდები,
როცა ხელოვნება დიდი აღ-
მავლობის გზაზე დგას. უცებ
იფეოქებს, გაიფურჩქნება, ან
დაკნინების გზას ადგება. მაშა-
სალამე, ხელოვნების აყვავებას,
შესაბამისად გენიოსი შემოქმედი

6 ლ. ნ. ტოლსტოი, თხზულებათა
სრული კრებული, საიუბილეო გამოცემა,
ტ. 2, გვ. 47 (რუსულ ენაზე).

პიროვნების წარმოშობას განაპირობებს გარკვეული ისტორიული, სოციალური პირობები და არა პირიქით: როცა გენიოსები იბადებიან, ხელოვნება მაშინ აყვავდება. ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა, რომელთა აყვავება თუ დაკინება განპირობებულია ეპოქის თავისებურებებით, კონკრეტული დროის, კონკრეტული ეპოქის მიღმა არსებული რაიმე ესთეტიკური კატეგორია როდია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების მატერიალური საფუძვლის განვითარება განსაზღვრავს ხელოვნების ავ-კარგიანობას, ე. ი. რაც უფრო მაღალია ეკონომიური ბაზისი, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ხელოვნების განვითარების დონე.

საქმე საზოგადოების მატერიალური დოკუმენტის სიუხვეში კი არის, არამედ იმაში, თუ რამდენად აქტუალური პოლიტიკური და სოციალური პრობლემებია დაყენებული საზოგადოების წინაშე, თუ რამდენად მომზიდებულია საზოგადოებრივი აზრი და რა დონე გააჩნია შესაბამისი ეპოქის ესთეტიკურ აზროვნებას, თუ რამდენად გარანტირებულია ან შესაძლებელია აზრის თავისუფალი გამოხატვა, და ბოლოს რამდენად მაქსიმალურად, მკვეთრად და გარკვეულად შეუძლია შემოქმედ პიროვნებას თავისი მონაცემების საფუძველზე მხატვრულ სახეებში ჩამოასხას თავისი დროის იდეალები, რამდენად მაქსიმალურად შეუძლია შეესა-

ბამებოდეს მისი შემოქმედება ისტორიის პროგრესულ ძალებს თუ პროგრესულ ტენდენციებს. ეს მაქსიმალური ან მინიმალური დაახლოება თუ დაშორება განსაზღვრავს შემოქმედი პიროვნების სიღიადის მეტ-ნაკლებობას.

ხელოვნებას „ჩეალურ სინამდვილეზე დაყრდნობით თავისი ესთეტიკური სინამდვილე აქვს, ხოლო ამ სინამდვილეს შემოქმედი პიროვნება ქმნის. შესაბამისი ეპოქის განმსაზღვრელი ჩოლის აღიარება იმას როდი ნიშნავს, რომ ესთეტიკური სინამდვილის შემქმნელი პიროვნება პასიურია, რომ იგი უბრალოდ ასრულებს ეპოქის „დაკვეთას“, რომ იგი უბრალოდ ეპოქის რუპორია, ან მაგნიტოფონის ფირია, რომელზეც ეპოქა „წერს“ თავის „ავტობიოგრაფიას“. ასეთ შემთხვევაში ყველა ადამიანს შეუძლია გახდეს ხელოვანი. მაშასადამე, ეპოქის განმსაზღვრელ როლთან ერთად ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედი პიროვნების მონაცემებს, ტალანტს, თუმცა კვლავ დავსძენთ, რომ ტალანტი არ არის რაღაც მისტიკური, ამოუცნობი, მემკვიდრეობით, „თანდაყოლილი ნიჭი“ (ingemissi), რაღაც ჭურჭელში ჩადებული მაღლი, ზებუნებრივი, არაჩვეულებრივი მოვლენა.

სოციოლოგი - პოზიტივისტები იოგიუსტ კონტი, იპოლიტე ტენი და სხვ. მართალი როდი იყვნენ, როცა მინიმუმამდე დაპყავდათ პიროვნების როლი. რა თქმა უნდა, შემოქმედ პიროვნებას, რო-

მელსაც სინამდვილის ხედვის განსაკუთრებული უნარი აქვს, ბუნებრივი მონაცემიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ შემოქმედ პიროვნებას სჭირდება მრავალმხრივი და სპეციფიური უხარი: მხატვაოს თავისი მონაცემები უნდა ჰქონდეს, მუსიკოსს თავისი, მოქანდაკეს თავისი და ა. შ. განსაკუთრებით მრავალმხრივი უნდა იყოს მწერლის, პოეტის უნარი მხატვრულ სახეებში სინამდვილის აღქმისა. სინამდვილის მხატვრულ სახეებში ხედვის უნარი ყოველ ადამიანს აქვს, მაგრამ მეტ-ნაკლებად განვითარებული. ბალზაკი თავის „გობსეკში“ ამბობს, „განა მხოლოდ ისაა პოეტი, ვინც წერსო“. მაგრამ ყველას როდი აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარის, თავისი განახობების, შთაბეჭდილებების, დაკვირვებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მხატვრულ ფორმაში ჩასმის, მისი ემოციური გამოხატვის უნარი. ფსიქიური და ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით ყოველი შემოქმედი ცალკე განუმღობელებელ სამყაროს წარმოადგენს, და ამ განუმღობებლობას ქმნის სწორედ ის მონაცემები, რომლებიც დაბადებიდან თან დაყვება ადამიანს, და ის მიღრეკილებები, რომლებიც ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთებიან, „გამოიზრდებიან“, ყალიბდებიან შემოქმედი პიროვნების შეგნებული ცხოვრების აღრეულ პერიოდში და რომლებიც გარდევული ხელშემწყობი ობიექტური პირობე-

ბის დარის უმუშავებენ პიროვნებას შემოქმედების უნარს. ეს კვლები იმ უცილობელ ფაქტს, რომ ერთსა და იმავე ეპოქაში, ერთსა და იმავე სოციალური წრიდან გამოსული მწერლები საცხებით არ ჰგვანან ერთმანეთს და განუმღობელებელ მოვლენას წარმოადგენენ. ძმებიც კი — ანდრე შენიე და მარი უოზეფ შენიე რაოდენ განსხვავებული იყვნენ ერთმანეთისაგან.

მაში რა მონაცემებია აუცილებელი შემოქმედი პიროვნებისათვის, რომელთა ერთობლიობა ქმნის ნიჭის, ტალანტს. უპირველეს ყოვლისა მას სჭირდება მძაფრად გამოხატული ემოციურობა, რომლის გარეშე მხატვრული ნაწარმოების შექმნა შეუძლებელია. შემოქმედ პიროვნებას უნდა ჰქონდეს დაკვირვების, ცხოვრებიდან ძირითადის, კანონზომიერის გამოყოფის უნარი, უნდა ჰქონდეს მახვილი თვალი, საგნის აღქმის მახვილი გრძნობა, სინამდვილუში ღრმად შეჭრის უნარი, და რაც მთავარია და რითაც სწორედ იწყება თვით შემოქმედების პროცესი, ესაა მხატვრული წარმოსახვის, შემოქმედებით პროცესში ფანტაზიის ჩართვის უნარი.

შთაგონება-აღმაფრენაც, რომელიც ფსიქიურ-ინტელექტუალური ძალების ყველაზე ინტენსიურ და კონცენტრირებულ გამოვლინებას წარმოადგენს, შემოქმედი პიროვნებისათვის აუცილებელი პოსტულატია. ჯერ კიდევ დე-

მოქრიტე აღნიშნავდა, რომ ადა-
მიათმა ბუნებისაგან ისწავლა შე-
მოქმედება, რომ შემოქმედებით
პირულს მი განსაკუთრებული რო-
ლი ენიჭება შთაგონებას, და ბუ-
ნებრივი ნიჭი, „ღვთაებრივი ცე-
ცხლი“, შთაგონება მიაჩნდა მხატ-
ვრული შემოქმედების აუცილე-
ბელ ფაქტორად.

მაგრამ, რაც არ უნდა ძლიერი
იყოს შემოქმედის მონაცემები,
ნიჭი, ტალანტი, ისინი თავისთა-
ვად არაფერს ნიშნავს, თუ შემო-
ქმედმა აზ გამოიძუშვა მათი გან-
ხორციელების, მათი ხორცშესხ-
მის მხატვრულ - ამსახველობითი
ხერხები, თუ შემოქმედი არ იწ-
ყებს გაწვრთნას, მხატვრული ოს-
ტატობის პრაქტიკულად დაუფ-
ლებას. მაგრამ ამისათვის საჭიროა
სკოლა-გაწმინდაც, ცხოვრების
გამოცდილებაც, სხვა ოსტატებ-
თან ურთიერთობაც, კლასიკური
მემკვიდრეობის შესწავლაც. არა-
ვისთვის არ უშველია რაღაც გან-
საკუთრებულ „არტისტიზმის“,
„ღვთის წყალობას“. ხელოვნება
დილენტანტიზმს ვერ ითმენს და
მხატვრული ოსტატობის დაუფ-
ლება ისევე აუცილებელია, რო-
გორც შემოქმედის ნიჭი, თუმცა
მხატვრული ოსტატობის მხოლ-
ოდ მხატვრულ-გამომსახველობით
ტექნიკამდე დაყვანა გაუმართლე-
ბელია, რასაც ფორმალიზმამდე
მივყავართ.

შინაარსდაცლილი ნაწარმოე-
ბი, რაც არ უნდა მაღალი ტექნი-
კა ჰქონდეს მას, უღლეური, ანტი-
მხატვრულია, და როდი „იღუპე-

ბა“ ყოველი ხელოვნება, რომე-
ლიც ფილოსოფოსობს,⁷ ოთ-
გორც ამას ამტკიცებს, „გრძნო-
ბით ჩაწვდომის“ ესთეტიკის ფუ-
ძემდებელი ტ. ლიპსი. პირიქით,
გამართული მოწინავე მსოფლმხე-
დველობა, მოქალაქეობრივი პო-
ზიცია, მაღალმხატვრული ნაწარ-
მოების შექმნის ერთ-ერთი სა-
წინდარია, და ყველა დიდი მწე-
რალი, რომელი ეპოქისაც არ უნ-
და იყოს იგი, მუდამ გამოხატავდა
და გამოხატავს საზოგადოების
პროგრესული ძალების ინტერე-
სებს, იდეებსა და იდეალებს, რა-
მდენადაც ხელოვნება ბუნების
უბრალო ასლი, უბრალო მიმბად-
ველობა როდია, არამედ მას აინ-
ტერესებს სწორედ კანონზომიე-
რებანი, იდეები, იდეალები. კან-
ტიც კი თავის „ანთროპოლოგია-
ში“, ფრთხილად უახლოვდებოდა
რა მატერიალისტური შეხედულე-
ბებს შემოქმედი გენიოსის შესა-
ხებ, აღნიშნავდა:

„ბუნების მხატვარი ფუნქით ან
კალმით ხელში (უკანასკნელი,
შეიძლება, პროზით ან ლექსით
იყოს წარმოდგენილი) არ არსეს
შვენიერი სული, რაღანაც, იყო
მხოლოდ ბაძეებს; მხოლოდ და
მხოლოდ იდეების მხატვარია
შვენიერი ხელოვნების ოსტა-
ტი“.⁸

⁷ იბ. პ. ნოლი, მსოფლმხედველობა
ფერწერაში, იენა, დადერხი, 1908, გვ.
11, (გერმანულ ენაზე).

⁸ კანტის ჩხეული ნაწერები, ტ. II,
ბერლინი, რამზერი, 1914, გვ. 248. (გერ-
მანულ ენაზე).

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედი პიროვნების მსოფლმხედველობას, რომელიც აუცილებლად ჰუმანიზმის იღებით უნდა სულდგმულობდეს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თვით შემოქმედი პიროვნების ზნეობრივ ქცევას, მის მოქალაქეობრივ ხასიათს. ჯერ კიდევ დიდრო აღნიშნავდა, რომ შემოქმედი, რომელსაც თვითონ ვერ ჩამოყალიბდებია თავისი თავი საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, ვერ ივარგებს მრჩევლად, ჰქუის დამრიგებლად.⁹

გაშასადამე, ტალანტი საჭიროა, ეს აუცილებელი ფაქტია, მაგრამ აზე უნდა დაგვაიწყდეს, რომ ნიჭიერი ადამიანი მილიონობითაა, ხოლო დიდი შემოქმედი თითზე ჩამოსათვლელია. ამისი საიდუმლო შრომაში უნდა ვეძიოთ, შრომა, შრომა და შრომა, შეუბოვრობა, დასახული მიზნისაკენ შეუძრეკელი სწრაფვა, აი რას შეუძლია მოგვიერ დიდი ხელოვანი. „შეუპოვრობა — აი მწერლის ოსტატობის საიდუმლო“, — ამბობდა ჯეკ ლონდონი.

შემოქმედის, ახალი მხატვრული სინამდვილის შემქმნელის შრომა მეტად რთული, მძიმე, ჩვეულებრივი აღამიანისათვის აუტანელი შრომაა. ჯერ ერთი, როგორ იწვის შემოქმედი თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში, რამდენჯერ გადაწერს ხოლმე თი-

თქოსდა დამთავრებულ ხაწარმოებს. შრომა, შრომა და გაწვრთვა — შრომა სიკვდილამდე — ასე დაუსრულებელია შემოქმედი ის შრომა.

ხელოვანის შრომა ყველაზე მძიმე, ამოუწურავი და კეთილშობილურია. ხელოვანი იზრდება ყოველდღე, და ათი სიცოცხლეც რომ ჰქონდეს მაინც ვერ დამშვადდება, მაინც ვერ გაძლება ნამდვილი შემოქმედის გაუმაძლარიგული. როცა საბჭოთა კავშირში საგასტროლოდ ჩამოსულ ცნობილ ამერიკელ პიანისტ-შემსრულებელს ვან კლიბერნს ჰკითხეს. უპირველეს ყოვლისა რისი ნახვა გსურსო, მყისვე უპასუხა: „როიალისა, დიახ როიალისა. კონცერტების წინ ხომ ბევრი ვარჩიშია საჭირო“.

მაგრამ რა აიძულებს ხელოვანს იშრომოს ასე დაუდალავად, თავის დაუზოგავად. რა თქმა უნდა, არა მატერიალური მხარე, თუმცა ამასაც გაჩქვეული როლა ენიჭება, და არა დიდებისაკენ, სახელისაკენ ლტოლვა, რაც ჭეშმარიტ ხელოვანს არ ახასიათებს; ესაა ის დიდი სიხარული, რომელიც მოყვება დამთავრებულ ნაწარმოებს, როცა ხელოვანი საკუთარი თვალით იხილავს თავისი შემოქმედების ნაყოფს. ისე როგორც დედა-მშობელი დიდი ტკივილებისა და სულიერი დაძაბვის შემდეგ ვეღარ გრძნობს გადატანილ ტანჯვას, დაღლას, როცა იგი ახალშობილს, თავის პირმშობ ხე-

9 იბ. დ. დიდრო — თხზულებათა კრებული, ტ. 6, გვ. 255 (რუსულ ენაზე).

დავს, ასევე ხელოვანი დიდ კტა-
ყუფილებას გრძნობს, როცა გა-
ნიტივორთება მის ინტელექტური
„დამუხტული“ გრძნობების, შთა-
ბეჭდილებების, ცოდნის დაგრო-
ვებული მარაგი, როცა რწმუნდე-
ბა, რომ თავისი ნაწარმოებით სი-
ხარული მოუტანა ადამიანებს, გა-
უღო ფართო კარები ხელოვნების
მრავალფეროვან და მეტად მიმ-
ზიდველ სამყაროში.

შემოქმედი პიროვნების ჩამო-
ყალიბებაში გარკვეული მნიშვ-
ნელობა ენიჭება აგრეთვე კლასი-
კური მემკვიდრეობის შესწავლას,
და ხელოვნების ისტორიას არ ახ-
სოვს დიდი ხელოვანი, რომელ-
საც არ ჰყავდეს წინამორბედი, თა-
ვისი „მასწავლებელი“, თუნდაც
უცნობი. ვინ იცის „იმდენმა აედ-
მა მოუმზადა პომეროსს სასტარ-
ტო მოედანი პოეზიის ისეთი აღ-
მაფრენისათვის, როგორიცაა მისი
„ილიადა“ და „ოდისეია“, ვინ
იცის, რამდენი მოქანდაკის ოფ-
ლი დაღვჩილა იმისათვის, რომ
ქვეყნიერებას მოვლენოდა ფიდი-
ასი, მიქელანჯელო და როდენი,
რამდენი უშრომიათ უსახელო თუ
ცნობილ კომპოზიტორებს, რომ
მუსიკალურ ჰანგთა დიდებული
ჰარმონია შერწყმულიყო სწორუ-
პოვარი კომპოზიტორის ბეთოვე-
ნის მუსიკაში. ეს ხომ შემოქმედი
კაცობრიობის მრავალსაუკუნო-
ვანი შეიმუშავა რომელსაც
უნდა დაეზიაროს დიდი ხელოვა-
ნი, შრომისა, რომლის ფურხულ-
შიც უნდა ჩაებას იგი, თუ სურს
შექმნას მნიშვნელოვანი ნაწარ-

მოები. ასეთ შემთხვევაში ხელო-
ვანი გამოდის როგორც ზოგადად
კაცობრიობის, კერძოდ კი ნაციო-
ნალური კულტურის განვითარე-
ბის ესტატურის მიმღებად, რათა
იგი გადასცეს შემდგომ თაობას.

შემოქმედი პიროვნების ესთე-
ტიკურ აღზრდას, შემოქმედები-
თი პროცესისათვის მომზადებას,
რაც ძირითადად კლაკისური მემ-
ტებიდრეობის შესწავლით ხდება,
დიდი მნიშვნელობა აქვს და, რა
თქმა უნდა, ცდებიან ისინი, ვინც
ამტკიცებს, თითქოს თეორია აჩ-
ლუნგებს ტალანტს, ხელს უშლის
შემოქმედებას. ასეთ შემთხვევაში
ხელოვნების ნაწარმოები შთა-
გონების პროდუქტად მიაჩინათ,
შთაგონებისა, რომლის დროსაც
თეორიული ანალიზი თითქოს
ხელს უშლის მხატვრულ აზროვ-
ნებას. მაგრამ ჯერ კიდევ პორა-
ციუსი თავის „წერილში“ პიზო-
ნებისადმი“ მოითხოვდა პოეტე-
ბისაგან ტექნიკურ გაწვრთნას, და-
სტატებას, ისეთი მასალის შერ-
ჩევის უნარს, რომლის დაძლევას
შეძლებს ესა თუ ის პოეტი, რჩე-
ვას იძლეოდა მხატვრული ოსტა-
ტობა ესწავლათ პომეროსისაგან,
არქილოქესაგან.¹⁰

მაინც მარტო ესთეტიკური თე-
ორიის დაუფლება, ტექნიკური
გაწვრთნა ვერ შველის შემოქმედ
პიროვნებას, თუ მას არ გააჩნია
ნიჭი, დიდი ტალანტი, რომლის
საშუალებითაც ხდება რეალური

10 ესთეტიკის ისტორია, 1962 წ.,
ტ. I, გვ. 196 (რუსულ ენაით).

სინამდვილის ხელოვნების სინამ-
დვილუდ ქცევა. მაგრამ ერთი რამ
უნდა გვახსოვდეს, რომ „სწორ
თეორიას, თუ მას ღრმად დავეუ-
ფლებით და გავხდით მოქმედების
სახელმძღვანელოდ, შეუძლია მი-
სცეს ხელოვანის ტალანტს სწო-
რი მიმართულება“.¹¹

თანამედროვე გამწვავებული
იდეოლოგიური შერკინების პი-
რობებში განსაკუთრებული ყუ-
რადღება უნდა დაეთმოს შემოქ-
მედების აქტის იდეალისტური გა-
გების წინააღმდეგ ბრძოლას, რამ-
დენადაც იდეალისტურ თეორიებს
საცხებით ობიექტური კანონზომი-
ერებანი გადააქვთ მისტიკის, ირა-
კიონალურის სფეროში და ამდე-
ნად ცდილობენ დაამტკიცონ ად-
ამიანის გონების უძლურება, ნი-
ჭის, ტალანტის მემკვიდრეობის
აღიარებით დაყონ საზოგადოება
შემოქმედ არისტოკრატიად და
ბრძოლ, აბუჩად აიგდონ ხალხის

გადამწყვეტი როლი კულტურულ-
ფასულობათა შექმნაში აღიტოვ-
მაც ამ ბოლო დროს საბჭოთა ლი-
ტერატურულთამცოდნებაში მხატ-
ვრული შემოქმედების, კურძოდ
კი შემოქმედების ფსიქოლოგიის
პრობლემების დამუშავებამ საკავ-
შირო მასშტაბით მეტად ორგანი-
ზებული ხასიათი მიიღო. სსრ კავ-
შირის მეცნიერებათა აკადემიაში
შეიქმნა შემოქმედების ფსიქო-
ლოგიის კომისია, ზომელსაც ექვემ-
დებარება შესაბამისი რესპუბლი-
კური საკორდინაციო საბჭოები,
მათ შორის საქართველოდანაც.
დღეს ამ მეტად აქტუალური სა-
კითხების შესწავლაში გარკვეუ-
ლი წვლილი შეაქვთ ქართველ მე-
ცნიერებს, ზოგორც ცალკეული
სტატიების, შრომების, ისევე იმ
სამეცნიერო სესიების სახით, რო-
მლებიც საქართველოს მეცნიერე-
ბათა აკადემიის ბაზაზე რეგულა-
რულად იმართება თბილისში.

11 მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის

საფუძლები, 1960 წ., გვ. 16 (რუსულ
ენაზე).

გ ე ლ ლ ი წ ე ნ ი კ ა

დაწი შაგაშიძე

ერთი პერსონალური გამოფენის დარღაზი დაზიდან

დღეს თითქმის ყველა ოჯახი ფართოდ იყენებს ფაიფურის ნაწარმს, დეკორაციული დანიშნულების საგნებს, რომლებიც გემოვნებით შერჩეულ დგამ-ავეჯთან ერთად ხელს უწყობს ოჯახში სიხალისის, სიმშვიდის, სიმყუდროვის, აუცილებელი ესთეტიკური გარემოს დამკვიდრებას.

წარსულში ამგვარ ნივთებს აკეთებდნენ ხალხური შემოქმედნი, მაგრამ შემდეგში ასეთი კატეგორიის ნაწარმი პროფესიული ხელოვნების სფეროს მიეკუთვნა და საშუალო და უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში სპეციალური გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებები ჩამოყალიბდა. ასეთი სპეციალობის მხატვრები—კერძოისები, ჭედურობისა და ქსოვილის მოხატულობის ოსტატები ბათუმშიც მოღვაწეობენ და ისინი თავიანთი ხელოვნების ნამუშებით ყოველთვის ამშვენებენ სამხატვრო გამოფენებს.

გამოყენებითი ხელოვნების სფე-

როში მოღვაწეობს ოლღა ჩაჩუა-სელეზნიოვაც, რომლის პერსონალურმა გამოფენამ მნახველთა დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია. ამ ერთი თვის წინათ ბათუმის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილმა მხატვრის ორას-ზე მეტმა ნამუშევარმა ნათელი შუქი მოჰყონა მის მიერ განვლილ შემოქმედებით გზას.

დამთვალიერებელთა უმრავლესობა სიხატულთან ერთად ერთგვარ გაკვირვებასაც გამოხატავდა, რადგან ეს მხატვარი წინათ ჩვენს ქალაქში მოწყობილი გამოფენების ხშირი მონაწილე არ იყო, თუმცა მისი ხელოვნების უპრეტენზიო, მოკრძალებული თითო-ოროლა ნიმუში მნახველის უურადღებას უთუოდ იქცევდა. ყველა ვგრძნობდით, რომ მისი სახით საქმე გვაქვს თავისებური, ნატიფი გემოვნების მხატვართან, ურომლისოდ სამხატვრო გამოფენას „რაღაც“ უთუოდ დააკლდებოდა.

ოლღას მამა, იმერეთ-გურიის

საზღვართან მდებარე მთის სოფლის — ციგწყალას მკვიდრი ალექსი ჩახუა სილარიბეგ აიძულა მახლობელ ქალაქში ეძია ბედი. მისმა გარეგნობამ, სიღარბაისლემ, მაღალზეობამ ძლიერ მოხიბლა ბათუმ-სამტრედის ლიანდაგის სამუშაოებზე მოწვეული, მაღალი სპეციალობის ინჟინერი, წარმოშობით გერმანელი ფრეიმარკი. ალექსი ამ გზაზე მუშაობდა. მან ფრეიმარკის ოჯახში გაიცნო სტუმრად მყოფი ძმისწული ადელაიდა, რომლის სილაპაზითა და ქცევით ძლიერ მოიხიბლა. ეს ლირიკული განწყობილება ოჯახის წევრებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი მაღალ მატრიმანული აქტით დამთავრდა. ალექსიმ თავისი მეუღლე ციგწყალაში წაიყვანა და ოჯახური მეურნეობის მოწყობას შეუდგა. ლიდა (ასე უძახდნენ ახალ რძალს) დაეუფლა ქართულ ენას, არაჩვეულებრივი მუყითობა გამოიჩინა და გვერდში ამოუდგა მეუღლეს. მათი კერა მაღალ მთელს სოფელში სანიმუშო და საჩვენებელ ოჯახიდ იქცა. ოჯახის ბედნიერებას მოასწავებდა პირველი შვილის ლეონიდეს გაჩენა, რომელსაც სამი ძმა და სამი და მოჰყვა, ოლდა ნაბოლარა იყო.

ასეთი მრავალსულიანი ოჯახის ჩენა ღარიბი სოფლის პირბეგში შეუძლებელი შეიქნა და ცოლ-ქმარი იძულებული გახდნენ ბათუმს სწვეოდნენ. ასეთი გადაწყვეტილება იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ მშობლებს უნდოდათ

შვილებისათვის საჭირო გრანატება მიეცათ. ასე განდა ალექსი ჩახუას ოჯახი ბათუმის მკვიდრი. ოლდა 8 წლის იყო (იგი დაიბადა 1902 წელს), როდესაც ქალაქის მარინეს სასწავლებელში ხატვის მასწავლებლის თ. ეგოროვის ყურადღება მიიქცია. სხვა მოწაფეებისაგან განსხვავებით, იგი ხატვის გაცვეთოლზე დაწყებული მოდელის გამოსახვას შინაც განაგრძობდა, საგნის ფორმას, შუქ-ჩრდილებით განათებულ ნაწილებს არაჩვეულებრივი ხაზების შეგრძნებით გაღმოსცემდა. ოლდას ამ მისწრაფებას მშობლები დიდი მოწონებით შეხვდნენ და იგი ვაკთა გიბნაზიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა სამხატვრო წრეში შეიყვანეს. ოლდა აქ ეზიარა ფერწერას. ეს იყო წყლის საღებავებით შეზავებული აკვარელის ბრჭყვიალუფერები, რომლითაც იგი ისე მოიხიბლა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი დაუცხრომელი სიკვარულით ცხოვრობს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ოლდა დაოჯახდა, (მისი მეუღლე ვლ. სელეზნიოვი ხატვითაც იყო დაინტერესებული და, როგორც თვითნასწავლი მხატვარი, ბევრჯერ იყო ბათუმში გამოფენების მონაწილე). ამ გარემოებამ იძულებული გახადა მხატვრობაზე ღრმობით აეღო ხელი. 1937 წლიდან იგი მოსკოვის სამხატვრო სტუდიაში სწავლობს და უმაღლესი სამხატვრო განათლებისათვის ემზადება. სტუდიაში იგი წარჩი-

ნებულ მოსწავლედ ითვლებოდა
და სტუდიელთა გამოყენებზე ყო-
ველთვის წარმატებით სარგებლო-
ბდა, ხოლო საშუალო ზომის ფე-
რწერული ტილო „ი. ბ. სტალინი
ბავშვთა შორის კულტურისა და
დასვენების პარკში“, როგორც
პრემირებული, ლენინგრადის პი-
ონერთა და მოსწავლეთა სასახლემ
შეიძინა.

სტუდიის წარმატებით დამთავ-
რების შემდეგ ოლღა შედის მოს-
კოვის გამოყენებითი და დეკორა-
ტიული ხელოვნების ინსტიტუტში
მხატვრული კერამიკის განყოფი-
ლებაზე, რომელსაც 1948 წელს
ამთავრებს.

მხატვარი ქალის დიდ წარმატე-
ბებს მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ
მისი სადიპლომო ნამუშევარი 1948
წელს წარმოდგენილი იქნა სამხა-
ტვრო მრეწველობის საკავშირო
გამოფენაზე, ხოლო უზრნალმა
„ოგონიოკმა“ მისი ფერადი რე-
პროდუქცია გამოაქვეყნა.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩ-
ნდა ომის წლები ოლღას ცხოვ-
რებაში. წითელ არმიაში გაწვეუ-
ლი ქმარი და შვილი ფრონტზე იბ-
რძოდნენ და მამაცობისათვის მთა-
ვრობის ჯილდოებიც დაიმსახუ-
რეს, მაგრამ 1941 წლის დეკემბე-
რში დედამ გულსაკლავი ცნობა
მიიღო, მისი შვილი არტილერის-
ტი ოლეგი გმირულად დაეცა ბრ-
ძოლის ველზე. ოლღა იძულებუ-
ლი გახდა ღროებით შეეწყვიტა
მეცადინეობა, რომ მოხუცი დედი-
სათვის მოვლა-პატრონობა არ მი-
ეკლო.

უმაღლესი სკოლის დამთავრებაში
ბის შემდეგ ოლღას დაევალა ჭერ
სტავროპოლის მხარეში, ხოლო
შემდეგ მოსკოვის ოლქში მოწყო
კერამიკული სამქონები. 1952
წელს კი რიგის ფაიფურ-ქაშანუ-
რის ქარხანაში მიიწვიეს, რო-
გორც ამ დარგის სპეციალისტი.
ო. ჩახუა-სელეზნიოვამ რიგაში
ათი წელი დაპყო. მის ცხოვრება-
სა და შემოქმედებაში ეს პერიო-
დი ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა,
ამ ქარხნის ლაბორატორიაში შექ-
მნა საყოფაცხოვრებო ჭურჭლის
უმრავი ესკიზი და ნიმუში. მხატ-
ვრის მიერ ფაქიზი გემოვნებით
შესრულებული და მოწონებული
300 ესკიზით ქარხანამ მასობრი-
ვად გამოუშვა ჩაის, სასადილო,
საყავე ფაიფურის სერვიზები. ეს
ნიმუშები გაიგზავნა საზღვარგა-
რეთის 11 ქვეყანაში. მოწონება
დაიმსახურა და შეძენის მსურვე-
ლები აღმოჩნდნენ ლაიპციგსა და
ბრიუსელში (1957), ნიუორქსა და
პოზნანში (1959), დამასკოსა
(1961), აქტში (1962) და სხვ.

ო. ჩახუა ყოველთვის ოცნებობ-
და, მშობლიური ქალაქი ბათუმი-
ყოფილიყო მისი მუდმივი ადგილ-
სამყოფელი. მან ეს ოცნება აის-
რულა, 1962 წელს აქ დასახლდა.
აქედან იწყება მისი, როგორც მხა-
ტვრის, გამოჩენა ბათუმის სამხა-
ტვრო ცხოვრებაში.

მაინც რა არის ფაიფურის ნაკე-
თობაში ის თავისებური, ორიგი-
ნალური, რითაც მხატვარმა ასე
გაითქვა სახელი? ჩვენ ვფიქრობთ,
საჭირო არ არის დიდი დაკვირვე-

ბა, რომ შევინიშნოთ ო. ჩაჩუა-სე-
ლეზნიოვას ესკიზებით დამზადე-
ბული საოჯახო და დეკორატიული
ჭურჭელების ისეთი ნატიფი ნა-
ხატები, რაც უწინარეს ყოვლისა,
საქართველოს ლამაზი ბუნებისა-
თვის არის დამახასიათებელი. ეს
არის ვარდ-ყვავილების კონტურე-
ბი, ვაზის ნაყოფი და მისი ფოთ-
ლები, თევზები, დეკორატიულ
მცენარეთა ყლორტები და სხვა.

ო. ჩაჩუას შემოქმედებაში თვა-
ლსაჩინო ადგილი უჭირავს აგრე-
თვე კულტურულ-საგანმანათლე-
ბლო, სანახაობითი დაწესებულე-
ბებისა და დარბაზების კედლები-
სათვის განკუთვნილ დიდი ზომის
(36 სმ ღიამეტრით) დეკორატიულ
თეფშებს. ამ თეფშებზე ჩვენი კუ-
თხებისათვის დამახასიათებელი პეი-
ზაზური სიუჟეტებია გამოსახული:
ჩაის, ციტრუსებისა და ყურძნის
კრეფა, თამბაქოს აცმა, ზღვის სა-
ნაპირო, ქართული ცეკვის ილე-
თები, ბათუმისათვის უჩვეულო
ზამთრის პეიზაჟი, პალმისა და ცი-
ტრუსების ხეივნები და სხვა. გა-
მოფენაზე სხვადასხვა საოჯახო სე-
რვიზების გვერდით ასეთი თეფ-
შების 25 ნიმუში იყო წარმოდგე-
ნილი.

მხატვარი არც ამით კმაყოფილ-
დება და მონუმენტური დეკორა-
ციის ნიმუშებსაც გვთავაზობს. გა-
მოფენას ამშენებდა ორი საკვა-
ოდ მოზრდილი ფერადი დეკორა-
ტიული ფილებით დამზადებული
პანო, რომელზედაც აჭარის სოფ-
ლის მეურნეობისათვის დამახა-

სიათებელი მოსავლის არაბისტროვა
უჟეტებია წარმოსახული.

ო. ჩაჩუა გამოყენებითი ხელო-
ვნების დარგის ნოლვაწეა, მაგრამ
იგი ყოველი ჭეშმარიტი ხელვა-
ნის მსგავსად დიდ პატივს სცემს
ნახატის ხელოვნებას. მისი სანუქ-
ვარი გატაცების საგანია მშობლი-
ური ბუნება მთელი თავისი მრა-
ვალფეროვნებითა და სიმდიდრით.

ბუნება ყველა მხატვრის შემოქ-
მედებაში პოულობს თავის ად-
გილს. უბეიზაურ ხელოვნება არ
არსებობს. მაგრამ პეიზაჟისაღმი
სიყვარულს მხატვრები თავისებუ-
რად ამუღავნებენ. ზოგი თავისი
ნიჭის გამოვლენის სფეროს მთ-
ლიანად პეიზაჟით განსაზღვრავს,
მთელ თავის შემოქმედებას ბუნე-
ბისაღმი დაუცხრომელ სიყვარუ-
ლზე აფუნქნებს და თავისებურად,
სხვადასხვა მიღვომითა და საშუა-
ლებით ასახავს მას.

პერსონალურ გამოფენაზე ჩვენ
გავეცანით მოცრო და საშუალო
ზომის 150 პეიზაჟურ ნიმუშს, რო-
მლებზედაც უმთავრესად დასავ-
ლეთ საქართველოს ბუნების ხედე-
ბია წარმოსახული. წინასწარ
უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი, უმ-
ნიშვნელო გამონაკლისს გარდა,
ეტიულური ხასიათისაა, ამიტომ
მხატვარს არ უცდია გარკვეული
სიუჟეტები მოეძებნა და სურათო-
ვნების პრინციპებით გადაწყვი-
ტა.

მხატვარი კარგად გრძნობს აკ-
ვარელის ფერის სპეციფიკას, მის
ციმს, ჩრდილებს, ლაქებს, გამჭვი-
რვალებას და ამ გზით ქმნის მიმ-

ზიღველ კოლორიტს, ისეთ ლამაზ გამას, რომ დიღხანს გრიდათ უც-ქიროთ მის ქმნილებებს (ხანდახან იგი დამატებით თეთრასაც იყენებს).

მხატვარი არც პორტრეტის რთულ ჟანრში მუშაობას ერიდება. მან აკვარელით შესრულებული 32 პორტრეტი გამოაფინა, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჟანრში იგი ყოველთვის ვერ აჩენს მაღალ ოსტატობას. გაუცილებით მოსაწონია მისი ახლობლების — ბულლის, შვილის, დების, ნათესავების პორტრეტები, სადაც შინაგანი ხასიათის ცალკეული ნიუანსები, პირისახის ნაკვთები მაღალი გემოვნებით არის გაღმოცემული, დანარჩენი კი პრიმიტიული პოზირების, შემოქმედებითად ნაკლებად გააზრებული მოლელების განსახიერებას წარმოადგენს.

როგორც ითქვა, ოლღა ჩაჩუა-სელეზნიოვას ფერწერული შემოქმედება მთლიანად პეიზაჟის ჟანრით იფარებლება, მაგრამ ამ პეიზაჟში იგი წამყვან თემად ვარდ-ყვავილს მიიჩნევს. მხატვრის ასეთი კონცეფცია ჩვენ საკეთი მოსაწონად და გამართლებულად მიგვაჩნია.

მხატვარი გატაცებულია დასა-

ვლეთ საქართველოს, განსაკუთ-რებით აჭარის ზღვისპირ ზღლის მარადმწვანე პეიზაჟის ფონისათვის დამახასიათებელი ვარდ-ყვავილების ჯიშებით და მის პალიტ-რაზე ისინი არაჩვეულებრივი სიფაქიზის გრძნობით პოულობენ განსახიერებას.

ვარდ-ყვავილის სიყვარულის გრძნობა მხატვრის განუყრელი თვისებაა. მისი მთელი შემოქმედება ფერებში გაღმოცემული ლირიკული სიმღერების სიმფონიაა. ამ განწყობილებას კი ყველაზე მეტად ყვავილი გაღმოგვცემს. ამიტომ არის, რომ 50 აკვარელის ნიმუში ყვავილთა მდიდარი სამყაროს წიაღიდანაა შერჩეული. მხატვარს უყვარს სხვადასხვა ფერის ვარდი, პორტრენზია და გეორგინა, კვირისთავა და ყოჩივარდა, ენძელა და მაგნოლია, მიხაკი და კამელია, თეთრყვავილა და ფირისულა, იასამანი და ქრიზანთემა. იგი ჩვენში უზაღლ სიყვარულით ნერგავს მხატვრობაში ვარდ-ყვავილის კულტს.

ეს გამოფენა ო. ჩაჩუა-სელეზნიოვას დაბადების 70 წლისთავი-საღმი იყო მიძღვნილი და გვინდა ვუსურეოთ მას მხერია, შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები.

სახელმწიფო კომისარაჟის გამოკვლევები
ისტორიის გადამტკიცების შესახებ

რ. სულეიმანოვი. ისლამის გადმონა-
შთები საქართველოში და მისი დაძლე-
ვის გზები. გამომცემლობა „მეცნიერე-
ბა“, თბილისი, 1973 წ.

ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ შო-
რეულ ღორჩომში კი არა, აგრერ მახინჯა-
ურში და თვით ბათუმშიც კი შეხვდებო-
დით ჩაღრიან ქალს. ახლა ძველი ყოფის
ეს სამარცხვინო ნიშანი მუზეუმში ინა-
ხება. და განა მარტო ჩაღრი ჩაბარდა
წარსულს. ისლამის ბევრი ადათ-წესი მო-
ისპო, ბევრიც თანდათან გადის ჩვენი
ყოველდღიურობიდან. და მაინც მწვავედ
დგას როგორც საერთოდ რელიგიური,
ისე, კერძოდ, ისლამის გადმონაშთების
წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. რამდე-
ნად აქტუალურია ეს საკითხი, მეტყობლ
ჩანს სარეცენზიონ ნაშროში მოტანილი
საქმიოდ მდიდარი და საინტერესო ფაქ-
ტიური მასალიდან, ისლამის რელიგიის
კონკრეტული გამოკვლევის შედეგების
ანალიზიდან და ცალკეული დასკვნები-
რან.

სლამის გავრცელება საქართველოში
იმთავითვე ემსახურებოდა პოლიტიკურ-
ექსპანსიონისტურ მიზნებს. არაბები და
მონღოლები, სპარსები და ოსმალები ის-
ლამის დროშით მოდიოდნენ და ოხრე-
ბდნენ ჩვენს მიწა-წყალს, ცეცხლითა და
მახვილით სპობდნენ ყველივე ქარ-
თულს. ამ მხრივ ყველაზე მეტი ძნელებ-

დღისა განიცადა სამხრეთ საქართველომ, კერძოდ აჭარამ, და მიტომაც რ. სულე-იმანვი მეტწილად მიმართავს აჭარის სინამდვილიდან ალებულ მასალებს.

შემთხვევითი როდი იყო, რომ საბჭო-
თა ხელისუფლების დამყარების შემდეგ
ერთობ გააქტიურდნენ პანისლამისტური
ძალები და მიზნად დაისახეს აქარის მო-
წყვეტა საბჭოთა საქართველოს გან. აღ-
გილობრივ ხოჯა-მოლებს, მორწმუნებს
ყოველმხრივ აქეზებდნენ გარეშე მტრე-
ბი, რასაც მოწმობს საქართველოს კო-
პარტიის აქარის საოლქო კომიტეტის
პარტარქივიდან მოტანილი დოკუმენტე-
ბი.

ხოგა-მოლებბა, რომლებიც აჩალევა-
ლურ თათინიებს მართავდნენ და კონ-
ტრიევოლუციურ გადაწყვეტილებებს
იღებდნენ, ვითომ აჭარის მოსახლეობის
სახელით ანკარაში გაგზავნეს არზა თუ-
რქეთთან აჭარის შეერთების თაობაშე.
მუსულმანური სამღვდელოება მტრუ-
ლად შეხვდა საყოველთაო სავალდებუ-
ლო სწავლების შემოლებისა და მედრე-
სების აკრძალვის შესახებ მთავრობის
დეკრეტს. იგი მშობლებს აშინებდა მუ-
ქარითა და წყველით, ხოლო მასწავლებ-
ლებს პროგრაციასა და ტერორს უწყირ-
დდა. აგარაში ცნობილა ხორა დამუქრა
თავის მეზობელს კომუნისტ ახმედ შავა-
ძეს — თავი დაანეხე პარტიას, ნუ და-
დიხარ ქართველებთან, ნუ ეხარები მა-

სწავლებლებს, თორემ მოგვლავთო. არა-ერთი მოწინავე ადამიანი შეეწირა კო-მუნისტური იდეის, ახალი ცხოვრების დამყიდრებისათვის გრძილას.

ამგვარი ფაქტების გახსნებას გარკვე-ული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისლამის რელიგიისაგან მორწმუნეთა მასობრივი ჩამოშორების, ხოგა-მოლების გავლენისაგან მათი გან-თვალისწილების მიუხდავად დღემდე შე-მორჩენილია ისლამის გადმონაშორები.

სარეცენზიონ ნაშრომში გარჩეულია ამ გადმონაშორების თვისებურებანი, სა-კულტო სისტემა, რომელიც მოიცავს წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებს. მათ შორის — დღეში ხუთეკერ ლოკაცია, წენდაცვეთა, დასაფლაკების წესი; რა-მაზანის თვეში იცდათლიინი მარხვა, მსხვერპლთშეწირვის დღესასწაული — „ყურბან ბაირამი“, „მევლუდის კიოხ-ვა“ ანუ მუჰამედის დაბადების დღის აღნიშვნა, რომელსაც შედარებით მასო-ბრივი ხასიათი აქვს აქარაში.

ნაშრომის იმ ნაწილში, ნამაზს რომ ეხება, ავტორს მოაქვს სტატისტიკური მონაცემები ბათუმის მეჩეთში მლოცვე-ლთა რაოდენობის შესახებ, ამასთან არ მიუთითებს, საიდან არის ეს ციფრები აღებული. აქ, თურმე, „ახლომდგარე სოფლებიდან ყოველდღიურად 200-მდე მლოცველი იყრის თავს, პარასკევისთ — 400-მდე, დღესასწაულის დღეებში კი მათი რაოდენობა აღწევს 4000-ს“. ბათუმელისათვის, რომელსაც ყოველ-დღე თუ არა, კვირაში ერთხელ მიანც უხდება ამ ადგილს გაედა, ძნელი დასა-ჭრებელია, ამდენი მლოცველი ჰყავდეს ბათუმის მეჩეთს. ალაპის მსახურნი ხომ არ ბერავენ ამ ციფრებს!

თუ მლოცველთა რიცხვი ერთგვარ ეპვს იწვევს, მლოცველთა კონტინგენ-ტის შესახებ ავტორის მოსაზრება უდა-ვოა. ეს კონტინგენტი ძირითადად ხან-დაზმული, გაუნათლებელი ან დაბალი განათლების მქონე ადამიანებით განისა-ზღვრება.

თავისი პრატიკული დანიშნულებით

დიდად საცურადლებოა ნაშრომის ბუ-ლო თავი, რომელშიც განხილული იქ-ლამის გადმინაშორების კონკრეტულ-სო-ციოლოგიური კვლევის ზოგიერთი შე-დეგი. ავტორი ისლამის რელიგიისადმი დამოკიდებულების მიხედვით ადამია-ნებს ჰყოფს ხუთ ჯგუფად და თოთოუ-ლი ჯგუფის საილუსტრაციოდ მასალები მოაქვს აჭარის სოფლებიდან. საევე ხუთ ჯგუფად ჰყოფს მორწმუნებებს რელიგი-ურობის მოტივების მიხედვით. ორივე შემთხვევაში მიღებულ შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს ითესირური პროპა-განდის დიფერენციულად წარმართვი-სათვის, რელიგიისაგან მორწმუნეთა გა-ნთვისუფლებისათვის, ადამიანთა შევ-ნებაში რელიგიური ფინანსების დაძლევის ხერხებისა და მეთოდების შემუშავები-სათვის.

შ. მაროვანიძე. რატომ კრძალავს ისლამი? გამოცემლობა „საბჭოთა აჭა-რა“, ბათუმი, 1973.

ჩვეულებრივ საუბარში ხშირად გაი-გნებთ, ზოგჯერ კი დასტატულ წიგნე-ბშიც ამოიკითხავთ, რომ არა ერთი და ორი რელიგიური წეს-ჩვეულება ვითომ რეალური სინამდვილითაა ნაკარანახვი და ცხოვრებისაული გამართლება აქვსო. ასეთი ვერსია გაგრებულებული, კერ-ძოდ, ღორისი ხორცის ჭამის სარწმუნო-ებრივი აკრძალვის თაობაზე.

ისლამის სარწმუნების ერთ-ერთ მთავარ ნიშან-თვისებად მიიჩნევენ ღო-რის ხორცის ჭამისაგან თავის შეკვებას. ეს წეს-ჩვეულება მაჲმადიანობამდე კარ-გა ხნით ადრე დააკანონა იუდაიზმა და იქიდანაა გადმოტანილი. ალბათ, ამით აიხსნება, რომ „ყურანის“ შემოქმედს ოდნავადაც არ უცდია განემარტა ღორის ხორცის ჭამის აკრძალვის მიზეზები. მხოლოდ მოვანინებით შეუდგნენ ამ მი-ზეზების მოჩხერებას და მეტისმეტად უსუსური არგუმენტაცია მობლანდეს: ღორი სხვა შინაური ცხოველებისაგან

განსხვავებულ, რაღაც განსაკუთრებულ ბაცილმატარებელ ცხოველს წარმოადგენს; ცხელჲაგიან ქვეყნებში ლორის ხორცი მაღვ ფუჭდება და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მაგნებელია.

სარეცენზიონ ნაშრომში ზოოვეტერინარული მეცნიერების მონაცემებითა და სხვა მრავალი, მასობრივი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი მასალით, ნათლად არის დასაბუთებული ზემოაღნიშნული არგუმენტაციის უსაფუძვლობა. ავტორი გულდაჯერებით განმარტავს თუ რატომ იიღო მუჭამედმა იუდაიზმიდან მაინცდამაინც ლორის აკრძალვა, საიდან მოდის ყალკეულ ცხოველთა მოკვლისა და ჭამის აკრძალვა-ტაბუირება, რაოდენ დამღუჭველია თანამედროვე მსიფლიოს მთელი რიგი ხალხებისათვის ტოტემიზმის გადმონაშობი, განსაკუთრებით ეპონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

ინტერესული იყოთხება მასალები ქართველთა ტომების უძეველესი ტოტემისტური რწმენის შესახებ, საიდანც იღებს სათავეს ცალკეული საკვების აკრძალვის ტრადიცია. ამ მხრივ აჭარაში განსხვავებული მდგომარეობაა. თურქი დამპყრობლების სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში აქ განადგურდა მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მევენახობა-მეღვინეობა და მეღორეობა. ავტორს მოაქვს საყურადღებო მასალები აჭარაში ისლამის გავრცელებამდე მეღორეობის განვითარების მაღალი დონის შესახებ. სამისოდ ტოპონიმებიც ქმარა. აჭარის ტერიტორიაზე მრავლადაა ლორთან დაკავშირებულ ადგილთა სახელები: სალორეთი, სალორია, ლორთავაკე, ლორიტბა, ლორიყანისერი, ლორიყბათი, ლორმიჭა, ლორაქთი, სალორულა, სალორიასხევი, ლორინათხარი, ლორსაწუმბარა, ლორიყბა, ლორტყე, სატანია, ტახაურა, საგოჭია, გოჭაური და სხვ.

აჭარაში ყოველთვის იყო და ღდეს მით უფრო არის მეღორეობის განვითა-

რების პირობები. საამისოდ მოიპოვება მარცვლეული, ძირხენები, რკო, წიწიბო, წაბლი, ხილი და სხვ. ლონხდ ამ პირობებთან ერთად საჭირო მოსახლეობის დაინტერესება, მის ერთ ნაწილში დღემდე შემორჩენილი წარსულის მავნე გადმონაშობის დამლევა, კოლმეურნეთა ინდივიდუალურ მეურნეობებშიც ლორის მოშენების დანერგვა.

ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის შ. ოქროპირიძის ნაშრომი, რომელიც, სამწუხაობოდ, მცირე ტირაჟით გამოვიდა. საქართველოს სხვა კუთხეები რომ თავი დავანებოთ, საღაც დიდ ინტერესს იჩინენ ამგარა ლიტერატურის სამიზი, მარტო აჭარაში არსებულ თხხესზე მეტ სკოლასა და თითქმის ამდენივე კულტურულ-საგანმანათლებლო დწესებულებას არ ეყოფა ორი ათასი ცლი წიგნი. ბევრ სოფელში ერთი ცალი არ შეუტანია!

მორწმუნები უმთავრესად ის ადამინებია, რომლებიც წიგნებს არ ეტან: ბინ, უურნალ-გაზეთებს არ კითხულობენ. მათი რიცხვი წლითიშლიბით მცირდება. იზრდება წიგნის მოვარულო რიცხვი, შესაბამისად უნდა დიდებოდეს ტირაჟებიც, მაგრამ ამ საქმეში წაგნით მოვაჭრე ორგანიზაციები ნამერე გაუბედაობას იჩინენ. ამ თხუთმეტის წინათ ბათუმში დაისტამბა არ თუ ისე დიდი მხატვრული, ლირსებ მქონე რომანი „თამილა“, რომელ ასახავს ალუირელი მუსულმანი ქად მძაფრ სულიერ დრამას. მაშინ ამ წიგნის მთელი ტირაჟის ნახევარი — 1. ათასი ცალი დატოვეს აჭარაში. და იგ სულ მოკლე ხანში გაიყიდა. ეს მაგალითი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საღუსტრაციოდ მარტო არ მოვალეობის მომავალში წიგნის გავრცელების მასაზაბებზეც მივარიშნეთ.

0141/113

ЗДЕСЬ 40 ЗДА.

СОЮЗ СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118

СОЧИ 1970

СОЧИ 1970